PRIME Time

N17 (318) ორშაბათი, 4 მაისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

EXCLUSIVE

სამედიცინო სკანდალი

მომაკვდინებელ ვირუსზე ექიმები დაობენ

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია Evex“-მა ღვიძლის გადანერგვის მესამე წარმატებული ოპერაცია ჩაატარა

EXCLUSIVE

„დანერგე მომავალი“ და გახდი დამოუკიდებელი ფერმერი – ინოვაცია სოფლის მეურნეობაში

გიორგი მამულაშვილის გაუჩინარების დეტალები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არის თუ არა დეფიციტში

„თბილისში 700 ათასი კაცი რომ შეამოწმოთ, პნევმოკოკის ბაქტერიას აღმოუჩენთ“

გარდაცვლილი ბავშვის ბებია: „მივიყვანეთ საავადმყოფოში და 2 საათში გარდაიცვალა. ყველა ამბობდა, რაღაც საშინელი ვირუსია მოდებულიო“

ხათუნა მგალობლიშვილი

„ბოლო ორი კვირის განმავლობაში ლაბორატორიულად დადასტურდა პნევმოკოკური ბაქტერიებით მოზრდილი ადამიანების გარდაცვალების 2 შემთხვევა“, – ინფორმაციას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს. „პრაიმტაიმმა“ ორივე შემთხვევის შესახებ მოამზადა მასალა წინა ნომრებში. გაზეთთან საუბრისას გარდაცვლილი პაციენტის მკურნალი ექიმები ადასტურებდნენ, რომ მიზეზი პნევმოკოკი იყო. ისინი ჩვენთან საუბრისას დეტალურად აღწერდნენ, რა ჩივილები ჰქონდათ ავადმყოფებს ექიმთან მისვლის დროს და როდის დადასტურდა სამედიცინო პერსონალის ეჭვი პნევმოკოკზე.

ამავე პერიოდში ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში დაუდგენელი ინფექციით 9 წლის გოგონა გარდაიცვალა. ოჯახი იხსენებს, რომ ანი ლიკლიკაძე საავადმყოფოში მაღალი ტემპერატურის გამო გადაიყვანეს და მიყვანიდან ზუსტად ორ საათში გარდაიცვალა. შემთხვევა ქუთაისში დაფიქსირდა იმ პერიოდში, როდესაც პნევმოკოკით გარდაცვალების ორი შემთხვევა საქართველოს მასშტაბით უკვე დაფიქსირებული იყო. თუმცა ანი ლიკლიკაძის ოჯახის ახლობლების განცხადებით, არც მშობლებსა და არც ექიმებს ეჭვი პნევმოკოკზე არ გამოუთქვამთ. უფრო სწორად კვლევა არ ჩატარებულა და, შესაბამისად, მიზეზი დღემდე უცნობია. როგორც ოჯახის ახლობელმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, ექიმების დასკვნა ბავშვის გარდაცვალების შესახებ ასეთი იყო: „ბავშვს სუსტი იმუნიტეტი ჰქონდა და ორგანიზმმა მაღალ ტემპერატურას ვერ გაუძლო“.

ანი ლიკლიკაძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ქუთაისის ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. სააგენტოსთან საუბრისას გარდაცვლილის ბებია ადასტურებს, რომ იგივე ჩივილებით ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში მოზარდებიც იმყოფებოდნენ.

ქეთო კიკნაველიძე, გარდაცვლილის ბებია:

– 9 წლის ანგელოზი ბავშვი გარდამეცვალა. უცებ მაღალი სიცხე მისცა და ვირუსი ჰქონდა. მივიყვანეთ საავადმყოფოში და 2 საათში გარდაიცვალა. ყველა ამბობდა, რაღაც საშინელი ვირუსია მოდებულიო. ათეულობით ბავშვი იწვა საავადმყოფოში ამ დიაგნოზით. ჩემი შვილიშვილი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ იქნებ სხვისი შვილები გადავარჩინოთ.

ინფორმაციას უარყოფენ ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში და აცხადებენ, რომ მათ საავადმყოფოს სეზონური ვირუსით ოცამდე პაციენტმა მიმართა და ეს არანაირად არ იძლევა პანიკის საფუძველს.

რაც შეეხება პნევმოკოკს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის საბჭოს ხელმძღვანელი, პაატა იმნაძე აცხადებს, რომ პნევმოკოკი მოსახლეობის 70 პროცენტს აქვს და ეს ასე იყო საუკუნეების წინათაც, უბრალოდ, ინფექცია საშიშია სუსტი იმუნიტეტის და სხვა დაავადების მქონე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი 2 წლამდე ბავშვებისთვის და 60 წელს ზემოთ ხანდაზმულებისთვის. თუმცა ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში, რომელიც გარდაცვალებით დასრულდა, 60 წლამდე ქალბატონები იყვნენ. რაც შეეხება ანი ლიკლიკაძეს, მართალია, მის შემთხვევაში ანალიზების კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ ისიც 9 წლის იყო. ანუ ასაკი სპეციალისტებისა და ექიმის ვარაუდს არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვევა. ამაზე მათი განმარტება შემდეგია: პაციენტებს ჯანმრთელობის სხვა პრობლემებიც ჰქონდათ. სხვათა შორის, ორი გარდაცვლილი პაციენტის შესახებ თავად მკურნალ საავადმყოფოსა და ანალიზების ჩამტარებელს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას პაატა იმნაძე ადასტურებს, რომ ორივე შემთხვევაში პნევმოკოკზე ანალიზი მათ ჩაატარეს და უკვე დადასტურებულია, რომ ქალბატონების გარდაცვალების მიზეზი ორივე შემთხვევაში სწორედ პნევმოკოკის ინფექცია გახდა.



პაატა იმნაძე:

– დღეს თბილისში 700 ათასი კაცი რომ შეამოწმოთ, პნევმოკოკის ბაქტერიას აღმოუჩენთ. მოსახლეობის 70% ამ ბაქტერიის მატარებელია. ასე იყო ასი წლის წინათ და კიდევ უფრო ადრეც, უბრალოდ, ბაქტერია ადამიანს ცუდად ხდის მაშინ, როდესაც სუსტი იმუნიტეტი აქვს. შესაბამისად, ის მოქმედებს უფრო ბავშვებზე ან მოხუცებზე.

– ორი შემთხვევა, რომელიც გარდაცვალებით დასრულდა, ზუსტად იცით, რომ მიზეზი პნევმოკოკის ინფექცია იყო?

– ჩვენთვის დადასტურებული შემთხვევაა ორივე, რადგან ორივე გარდაცვლილი ავადმყოფის სისხლში ვიპოვეთ პნევმოკოკის გენეტიკური მასალა.

– კვლევა საქართველოში ჩატარდა თუ უცხოეთში გადაიგზავნა ანალიზები?

– საქართველოში ჩატარდა, ჩვენთან.

თავად „ლანცეტის“ წარმომადგენელი, სადაც ერთ-ერთი დაავადებული ქალბატონი მკურნალობას გადიოდა, უარყოფს როგორც პნევმოკოკის გარდაცვალების მიზეზად დადასტურებას, ასევე თვალიდან სისხლდენას.

ნინო ნადირაძე, „ლანცეტის“ ექიმი:

– შეიძლება პნევმოკოკი ამოითესოს, მაგრამ გარდაცვალების მიზეზი, საბოლოოდ, პნევმოკოკი იყო თუ არა, ჯერ ხომ არ ვიცით? დაველოდოთ ექსპერტიზის შედეგებს და ზუსტი პასუხიც გვეცოდინება.

– როდის იქნება?

– როგორც კი მივიღებთ პასუხებს, მაშინვე დაიდება და გაირკვევა, ფილტვის უკმარისობა იყო, პნევმონიის გამო მოხდა თუ კიდევ სხვა, დამატებითი ფაქტორების გამო. ყველაფერი ძალიან დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი, წინასწარ საუბარი ძალიან რთულია.

– „პრაიმტაიმთან“ საუბარში თქვენმა ექიმმა ჩვენს ჟურნალისტს დაუდასტურა, რომ პაციენტს თვალიდან სისხლდენა აღენიშნებოდა...

– ამ ქალბატონის შემთხვევაში სისხლის შედედების უსერიოზულესი პრობლემა იყო, თუმცა ისტორიაში თვალიდან სისხლდენა რომ დაფიქსირებულიყო, ნამდვილად არ მახსოვს. ზოგადად, ისეთ მძიმე შემთხვევაში, როგორშიც ეს ქალბატონი იმყოფებოდა, სისხლდენა გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ რამდენად იყო ეს თვალიდან, ნამდვილად არ მახსოვს. საერთოდ, მოსახლეობის 70-80%-ს შეიძლება პნევმოკოკი ჰქონდეს, უბრალოდ, ის სახიფათო ხდება იმ შემთხვევაში, თუ იმუნიტეტი დაქვეითებულია, ან სხვა ვირუსული ინფექცია სდევს. „მედი კლაბში“ გარდაცვლილზეც, როგორც ვიცი, სხვა ვირუსის არსებობაც დადასტურდა.

– ანუ იმ შემთხვევაშიც პნევმოკოკით არ იყო გამოწვეული გარდაცვალება?

– სიკვდილის გამომწვევი რა იყო, ამ წუთას დარწმუნებით ნამდვილად ვერ გეტყვით.

არ არის გამორიცხული, სპეციალისტების მხრიდან უარყოფა საზოგადოებაში პანიკის გაჩენის თავიდან არიდების მიზნით ხდებოდეს. მით უფრო, რომ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მოქალაქეები პოლიკლინიკებსა და სადაზღვევოებს ვაქცინაციის ჩატარების მოთხოვნით მიმართ-



პაატა იმნაძე: „არავითარი დეფიციტი არ არსებობს და ჩვილებს ცრიან, რაც შეეხება უფროსებს, თუ იქნება მოთხოვნა, შემოიტანენ და აცრიან“

პროკურატურის მთავარი მოწმე ტყეში მკვდარი იპოვეს

ყვარლიდან თბილისში, პროკურატურაში მიმავალი გიორგი მამულაშვილი გზაში გაუჩინარდა. მეგობრები იმედოვნებდნენ, რომ გიორგი მიმალვაში იმყოფებოდა. მაგრამ რამდენიმედღიანი ძიების შემდეგ ის კახეთის ტყეში მკვდარი იპოვეს. ერთ-ერთი ვერსიით, მთავარმა მოწმემ თავი მოიკლა. თუმცა არც მკვლელობას გამორიცხავენ. ყველა ვერსია და დეტალი იხილეთ მე-7 გვერდზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

რატომ უარყოფენ ექიმები საკუთარ ინფორმაციას პნევმოკოკის ინფექციის შესახებ

მოქალაქე: „ვაქცინაზე გავიკითხე და არც ერთ კლინიკაში არ კეთდება აცრა, დეფიციტშია პრეპარატი“

ავდნენ. ერთ-ერთი მოქალაქის განცხადებით, პრეპარატი უკვე დეფიციტშია: „ვაქცინებზე გავიკითხე და არც ერთ კლინიკაში არ კეთდება აცრა, დეფიციტშია პრეპარატი“.

ინფექციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად პაატა იმნაძემ, ტრადიციულად, ხელების ხშირად დაბანასთან და ოთახის, ასევე, ხშირად განიავებასთან ერთად, ვაქცინაცია დაასახელა. თავად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის საბჭოს ხელმძღვანელი კატეგორიულად უარყოფს ვაქცინის დეფიციტს და აცხადებს, რომ გეგმიური აცრა პნევმოკოკზე დღესაც ჩვეულებრივად ხორციელდება.

პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი:

– სახელმწიფო ცრის ბავშვებს დაბადებიდან ორი თვის ასაკში. აცრა სამჯერადია და ერთი წლის ასაკში სრულდება. არავითარი დეფიციტი არ არსებობს და ჩვილებს ცრიან. რაც შეეხება უფროსებს, თუ იქნება მოთხოვნა, შემოიტანენ და აცრიან.

– ანუ ჯერ არც მოთხოვნაა და, შესაბამისად, არც დეფიციტშია?

– ნებისმიერ პოლიკლინიკაში რომ მიიყვანონ ბავშვი, აცრიან. თუმცა მე ვგულისხმობ ბავშვებს და არა ზრდასრულებს. ზრდასრულ ადამიანს თუ უნდა აცრა, რა თქმა უნდა, მას ამის გაკეთებას არავინ აუკრძალავს, მაგრამ სავალდებულო და უფასო ორ წლამდე ბავშვებისთვისაა. მოთხოვნა თუ იქნება, შესაბამისი უწყებები აუცილებლად შემოიტანენ.

– დაავადების გამოხატულებების ერთ-ერთ ნიშნად თვალებიდან სისხლდენა დასახელდა...

– სისულელეა, თვალებიდან სისხლდენა არ არსებობს, უბრალოდ, სისხლჩაქცევები ვითარდება და ეს ნორმალურიც არის. რაც შეეხება სისხლდენას, ეს ჟურნალისტის არასწორი ინტერპრეტაციაა.

ფაქტია, რომ „პრაიმტაიმის“ ჟურნალისტთან საუბრისას გარდაცვლილის მკურნალმა ექიმმა დაავადების დამახასიათებელ გამოვლინებებზე საუბრისას სწორედ თვალიდან სისხლდენა დაასახელა: „ორივე შემთხვევაში დაავადება სწრაფად გამოვლინდა და პაციენტების მდგომარეობა ყოველ საათში მძიმდებოდა – ცხელება, ღებინება, ძლიერი თავის ტკივილი, გამონაყარი სხეულზე და თვალებიდან სისხლდენა“.

მოსახლეობის დიდ ნაწილში ინფექციის გაჩენამ სერიოზული შიში გამოიწვია. მათ კითხვები გაუჩნდათ როგორც ვაქცინაციის ჩატარებასთან, ასევე, თავად პრეპარატის მიმართაც. თუმცა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის, ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, ლაბორატორიული კვლევის გარეშე პნევმოკოკის ბაქტერიას ვერავინ ვერ ამოიცნობს, მათ შორის ვერც ექიმი: პნევმოკოკები ხველისა და ცემინების დროს გამოიყოფა და წვეთოვანი გზით ვრცელდება. ვერავინ ამოიცნობს ამ ბაქტერიას ლაბორატორიული კვლევის გარეშე. სიმპტომები გამოიხატება პნევმონიით, ანუ ფილტვების ანთებით, ბავშვებში ყურის ანთება, შუაყურის ანთება, ხშირია მენინგიტი, რომელიც ამ მიზეზითაა გამოწვეული. ყველამ ვიცით, ბავშვები ყველაზე ხშირად ფილტვების ანთებით ავადდებიან, ასევე ყურისა და შუაყურს ანთებითი დაავადებით. ამ ყველაფერს კი სწორედ პნევმოკოკი იწვევს. აცრის შემთხვევაში კი, რისკს შევამცირებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამინისტროებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება შეუძლებელია“

ხათუნა მგალობლიშვილი

საჭირო ინფორმაციის მიღება, მით უფრო საჯარო ინფორმაციის, ნებისმიერი მოქალაქის უფლებაა. სწორედ ამაში ეხმარებიან სხვადასხვა სამინისტროების ცხელი ხაზის ოპერატორები მოქალაქეებს. უფრო სწორად, წესით, უნდა ეხმარებოდნენ. თუმცა ამ ბოლო დროს ბევრი მოქალაქე გამოხატავს პროტესტს კონკრეტული უწყების მიმართ, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარ მოვალეობას არ ასრულებს.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეკონომიკის სამინისტროს ცხელი ხაზის მომხმარებელმა დააფიქსირა. კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად მოქალაქემ ზუსტად ნახევარსაათიანი ლოდინისა და ბევრჯერ გადამისამართების შემდეგ მიზანს მაინც ვერ მიაღწია: „რჩევა მინისტრებს – მოულოდნელად დაადექით და შეამოწმეთ თვენი უწყების ცხელი ხაზის ოპერატორები. 30-წუთიანი ლოდინის შემდეგ მივიღე პასუხი, სამწუხაროდ, თქვენი დაკავშირება ვერ მოხდაო. ვრეკავდი ნომერზე, რომელიც საიტზე გაქვთ მითითებული – 2991111 და ვცდილობდი დაკავშირებას ოპერატორთან, რომელიც პასუხისმგებელია „სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის“ გაცემაზე, მაგრამ ორჯერ გამითიშეს“...

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ისინი რეგულარულად ამოწმებენ საკუთარ ოპერატორებს და დაინტერესდა, მოქალაქე უწყებასთან დაკავშირებას სამუშაო საათების გასვლის შემდეგ ხომ არ ცდილობდა. როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებისთვის უცნობია, რომ ცხელი ხაზი სწორედ ოცდაოთხსაათიანი გრაფიკით მუშაობას გულისხმობს...

იგივე პრობლემებია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებით. უცხოელები დახმარებას ქართველ ნაცნობებს სთხოვენ, რადგან მათთვის ცხელი ხაზით სარგებლობა მიუწვდომელი სიამოვნებაა: „ზუსტად 1 საათია ვცდილობ საგარეო საქმეთა სამინისტროში დარეკვას და კითხვაზე, რა პროცედურები უნდა გაიაროს სიერა-ლეონეს მოქალაქემ საქართველოში ჩამოსასვლელად, პასუხს, გადამამისამართეს ყველა დეპარტამენტთან, აქედან უმეტესობაში ტელეფონს არ პასუხობენ და თუ უპასუხეს, ისიც სხვასთან გამისამართებს. ვცდილობ, გაგებით მოვეკიდო, მაგრამ არ გამომდის. სამინისტროებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება შეუძლებელია“.

ამომრჩეველი ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ

ვალერი გელაშვილი: „ხალხს ვხვდები ხიდმე ხაშურში და მეტი რა უნდა გავაკეთო?“

ხათუნა მგალობლიშვილი

გუბაზ სანიკიძეს საკუთარმა ამომრჩეველმა ოფისის კარი მაინც აუჭედა პროტესტის ნიშნად. ვალერი გელაშვილის ამომრჩეველმა დიდხანს იფიქრა, საკუთარი პროტესტი როგორ გამოეხატა და დეპუტატის კაბინეტის კარის აჭედვა აზრადაც არ მოსვლია. ან რა აზრი აქვს, გელაშვილი ხაშურში ამომრჩევლებთან შესახვედრ ოთახში 2012 წლის შემდეგ არც კი შესულა.

ზვიად ზუბაშვილი, ხაშურის მაცხოვრებელი: „დეპუტატი, რომელიც ხაშურის მოსახლეობამ აირჩია, შეიძლება მხოლოდ კვირაში ერთხელ ჩამოვიდეს ხაშურში, ხალხს არ ხვდება, სახეზეც კი ვერ ცნობს ბევრი. ვალერი გელაშვილი ხალხმა აირჩია იმიტომ, რომ ხაშურისთვის ყურადღება მიექცია. ახლა კი რა ხდება? ქალაქი იცლება მოსახლეობისგან, ახალგაზრდობა გარბის ხაშურიდან, სამუშაო ადგილები არ არის. სამწუხაროდ, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს არაფერი ანაღვლებს, რადგან უკვე პარლამენტშია. ხაშურის რაიონი მიტოვებულია. სოფლებში შესასვლელი გზები არ არის, რომელ ქარხნებზეა ლაპარაკი, როდესაც ერთი ქუჩაც კი ვერ გაუკეთებიათ და წყლის პრობლემა ვერ მოუგვარებიათ. ერთადერთი ქუჩა, რომელიც გელაშვილმა ხაშურში გააკეთა, ეს თავის სახლამდე მისასვლელი გზაა, სადაც სულ 5 მოსახლე ცხოვრობს. მოსახლეობას სურს დეპუტატთან შეხვედრა, მაგრამ არჩევნების შემდეგ გელაშვილი ხაშურში არავის უნახავს, ამომრჩეველს მას შემდეგ არ შეხვედრია“.

სამაგიეროდ ვალერი გელაშვილი კმაყოფილია საკუთარი მუშაობით და შენიშვნებს არ იღებს. პირიქით, კითხვის დასმისთანავე გაღიზიანდა და საკუთარ ამომრჩეველს არაადეკვატური უწოდა:

– ჩადით ხაშურში, მიბრძანდით ბიუროში და მოიკითხეთ, რასაც ვაკეთებ.

– მაგრამ ამომრჩეველი უკმაყოფილოა, რასაც დაგვპირდა, არაფერი შეუსრულებიაო...

– რა არ შევასრულე? ხალხს ვხვდები ხოლმე ხაშურში და მეტი რა უნდა გავაკეთო?

– დასაქმება, ყოფითი პრობლემების მოგვარება...

– მე უნდა მოვაგვარო წყლის პრობლემა ხაშურში? მე უნდა დავაგო გზები? უმისამართოდ ლაპარაკობენ ის ადამიანებიც და უმისამართოდ სვამთ კითხვებს თქვენც...

სკანდალუ მამაკაცების



ირაკლი მამალაძე

ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ და შოკისმომგვრელ საქმეში ბრალდებული სამი მაღალჩინოსანი თავისუფალია. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნებს: თორნიკე გუნავას, მერაბ მეტრეველსა და ალექსანდრე კუჭუაშვილს, რომლებიც წლების მანძილზე პირადი ცხოვრების ხელყოფის მიზნით, ადამიანების ფარულ მიყურადებასა და ვიდეოგადაღებას ახორციელებდნენ, პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. საუბარია მეგის ქარდავას თანამზრახველებზე, როლებიც განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებს უთვალთვალებდნენ და მათ სექსუალურ აქტს ფირზე იღებდნენ. დანაშაული მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 14 იანვარს გახსნა და საზოგადოებას ის სკანდალური ფირები აჩვენა, რომლზეც არატრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცების სექსუალური ცხოვრება იყო გადაღებული. მაშინ ამ კადრებმა არა მარტო ქართველი საზოგადოება გააოცა, არამდე უცხოელი დიპლომატიური კორპუსიც კი გააოგნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და უპრეცედენტო საქმე, რომელიც ახალი მთავრობის მუშაობის შედეგად გაიხსნა. მთავარმა პროკურატურამ მაშინ დეტალურად განმარტა დანაშაულის მოტივი, წინასწარ დაგეგმილი სქემის მიხედვით, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნებს – მეგის ქარდავას უშუალო ბრძანებით „დავერბოვკებული“ ჰყავდათ არატრადიციული ორიენტაციის მქონე რამდენიმე მამაკაცი, რომლებსაც აიძულებდნენ, მოეძებნათ მსხვერპლი და კონსპირაციულ ბინაში, სადაც სათვალთვალო კამერები იყო დამონტაჟებული, მათთან დაემყარებინათ სექსუალური კონტაქტი. მათ ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ცნობილი ადამიანები შოუბიზნესიდან და სხვადასხვა სახელოვნებო სივრციდან. პროკურატურის მიერ ამოღებული ვიდეომასალებიდან გაირკვა, რომ კონსპირაციულ ბინაში ათეულობით ადამიანი გაება სამხედრო პოლიციის მიერ დაგებულ ხაფანგში. მასალებიდან, აგრეთვე, ირკვევა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, მეგის ქარდავას აწვდიდნენ, რომლის დავალებითაც შემდგომში უკავშირდებოდნენ მსხვერპლს და მაკომპრომეტირებელი მასალების გამოყენებით, მუქარითა და შანტაჟით აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ იმ ღონისძიებებში, რომელიც მიზნად ისახავდა „ნაციონალური მოძრობის“ პოპულარიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მასალების გამოქვეყნებით ემუქრებოდნენ. ამავე სქემის მიხედვით, შტაბის მსხვერპლ პირებს იყენებდნენ ცრუ მოწმეებად სხვადასხვა საქმეებში. ამ უმძიმეს დანაშაულში ჩართულმა პირებმა ჩვენებები სასამართლოს დახურულ პროცესზე მისცეს და პროკურატურის მიერ გაშიფრული სქემა დაადასტურეს. ამ საქმეზე პროკურატურამ ის 3 ადამიანი დააკავა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირების მუქარასა და შანტაჟში. საუბარია სამხედრო პოლიციის თანამშრომლებზე, რომლებიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო. თუმცა მათ ცოტა ხნის წინ პროკურატურა გაურიგდათ. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება ისიც, რომ გამოძიება ამ საქმეზე სრულყოფილად არ ჩატარებულა, საქმეზე არ იქნა დადგენილი სრული ჭეშმარიტება. კერძოდ, ვის დავალებას ასრულებდნენ სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნები. „პრაიმტაიმთან“ საუბარში მეგის ქარდავას ადვოკატი – მალხაზ ველიჯანაშვილი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს გამოძიებამ ვერ დაუმტკიცა ბრალეულობა ამ საქმეში. მეტიც, ველიჯანაშვილი პროკურატურას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქარდავას ბრალეულობა, ბრალდების მხარემ ვერც სასამართლოზე დაამტკიცა და მოსამართლემ მხოლოდ სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნები მისცა პასუხისგებაში. თუმცა, როგორც თავში აღვნიშნეთ, მათ პროკურატურამ საპროცესო გარიგება შეუფარდა. ძალოვანი უწყება ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. პრესსამსახურმა ჩვენ მიერ დასმულ არც ერთ შეკითხვას არ უპასუხა. ინფორმაციას სკანდალური საპროცესო გარიგების შესახებ ადასტურებს მეგის ქარდავას ადვოკატი. მალხაზ ველიჯანაშვილის ინფორმაციით, საპროცესო გარიგება მსჯავრდადებულების პროკურატურასთან თანამშრომლობის საფუძველზე გაფორმდა.

– ბატონო მალხაზ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მეგის ქარდავას უწყების ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც ადამიანების თვალთვალსა და მათი სექსუალური აქტების გადაღებას ახორციელ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რი საპროცესო გარიგება ფარული მიყურადების საქმეზე

შანტაჟით აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ იმ ღონისძიებებში, რომელიც მიზნად ისახავდა „ნაციონალური მოძრობის“ პოპულარიზაციას

ეს ინფორმაცია, არაოფიციალური ვერსიით, აქამდე უცნობი ვიდეომასალაა, რომელზეც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების პირადი ცხოვრების დეტალებია აღბეჭდილი

EXCLUSIVE

ებდნენ, საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს?

– დიახ, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება თორნიკე გუნავასთან, რომელიც სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს, ხოლო მეტრეველი და კუჭუაშვილი სასამართლომ გაამართლა. მაგრამ იცით, როგორ იყო? ეგენი სხვა საქმეშიც იყვნენ და როგორც მახსოვს, იქ გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმება, მაგრამ სამივე გაათავისუფლეს.

– რის სანაცვლოდ შედგა ეს საპროცესო შეთანხმება?

– თანამშრომლობის გამო და როგორც შეთანხმებაში ეწერა, სხვა საქმეც, რომელზეც ის დაავალდებულეს, რომ ეთანამშრომლა პროკურატურასთან.

– პროკურატურა ამ საქმეში მეგის ქარდავას ბრალეულობაზეც საუბრობდა. გამოიკვეთა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაული?

– არა, რა თქმა უნდა. მეგის ქარდავას ბრალიც კი არ წაყენებია. პროკურატურამ მაშინ უხელად დარღვია ქარდავას უფლებები და ამის გამო ვიჩივლეთ კიდეც. ეს თავიდანვე უსაფუძვლო ბრალდება იყო.

– ამ საქმეში ბრალდებულები ხომ ქარდავას თანამშრომლები იყვნენ? თუ ის არ ავალებდათ კადრების გადაღებას, მაშინ რატომ იღებდნენ ან ვის დაკვეთას ასრულებდნენ?

– დიახ, ქარდავას თანამშრომლები იყვნენ. იცით, მე ვიცავდი მეგისის უფლებებს და ფაქტია, რომ მას ბრალიც კი არ წაყენებია ამ საქმეში. არ ვიცი, ვინ უკვეთდა, ეს იყო დახურული საქმე, შესაბამისად, პროცესიც და ნამდვილად ვერ გეტყვით ვერაფერს. მე არ მაქვს ინფორმაცია, კონკრეტულად ვინ ავალებდა მათ ამ კადრების გადაღებას.

ვინ იყო დანაშაულის შემკვეთი და რატომ აგროვებდნენ სკანდალურ ფირებს თავდაცვის სამინისტროში? ამ შეკითხვისთვის პასუხი გამოძიებას 2 წლის შემდეგაც არ გაუცია. შესაბამისად, დღემდე დაუდგენელია, ვინ დგას ამ ორგანიზებული დანაშაულის უკან, მაშინ როცა საქმეში დევს უტყუარი მტკიცებულება ფირების სახით და დაზარალებულთა ჩვენებები. ამ ყველაფრის მიუხედავად, პროკურატურამ გამოძიების გაგრძელებაზე უარი თქვა და სკანდალური საქმე საპროცესო გარიგებით დაასრულა. თუმცა ეს შეთანხმება გარკვეული ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ მოხდა და ეს ინფორმაცია, არაოფიციალური ვერსიით, აქამდე უცნობი ვიდეომასალაა, რომელზეც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების პირადი ცხოვრების დეტალებია აღბეჭდილი. ამ ეტაპზე უცნობია, რა ბედი ეწია აქამდე უცნობ ვიდეოკადრებს, განადგურდა თუ არა ისინი, სხვა მასალებთან ერთად, პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე. ჩვენ ამის გარკვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში შევეცადეთ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პრესსამსახურის განმარტებით:

კადრები, რომელიც პროკურატურამ ამოიღო და ის ელგებეტე პირებს ეხებოდა, ქალბატონმა თამარ ქალდანმაც ნახა, ოღონდ ფირზე აღბეჭდილი ადამიანები არაიდენტიფიცირებულები იყვნენ. ამ მასალის ნაწილი განადგურებულია. ეს მოხდა იმ კომისიის მიერ, რომელიც 2013 წელს შეიქმნა და სწორედ ამ კომისიამ გაანადგურა დისკები, რომელზეც უკანონო მიყურადების შედეგად გაკეთებული ჩანაწერები იყო. მაშინ ამ კომისიაში ქალბატონი თამარიც გახლდათ. ამ კონკრეტულ ჩანაწერებზე სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებთ, რადგან საპროცესო გარიგებასა და სხვა საგამოძიებო პროცედურებზე ჩვენ არ ვართ კომპეტენტური, რომ გიპასუხოთ.

„პრაიმტაიმმა“ ინფორმაცია ამ სკანდალური საპროცესო გარიგების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინდენტობაშიც“ გადამწმა, სადაც აცხადებენ, რომ მათვის უცნობია აღნიშნულის შესახებ და კომენტარს ამ საქმეზე მხოლოდ მას შემდეგ გააკეთებენ, როცა საკითხს მათი იურისტები შეისწავლიან.

ირმა ჭკადუა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

განახლებულ მთავრობას პირველი თეა წულუკიანი დატოვებს

იუსტიციის მოქმედი მინისტრი სამუშაოდ სტრასბურგში ბრუნდება?!

ლია მუხაშავრია: „ევროსაბჭოს დასამტკიცებელია მოსამართლის კანდიდატურა და ეჭვი მეპარება, რომ სტრასბურგში მუშაობის გამოცდილების მიუხედავად, მას ეს მხარდაჭერა ჰქონდეს“

მირიან ბოქოლიშვილი

განახლებული მინისტრთა კაბინეტი ჯერ დამტკიცებულიც არ იყო, რომ სამთავრობო კულუარებში მომავალში დაგეგმილ პირველ ცვლილებებზე ალაპარაკდნენ. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, პირველი მინისტრი, ვინც ღარიბაშვილის განახლებულ კაბინეტს დატოვებს, თეა წულუკიანი იქნება. როგორც მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი გვიყვება, წულუკიანს თანამდებობის დატოვების სურვილი უკვე დიდი ხანია აქვს, თუმცა იმის გამო, რომ მას სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს კვოტით წარდგენას ჰპირდებიან, თანამდებობას ამ დრომდე ინარჩუნებს. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც წულუკიანი თავის თანაპარტიელ ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში არ გადაჰყვა, სწორედ ზემოხსენებული პირობა გახლავთ.

ამჟამად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარდგენილ მოსამართლედ ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე ნონა წოწორიაა გამწესებული, რომელსაც უფლებამოსილების ვადა მალე ეწურება. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდში დატოვებს თანამდებობას იუსტიციის მინისტრი, რომელიც მოსამართლის მანტიას უკვე სტრასბურგის სასამართლოში მოისხამს. მიუხედავად იმისა, რომ წულუკიანს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება აქვს, ექსპერტთა ნაწილი სტრასბურგში მის წარდგენას სკეპტიკურად უყურებს.

იურისტი ლია მუხაშავრია მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, ხელისუფლებამ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს აპოლიტიკური კანდიდატი წარუდგინოს.

ლია მუხაშავრია, იურისტი:

– პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, სტრასბურგის მოსამართლის, ან კანდიდატის შეფასება არაეთიკურია ჩემი მხრიდან, რადგან 40-ზე მეტი საქმე მაქვს გაგზავნილი ევროპულ სასამართლოში. ჩვენი ბედოვლათი მთავრობა თუ დროულად არ წარადგენს კანდიდატს, მოქმედ მოსამართლეს, ქალბატონ წოწორიას კიდევ გაუგრძელდება უფლებამოსილების ვადა. რაც შეეხება თეა წულუკიანს, როცა ის იურისტად მუშაობდა, ნამდვილად იყო კარგი იურისტი,

„ის ნამდვილად იყო კარგი იურისტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ კარიერაში წარმატებას ვერ მიაღწია, მისი კანდიდატურა ევროსასამართლოს თვალში სრულიად სხვაგვარად იქნება აღქმული“



მაგრამ მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკურ კარიერაში წარმატებას ვერ მიაღწია (ასეთია ჩემი აზრი), მისი კანდიდატურა ევროსასამართლოს თვალში აღქმული იქნება სრულიად სხვაგვარად. წესით, ის არ უნდა ჩაითვალოს წარმატებულ მინისტრად, მით უმეტეს, თუ გადადგება. საბოლოოდ ევროსაბჭოს დასამტკიცებელია მოსამართლის კანდიდატურა და მე ეჭვი მეპარება, რომ სტრასბურგში მუშაობის გამოცდილების მიუხედავად, მას ეს მხარდაჭერა ჰქონდეს.

– პრინციპში, თუ ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე, წულუკიანს რატომ შეექმნება პრობლემა?

– ნუ დაგავიწყდება, რომ ადეიშვილის მთავრობას კარგი რეპუტაცია ჰქონდა ევროპის საბჭოში, განსხვავებით დღევანდელი მთავრობისგან. მიუხედავად იმ საშინელებებისა, რაც საქართველოში ხდებოდა, მაშინ არც ერთ რეზოლუციაში არ წერდნენ, რომ აქ პოლიტპატიმრები გვყავდა, ან წამებას ჰქონდა ადგილი. პირიქით, ძალიან პოზიტიური ანგარიშები იწერებოდა და ევროპის საბჭოს არენაზე იმდროინდელი მთავრობა რეფორმატორულ გუნდად ითვლებოდა. გარდა ამისა, არ უნდა დაგავიწყდეს ისიც, რომ მაშინ ქალბატონი ნონა წოწორია არ იყო პირადად შემჩნეული იმ უკანონობებში, რაც მერე და მერე გამოვლინდა ადეიშვილის უწყებაში. ახლა ევროპის საბჭოში სურათი სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ეს 2005 წელს იყო, როდესაც ნონა წოწორია აირჩიეს.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ წულუკიანის გამოცდილება სტრასბურგის სასამართლოში, გადამწყვეტ გავლენას ვერ იქონიებს?

– მე არ ვფიქრობ, რომ სასამართლოში მისი გამოცდილება წულუკიანს ჩაეთვლება ისეთ საფუძვლად, რომ მას უყოყმანოდ დაამტკიცებენ მოსამართლის პოსტზე. ახლა მისი არჩევის საკითხს დიდწილად გადაწყვეტს ის, რა პოზიციები გამოავლინა მთავრობამ ევროსასამართლოში გაგზავნილ საქმეებთან დაკავშირებით. თქვენ იცით, რომ ბოლო პერიოდში ევროსასამართლოს საქმეებზე მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს მორიგებას და თუ მორიგებაზე დაზარალებული მხარე არ არის თანახმა, მაშინ ამას აკეთებს ცალმხრივი დეკლარაციის წესით. გულახდილად რომ გითხრათ, ამჟამად ევროსასამართლოში ისეთი საგიჟეთია, რომ, თუ იქ წულუკიანს სურს მუშაობას გაგრძელება, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

– რას გულისხმობთ საგიჟეთში?

– ბოლოს, როდესაც მე გახლდით სტრასბურგის სასამართლოში, ეს იყო გასული წლის ნოემბერი, ოფიციალურად დადასტურებული იყო 640 ათასი საქმე, რომელიც არსებითად განხილვის მიზნით აწერია სტრასბურგის სასამართლოს. წარმოიდგინეთ, რა ხდება სასამართლოში, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი საქმე აქვს განსახილველი.

წარადგენენ თუ არა წულუკიანს სტრასბურგის სასამართლოში და ამ შემთხვევაში ვინ დაიკავებს იუსტიციის მინისტრის ვაკანტურ თანამდებობას? ეს, წესით, უახლოეს ხანში გამოჩნდება, მანამდე კი, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, იუსტიციის მინისტრობის სურვილს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი გამოთქვამს. კულუარებში ითქვა ისიც, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ იმერლიშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა. საქმე შიდა ინტრიგებს ეხება, რაშიც ექსპრემიერმა ირინა იმერლიშვილი გამოიჭირა. შესაბამისად, თავად იმერლიშვილის სურვილის მიუხედავად, მისი იუსტიციის მინისტრობა ნაკლებად სავარაუდოა. შეგახსენებთ, რომ ის ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას უმიზნებდა, თუმცა მისი კანდიდატურა აქაც ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით დაიბლოკა.

ევროპული კონვენციის მიხედვით, ნონა წოწორიას უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპის საბჭოში წარსადგენი სამი კანდიდატი უნდა შეარჩიოს, რომელთაგან ერთ-ერთს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ხმათა უმრავლესობით ირჩევს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომელ კანდიდატს მიანიჭებს უპირატესობას თავად სახელმწიფო. ამ საკითხის სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ შერჩევის პროცესში მოხდეს ხელისუფლებისთვის სასურველი ერთი კანდიდატის შერჩევა, დანარჩენი ორი კი ფორმალურად იქნეს წარდგენილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, ეკა ბესელია ევროსაბჭოს იმ ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, რომელიც ევროსასამართლოს მოსამართლეებს არჩევს, გასაკვირი არ იქნება, რომ წარდგენილი სამი კანდიდატიდან პრიორიტეტი ხელისუფლების ფავორიტს მიენიჭოს. ზემოხსენებული ქვეკომიტეტის მიერ შერჩეულ კანდიდატს უკვე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა დაამტკიცებს.

ევროპული კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და/ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნეები. კანდიდატს, ასევე, უნდა გაჩნდეს შესაბამისი გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ის უნდა ფლობდეს ინგლისურ, ან ფრანგულ ენას“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კლინიკების მონიტორინგი იწყება

სტატისტიკა შემაშფოთებელია

„სტატისტიკის თანახმად, იმრავლა არასწორად ჩატარებული ოპერაციებისა და პაციენტთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა“

ნელი თორდია

2015 წლის 15 მაისიდან ჯანდაცვის სამინისტრო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკების მონიტორინგს იწყებს.

„პაციენტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ თავმჯდომარე ნანა სანაია აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან სახეზეა პაციენტთა გახშირებული სიკვდილიანობისა და კლინიკებში მოძველებული სამედიცინო აპარატურის არსებობის ფაქტები.

– სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი აუცილებელი და, სამწუხაროდ, დაგვიანებული ღონისძიებაა. სტატისტიკის თანახმად, იმრავლა არასწორად ჩატარებული ოპერაციებისა და პაციენტთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა. ამ ყველაფერს კი ექიმების კვალიფიკაციამდე მივყავართ, რომელიც აუცილებელ შემოწმებას საჭიროებს. უამრავი ფაქტის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს მხრიდან არ ხდება ექიმის ბრალეულობის აღიარება. ექიმების კვალიფიკაციის გარდა, შესამოწმებელია კლინიკებში განთავსებული სამედიცინო აპარატურის ვარგისიანობაც. საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილია, რომ დაუშვებელია 19 და უფრო მეტი წლის აპარატურის სამედიცინო მიზნებით გამოყენება, თუმცა ბევრ საავადმყოფოში ამჟამადაც დგას მოძველებული აპარატურა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში სწორ დიაგნოზს ვერ დასვამს.

ნანა სანაია

დადასტურდა თუ არა პაციენტების სამედიცინო მომსახურებისთვის თანხის მოთხოვნის ფაქტები, რა მიმართულებით ჩატარდება ჯანდაცვის სამინისტროს მონიტორინგი და ექიმების კვალიფიკაციასთან ერთად შემოწმდება თუ არა სამედიცინო აპარატურის ხარისხი? ამის გასარკვევად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძეს** დავუკავშირდით:

– მონიტორინგში ჩართული იქნება სამინისტროს სამი უწყება: საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო და სოციალური მომსახურების სააგენტო. ეს სტრუქტურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ მონიტორინგს. ბუნებრივია, ამაში შევა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც და ისიც, რამდენად აკმაყოფილებენ ექიმები სასერტიფიკაციო მოთხოვნებს. ასეთი მონიტორინგი მუდმივად ტარდება, მაგრამ ახლა ნებისმიერი სახის ექსცესის პრევენციისთვის ჩატარდება, რომ დაცული იქნას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ყველა პირობა.

„დაუშვებელია 19 და უფრო მეტი წლის აპარატურის სამედიცინო მიზნებით გამოყენება, თუმცა ბევრ საავადმყოფოში ამჟამადაც დგას მოძველებული აპარატურა“

პროკურატურის მთავარი მოწმე დაიკარგა

ირაკლი მამალაძე

გიო მამულაშვილი

გიო მამულაშვილის გაუჩინარება კრიმინალს უკავშირდება

„ვიცი, რომ ის ადვოკატი და გამომძიებელი საპროცესოზე ელოდებოდნენ“

უკვე 8 დღეა, 19 წლის გიო მამულაშვილს პოლიცია უშედეგოდ ეძებს. ოჯახის წევრების ინფორმაციით, 19 წლის ახალგაზრდა 27 მაისს ყვარლიდან თბილისში ბრუნდებოდა, რა დროსაც კვალი დაიკარგა და იგი აღარავის უნახავს. ნათესავები და მეგობრები გიოს ახასიათებენ, როგორც გაწონასწორებულ, კომუნიკაბელურ და თავისუფალ ადამიანს. ამბობენ იმასაც, რომ მას არ ჰქონია ყოფითი პრობლემები. გიო მამულაშვილი თბილისში ცხოვრობს და ის რამდენიმე დღით იმყოფებოდა ყვარელში. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, გაუჩინარებული ახალგაზრდა ყვარლიდან თბილისში ადვოკატთან შესახვედრად გამოემგზავრა. ამ შეხვედრის მიზეზი კი რამდენიმე თვის წინ მომხდარი დანაშაული იყო, რომელიც მამულაშვილსა და მის მეგობარს უკავშირდებოდა. კერძოდ, დაახლოებით 3 თვის წინ დიღმის მასივში შუახნის მამაკაცსა და ახალგაზრდებს შორის ინციდენტი მოხდა, რა დროსაც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბლაგვი საგნით თავის არეში მძიმე დაზიანება მიაყენეს 50 წლის ბადრი სილაგაძეს. ამ ინციდენტში მონაწილე ყველა პირი პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა, მათ შორის იყო გაუჩინარებული 19 წლის გიო მამულაშვილი და მისი მეგობარი, 22 წლის ნიკა ახვლედიანი, რომელსაც მომხდარის გამო 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვები მიმდინარეობს, პროცესზე გაუჩინარებული 19 წლის გიო მამულაშვილიც უნდა დაკითხულიყო და მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით ჩვენება უნდა მიეცა, თუმცა ადვოკატთან შეხვედრაზე წამოსული 19 წლის ახალგაზრდა გაუჩინარდა. გიო მამულაშვილის მეგობრები პირად საუბარში არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მისი გაუჩინარება იმ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდებოდეს, რომლის გამოც მისი მეგობარია დაჭერილი, თავად კი საპროცესო გარიგებას დასთანხმდა. 19 წლის ახალგაზრდა 27 მაისს ყვარლიდან თბილისში მოემგზავრება, რომ პროკურატურასთან გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებას ხელი მოაწეროს. ამის შემდეგ კი მას სასამართლოსთვის ჩვენება უნდა მიეცა, რომელიც, სავარაუდოდ, ბრალდების მხარის სასარგებლოდ ჩაითვლებოდა. ცნობილია ისიც, რომ ყვარლიდან წამოსულ გიო მამულაშვილს თბილისში ადვოკატი ელოდებოდა და ისინი ერთად უნდა მისულიყვნენ გამომძიებელთან. ამავე ვერსიის თანახმად, გიო მამულაშვილმა შესაძლოა, ბოლო მომენტში გადაიფიქრა საპროცესო გარიგებაზე წასვლა და პროკურატურისთვის სასარგებლო ჩვენების მიცემა. მეგობრების ამ ვარაუდს არ ეთანხმებიან დაკარგული ახალგაზრდის ნათესავები, თუმცა მათ არც საკუთარი ვერსია აქვთ, სად შეიძლებოდა გაუჩინარებულიყო 19 წლის ახალგაზრდა.

გიორგი ყანდაურაშვილი, გიო მამულაშვილის დეიდაშვილი:

– გიორგის ოჯახს ან პოლიციას აქვს რაიმე გამოკვეთილი ვერსია ამ საქმესთან დაკავშირებით?

– ამ ეტაპზე არანაირი ვერსია არ გაგვაჩნია. თუ რამე კვალზე წავედით, არ გაამართლა. ჩართულია მთელი პოლიცია, სურათებიც გავავრცელეთ ტელევიზიით, მაგრამ აი, ასეა გაუჩინარებული.

– რაიმე სერიოზული პრობლემები ხომ არ ჰქონდა?

– არა, ძალიან თავისუფალი ადამიანია, არც ჩაკეტილია და არც პრობლემატური, მთელი სანათესაოს სული და გულია.

– როგორც ვიცით, მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა სამართალდამცველებთან, ამას ხომ არ უკავშირებთ?

– ეგეც დალაგებული იყო უკვე და მოგვარებული, მაგას არ ვუკავშირებთ.

– როგორც ვიცი, ჩვენება უნდა მიეცა სასამართლოსთვის...

– კი, მაგ საკითხზე წამოვიდა ყვარლიდან, ადვოკატს უნდა შეხვედროდა და საპროცესო უნდა გაეფორმებინათ, მაგას არავინ არაფერს აღარ ედავებოდა.

– ჩვენება საპროცესო გარიგების სანაცვლოდ უნდა მიეცა?

– ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ის ადვოკატი და გამომძიებელი საპროცესოზე ელოდებდნენ.

– ხომ არ ფიქრობთ, თუ ის ბრალდების მხარის სასარგებლოდ აპირებდა ჩვენების მიცემას, მორალური პრობლემა ხომ არ შეექმნა?

– არა, რა პრობლემები უნდა შექმნოდა, გარკვეული იყო ყველაფერი. მაგას, უბრალოდ, რაც მოხდა, ის უნდა ეთქვა, რასაც შეესწრო. ამ ვერსიას არ განვიხილავთ არც ჩვენ და არც პოლიცია.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გარკვია, რა საპროცესო შეთანხმებაზე მიმდინარებდა მუშაობა პროკურატურასა და გაუჩინარებულ გიო მამულაშვილს შორის. თავდაპირველად მთავარი პროკურატურის პრესსამსახურში დაგვპირდნენ საკითხში გარკვევას, თუმცა მოგვიანებით ჩვენს ზარებს აღარ უპასუხეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კვირის მთავარი ინტრიგა

- **რა მესიჯი გაუგზავნა პრეზიდენტმა პრემიერს**
- **ვინ დაალოგირა თინა ხიდაშელი**
- **რა ხდებოდა კულისებში და რა მოხდება პარლამენტში**

ქეთი ხატიაშვილი

რა იყო გასული კვირის მთავარი ინტრიგა, რა მესიჯი გაუგზავნა გიორგი მარგველაშვილმა მმართველ კოალიციას და რა პროცესები დააანონსა მან, რა ხდება სამთავრობო კულუარებში და რესპუბლიკელები, როგორც ფაქტორი...

ცვლილების მიზანი

სამთავრობო ცვლილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც თავდაპირველად დაანონსდა და სულ ორი მინისტრის შეცვლას ითვალისწინებდა, ის ფინანსურ კრიზისზე რეაგირებისთვის ან რაიმე სხვა გამოწვევის საპასუხო ნაბიჯი არ ყოფილა. ცოტა უცნაურია, რომ ექსპერტების უმეტესობამ აქცენტი სწორედ ამაზე გააკეთა. თუმცა, მეორე მხრივ, მათი მხრიდან ამ მოლოდინებზე ფოკუსირება გასაგებია. პოლიტიკურ ბრძოლაში ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს, ქვეყანაში კრიზისი დააფიქსიროს და შემდეგ თქვას, რომ ხელისუფლება მასზე არ რეაგირებს.

თუმცა, ეკონომიკურ გუნდში ცვლილებების განხორციელება იმ ფონზე, როცა მმართველი გუნდი ფინანსურ კრიზისს ეროვნული ბანკის ანგარიშზე წერს, გაუგებარი იქნებოდა.

ბოლო განცხადება ამ თემაზე, მაგალითად, თეა წულუკიანმა გააკეთა. იუსტიციის მინისტრმა ღიად და მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომელიც ვერტიკალის პოზიციას მთლიანად ემთხვევა:

– ეროვნული ვალუტა აბარია ბატონ ქადაგიძეს. ამიტომ ეს არის ეროვნული ბანკის ბრალი... ნომერ პირველი დამნაშავე ჩემთვის არის ეროვნული ბანკი, – აღნიშნა წულუკიანმა.

არ არის გამორიცხული, მთავრობაში განხორციელებული ცვლილება უფრო პოლიტიკური მნიშვნელობის ყოფილიყო. ის, როგორც ჩანს, მაინც ითვალისწინებდა პრემიერის პოლიტიკური იმიჯის განმტკიცებას. ოპოზიციის მხრიდან მუდმივი ლაპარაკი იმაზე, რომ ღარიბაშვილს არც გავლენა აქვს და არც არავითარი წონა, და რომ მას მალე შეცვლიან, ამ მესიჯებს მთლიანად გააცამტვერებდა. განსაკუთრებით იბიარდისა და რიგის სამიტის წინ ეს სერიოზული სიგნალი იქნებოდა – პრემიერს გავლენებიც აქვს, პოლიტიკური წონაც, გუნდიც ჰყავს, უმრავლესობაც მხარს უჭერს და პრეზიდენტიც.

მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პრემიერი შეივსებდა ექვსი მინისტრის გამოცვლის ლიმიტს, რომელიც უკვე თითქმის ამოწურული ჰქონდა. ეს კი მას მოქმედებისა და ლავირების მეტ საშუალებას მისცემდა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, თავის დროზე ჩაფიქრებული ცვლილებები, უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ეკონომიკური, კრიზისული ან კოალიციური...

და თითქოს ყველაფერი უკვე მზად იყო, რომ კაბინეტში ცვლილებებმა, პოლიტიკურთან ერთად, კოალიციურის დატვირთვაც შეიძინა. ახლა ბევრი დავა და კამათია, რატომ და როგორ განხორციელდა ეს ცვლილებები, უნდოდა და ფიქრობდა ამაზე პრემიერი ღარიბაშვილი თუ არა? ერია ამ დანიშვნაში ამერიკის ელჩის ხელი თუ არა? ივაჭრეს რესპუბლიკელებმა თუ არა.

და როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, ის, რომ პარლამენტის მსგავსად აღმასრულებელი ხელისუფლებაც კოალიციურია, რეალობის გათვალისწინება უფროა ამ ეტაპზე, ვიდრე ვაჭრობის შედეგი. რესპუბლიკელები გამოცდილი პოლიტიკოსები არიან და კულუარული თამაშის წესები კარგად იციან.

თავისუფალი დემოკრატების წასვლის შემდეგ მათ ხმებს მართლაც ოქროს ფასი დაედო ყველა მნიშვნელობით – ხმებისა და ორიენტაციის მიმართულებით.

ასე რომ, ალასანიამ რესპუბლიკელებს დიდი სამსახური გაუწია. საერთოდაც, თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა არამხოლოდ ძალიან იჩქარა, წინდაუხედავადაც მოიქცა.

პრეზიდენტის პროტესტი

ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ რესპუბლიკელების მხრიდან შანტაჟზე მიანიშნა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, როცა პრემიერის მიერ წარდგენილ კაბინეტის სიას ხელი არ მოაწერა და აღმასრულებელ ხელისუფლებას მოსაფიქრებლად კიდევ ერთი კვირის ვადა მისცა. საგანგებო ბრიფინგზე გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ ის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ ერთადერთ საშუალებას იყენებს და სიის შემადგენლობას ხელს არ აწერს. მთავარსარდალმა მრავალმნიშვნელოვნად იკითხა: როდემდე უნდა ვცვალოთ თავდაცვის მინისტრებიო.

მარგველაშვილმა თავის საგანგებო განცხადებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ მას ერთადერთი, რაც შეუძლია, ეს ერთკვირიანი ვადის გამოყენებაა. ანუ კონსტიტუცია რომ მას სხვა სერიოზულ ბერკეტებსაც აძლევდეს, მთავარსარდალი, როგორც ჩანს, თინა ხიდაშელის კანდიდატურას თავდაცვის მინისტრის პოსტზე დაბლოკავდა.

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით, გიორგი მარგველაშვილმა თავისი გადაწყვეტილებით ეჭვებიც გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რამდენად თავისუფალი იყო ირაკლი ღარიბაშვილი თავის გადაწყვეტილებებში, ხომ არ იქონიეს მასზე გავლენა, რადგანაც მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა და მოულოდნელად შეიცვალა ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, როგორიც თავდაცვის მინისტრია.

მოგვიანებით, გიორგი მარგველაშვილმა უკვე გადაცემა „რეაქციაში“ იმ მოლოდინებზე ისაუბრა, რაც მას ამ ერთ კვირასთან დაკავშირებით აქვს:

– მე მაინც ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ერთი კვირა გამოყენებული იქნება პოზიტიურად და მთავრობა და უმრავლესობა ინტენსიურ დიალოგში შევა ერთმანეთთან...

რა შეიძლება მოხდეს პარლამენტში

რესპუბლიკელების მიმართ უმრავლესობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. თავად რესპუბლიკელები ინტერვიუებსა თუ პირად საუბრებში ყოველთვის ამბობენ, რომ ისინი, ვისაც რესპუბლიკელების კრიტიკა უხარიათ, ამას მხოლოდ შურის გამო აკეთებენ – დიახ, მათ უნდათ, რომ ჩვენი ადგილი და სივრცე დაიკავონ კოალიციაში, ჩვენ კი მათ ამის უფლებას არ ვაძლევთ. ასეთია მათი პოზიცია და ეს პოზიცია სავსებით მართებული და ლოგიკურია.

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის შეფასებით, არ არის გამორიცხული, ერთკვირიანი პაუზა, რომელიც პრეზიდენტმა როგორც უმრავლესობას, ისე მთავრობას მისცა, ვაჭრობებისთვის გამოიყენონ. მისი მინიშნებით, უმრავლესობაში არიან სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც, ასევე, მოითხოვენ ვერტიკალზე საკუთარი კადრის დანიშვნას.

თუმცა, მთელ ამ აბრაკადაბრაში ერთი საინტერესო დეტალია. პროცედურების მიხედვით, პარლამენტმა კაბინეტის მთლიან შემადგენლობას უნდა უყაროს კენჭი. ლევან ალაფიშვილის განმარტებით, თუკი პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს, მაშინ კაბინეტი მთლიანად უნდა გადადგეს და მისი ხელახალი დაკომპლექტება უნდა დაიწყოს.

ასე რომ, ახლა ვაჭრობასაც ფასი დაედება. თუმცა, ალაფიშვილის განმარტებით, რიგის სამიტის წინ პარლამენტში რაიმე ვნებათაღელვა და არეულობა მოსალოდნელი არ არის. ეს მხოლოდ თეორიული შანსია, – აცხადებს ალაფიშვილი.

მისივე განმარტებით, მმართველ კოალიციაში სამი ძირითადი ლიდერი იკვეთება: ირაკლი ღარიბაშვილი, დავით უსუფაშვილი და კახი კალაძე, შესაბამისად, გავლენის სფეროებიც სწორედ მათ შორის გადანაწილდება. ჯერჯერობით, ირწმუნებიან, რომ ამ შვიდ დღეში არაფერი შეიცვლება და პრეზიდენტს ძველი სიის პარლამენტში გადაგზავნა მოუწევს. ექსპერტების ნაწილის განმარტებით, ეს გარკვეულწილად პრეზიდენტის იმიჯზეც ნეგატიურად აისახება. რადგანაც ის ვერანაირ პოლიტიკურ პროცესს ვერ შექმნის, უბრალოდ, იყენებს მის ხელთ არსებულ უფლებებს და მეტი არაფერი.

ვინ იქნება გამარჯვებული და ვინ წაგებული ამ ვაჭრობაში? ექსპერტებს აქ რაიმეს თქმა უჭირთ. ვარაუდი იმდენივეა, რამდენი ლიდერიც იკვეთება კოალიციაში. ანუ ზოგი რესპუბლიკელებს გულშემატკივრობს, ზოგი – პრემიერ ღარიბაშვილს და ზოგიც – ვიცე-პრემიერ კალაძეს. დასკვნები და ვერსიებიც განსხვავებულია. საბოლოო ჯამში, მათ იმის თქმაც უჭირთ, ეს უკვე ნიშნავს საარჩევნოდ კოალიციის გაფორმებას თუ ისინი 2016 წლის საარჩევნო რინგზე ცალ-ცალკე წარდგებიან.

ჯერჯერობით ჩვენ ვაკვირდებით რესპუბლიკელების სერიოზულ გაძლიერებას. რა თქმა უნდა, პოზიციების გაძლიერებასთან ერთად, ისინი პასუხისმგებლობასაც იყოფენ. ადრე მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაში მონაწილეობდნენ, რაც მათ სერიოზულ პასუხისმგებლობას არ აკისრებდა. ახლა ისინი ყველა სერიოზულ პროცესზე იქნებიან პასუხისმგებლები, მათ შორის ფინანსურ კრიზისზეც.

სხვა კითხვაც არსებობს აქ, რატომ მაინცდამაინც თავდაცვის მინისტრის პოსტი? ერთი მხრივ, ყველაფერი, რაც ჯარს უკავშირდება, პოზიტიურ განწყობას ქმნის და, შესაბამისად, თინა ხიდაშელს წაუგებელ თამაშში რთავს. წესით, მისი რეიტინგი უნდა გაიზარდოს. თუმცა, ლევან ალაფიშვილის შეფასებით, ნარმატებული პორტფელის მიუხედავად, ხიდაშელს მაღალი რეიტინგის ფუფუნება არ და ვერ ექნება, თუკი ის ჯარში რეალურ გავლენებსა და დადებით განწყობებს არ მოიპოვებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, ხიდაშელი როგორ პოლიტიკას გაატარებს, – განმარტავს ალაფიშვილი. ეს მარტივი თემა არ არის და ადვილიც არ იქნება.

ასე რომ, კულისებში ვითარება თითქოს დაიძაბა, თუმცა, ექსპერტები რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელოდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამედიცინო კორპორაცია Evex“-მა ღვიძლის გადანერგვის მესამე წარმატებული ოპერაცია ჩაატარა

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

თამარ გოგაძე

„სამედიცინო კორპორაცია Evex“-ის ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში, რომელიც Evex-ის ჰოსპიტალური ქსელის ცენტრალური საავადმყოფოა და აჭარის რეგიონის ყველაზე მსხვილ კლინიკას წარმოადგენს, ღვიძლის გადანერგვის უკვე მესამე წარმატებული ოპერაცია ჩაატარდა. პირველი ოპერაცია გასული წლის დეკემბერში გაკეთდა. სამივე შემთხვევაში ოპერაცია წარმატებულად დასრულდა, როგორც დონორისთვის, ასევე რეციპიენტისთვის. ამ ურთულესი ოპერაციის საშუალო დროის ხანგრძლივობა დაახლოებით 20 საათია. პირველ შემთხვევაში 27 წლის ძმამ საკუთარი ღვიძლის ერთი ნაწილი ციროზით დაავადებულ 32 წლის დას მისცა. ღვიძლის ტრანსპლანტაციისთვის მზადება სამედიცინო კორპორაცია „ევექსმა“ წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო, ამ დროის განმავლობაში ქართველი ექიმები მსოფლიოს იმ ქვეყნებში გადამზადდნენ, სადაც ღვიძლის ცოცხალი დონორიდან ტრანსპლანტაციები ყველაზე ხშირად კეთდება. ოპერაციას ქირურგი კახა ქაშიბაძე ხელმძღვანელობდა. ორ შემთხვევაში დონორი იყო ძმა, მესამე შემთხვევაში კი ბიძაშვილი. ღვიძლის გადანერგვა მხოლოდ მაშინ კეთდება, როდესაც ყველა სხვა შანსი ამოწურულია. სამივე შემთხვევა იყო დაკავშირებული ციროზთან ანუ ღვიძლის იმგვარ გადაგვარებასთან, ოპერაციის გარდა რომ არაფერი შველის. საქართველოში დღეს ბევრი პაციენტი ელოდება ამ ოპერაციას. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ თავისი ქსელის ერთ-ერთ კლინიკაში მსგავსი ოპერაცია დაეწყო. ამისთვის წელიწად-ნახევარი ემზადებოდნენ. რა ჯდება ეს ურთულესი ოპერაცია, სად უნდა მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა და როგორ ირჩევა დონორი - ჩვენ კითხვებს „Evex“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე პასუხობს.

ვანო ბოკერია:

- ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალის თანამშრომლები - ექიმები, ქირურგები, ანესთეზიოლოგები, მედდები სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებში - თურქეთში, ბელორუსიაში, ინდოეთში მომზადდა. ამ პერიოდის განმავლობაში ინფრასტრუქტურულად შესაბამისობაში მოვიდა კლინიკაც. ამ ტიპის ოპერაციების ჩატარებას სერიოზული აღჭურვილობა სჭირდება. მნიშვნელოვანია პოსტოპერაციული პერიოდიც, ორი თერაპევტი იმყოფებოდა სხვადასხვა კლინიკაში და პოსტოპერაციულ მართვას სწავლობდნენ. საქართველო ამ ტრანსპლანტაციის თვალსაზრისით ევროპის განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩება, სადაც განვითარებულია გვამური დონაცია. ასევე ჩამორჩება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებს, სადაც ადრე დაიწყეს ღვიძლის გადანერგვა.

- დღეს რა შესაძლებლობა აქვს ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალს, თვეში რამდენი ოპერაციის ჩატარებაა შესაძლებელი?

- ბათუმის ჰოსპიტალში ახლა შეიქმნა ღვიძლის და სანაღვლე გზების განყოფილება, რომელსაც იტალიელი სპეციალისტი ხელმძღვანელობს. ის განყოფილების გამგეა. ღვიძლის ტრანსპლანტაცია ღვიძლისა და სანაღვლე გზების რთული ოპერაციების მწვერვალად ითლება. ქართველების გარდა ამ ოპერაციაში ინდოელი ქირურგია ჩართული, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მას ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს ინდოეთის პოპულაციიდან გამომდინარე. გვამური დონაცია არც ინდოეთში ხდება, ღვიძლის ნაწილის აღება ცოცხალი დონორიდან ხორციელდება. ოპერაციის დროს ბათუმში ერთ-ერთი სპეციალისტი ჩამოდის, რომ მთლიანი პროცესი წაიყვანოს. გამოცდილი ქირურგი ჩვენი ტიპის მცირე პოპულაციურ ქვეყანას ხანგრძლივი დროის პატრონაჟს უწევს, რომ ამ მხრივ განვითარდეს ჩვენი მედიცინა. ამდენად, რახან ინდოელი ქირურგის ჩამოსვლაზე ვართ დამოკიდებული, ჯერჯერობით შესაძლებელია თვეში ერთი, მაქსიმუმ ორი გადანერგვის გაკეთება, რაც საწყის ეტაპზე სწორია. ჩვენ სკრუპულოზულად ვარჩევთ პაციენტებს, რადგან, ერთი მხრივ არ გავუქროთ შანსი იმათ, ვისაც ძალიან სჭირდება ოპერაციის გაკეთება, სიცოცხლის დრო განსაზღვრული აქვს, მეორი მხრივ, იმაზე მეტი რისკი არ ავიღოთ, რისი მართვაც არ შეგვიძლია.

- როგორია მომართვიანობა?

- მომართვიანობა საკმაოდ დიდია. აქამდე თურქეთში მიდიოდნენ ქართველი პაციენტები, სადაც ამ ოპერაციის საფასური 120 თას დოლარამდე მერყეობს. ჩვენ პირველი გადანერგვა ბათუმში უფასოდ გავაკეთეთ. პირველი იყო, ჩვენ ამისთვის ვემზადებოდით და ბევრი რესურსი იყო მასში ჩართული. ამავდროულად იყო ისტორიულიც. ის კომპანიის ხარჯებით გაკეთდა. შემდეგ უკვე დეტალურად გაითვალა და ოპერაციას რეალური ფასი დაედო. ახლა ღვიძლის გადანერგვა საქართველოში 100 ათასი ლარი ჯდება. ეს უკიდურესად ქვემო ზღვარია, რაც შეიძლება ეს ოპერაცია დაჯდეს. ძალიან დიდია ის ხარჯები, რაც ამ ოპერაციას თან სდევს. უკვე მეოთხე ოპერაციისთვის ვემზადებით, რომელიც მალე დაიგეგმება.

- დაინტერესებულმა პირებმა ვის უნდა მიაკითხონ?

- თბილისში მომართვა ვისთვისაც უფრო ხელსაყრელია, შეუძლია თბილისის ამბულატორიას მომართოს, ვაჟა-ფშაველას 40 ნომერში. ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელია მარიკა თოიძე. ის და მისი ჯგუფი კონსულტაციას გაუწევენ. და ასევე შეუძლიათ მიმართონ ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალს, კერძოდ სოფო ბერიძეს.

- ბატონო ვანო, დონორს როგორ ირჩევთ?

- დონორის შერჩევა კანონმდებლობით რეგულირდება. ის უნდა იყოს ოჯახის წევრი, დედა, მამა, შვილი, და, ძმა ან ბიძაშვილი. კლინიკური თვალსაზრისით კი, ღვიძლის დონაციის შემთხვევაში, აუცილებელია დონორი იყოს სისხლის იგივე რეზუსის და ჯგუფის მქონე პირი. ყველა შემთხვევა გადის ეთიკურ კომისიაზე, დასტურდება დიაგნოზი, გადანერგვის აუცილებლობა და დონორის კავშირები, რანდენად რეალურია მოტანილი ცნობა. ოპერაციამდე კეთდება სრული კვლევა, როგორც პაციენტის, ასევე დონორის. დონორის ღვიძლი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, არ უნდა იყოს დაავადებული, უნდა იყოს ზომიერად გაცხიმოვნებული და ასე შემდეგ... დასკვნის შემდეგ ჩვენ იურიდიულად შესაძლებლობა გვაქვს დავგეგმოთ ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ რეციპიენტის საავადმყოფოში დაყოვნება 10-14 დღეს არ აღემატება. დონორი ხუთი დღის შემდეგ სახლშია.

- ვინ არის ის ქართველი ქირურგი, ვინც ეს ურთულესი ოპერაცია საქართველოში პირველად გააკეთა?

- ბათუმის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა ქაშიბაძე გახლავთ, რომელიც ყველაზე ხანგრძლივად იყო ინდოეთში გაგზავნილი. მას რამდენიმე ქირურგი ეხმარება თბილისიდანაც. ერთ-ერთია გია თომაძე. როდესაც ოპერაციაა დაგეგმილი ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალის თანამშრომლების გარდა მობილიზებული არიან თბილისიდან ჩვენი ქსელის მიმართულების ხელმძღვანელები, კრიტიკული მედიცინიდან ლევან სუხიშვილი, თერაპიულიდან მარიკა თოიძე, საექთნოდან თამუნა დაუსი. პარალელურად მზადდებიან ბათუმის სპეციალისტები და ვფიქრობთ, ორი-სამი გადანერგვის შემდეგ თბილისიდან ჩასვლაც არ იქნება საჭირო. ჯერჯერობით ყოველი გაკეთებული ოპერაციის შემდეგ გამარჯვების შეგრძნებაა. ვფიქრობ, ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩვეულებრივი ამბავი გახდება, თუმცა მაღალი რისკის შემცველი. ძალიან საინტერესო და მადლიანი პროცესია. პირველი შემთხვევისას ქალბატონს ექვსთვიანი სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. ამ ოპერაციისას ასეთ პაციენტებზეა საუბარი, როდესაც სიკვდილი მოკლე დროში დგება. რისკი თავისთვისაც კარგად არის აწონილი. დონორის თემაც ეთიკური და მნიშვნელოვანია. ის მორალურ-ეთიკური ზეწოლისგან უნდა იყოს დაცული. მათთვის, ვინც ვერ შეძლებს ოჯახის წევრისთვის დონორობას, ისეთი იმიჯი არ უნდა შევქმნათ, რომ ცუდ მდგომარეობაში ჩავაყენოთ. დონორობა გმირობაა, მაგრამ ყველა გმირი ვერ იქნება. მასაც უნდა გაუგონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ჩვენება მისცა უკრაინის ციხეში მყოფმა ედუარდ სინდოიანმა ვაზაგაშვილის საქმეზე?

„საყაჩაღოდ არ მივდიოდით... ვაზაგაშვილს, ხუბულოვსა და ფუთურიძეს ვარკეთილის მეტროსთან ნარკოტიკების შესაძენად ველოდებოდი“

გიორგი ცააძე

მირიან ბოქოლიშვილი

საიდუმლო მოწმე, რომლის შესახებაც იური ვაზაგაშვილი გარდაცვალებამდე საუბრობდა, პროკურატურას სკანდალურ ჩვენებას აძლევს... ამ მოწმის შესახებ ინფორმირებული გახლდათ თვით ბიძინა ივანიშვილიც. „იურომ მითხრა, რომ უკრაინაში გამოჩნდნენ ახალი მოწმეები, რომლებიც ამ ფაქტს დაადასტურებდნენ და ამით ძალიან გახარებული იყო. ძალიან ვინერვიულე, ისეთი დეტალები მითხრა და აქეთ მამშვიდებდა. რამდენიმე დღეში კიდევ უნდა შევხვედროდი...“ – განაცხადა მაშინ ივანიშვილმა.

ირკვევა, რომ ეს მოწმე ედუარდ სინდოიანია, რომელიც ამჟამად საკმაოდ მძიმე დანაშაულისთვის იხდის სასჯელს უკრაინის ციხეში. გამოძიების მაშინდელი ვერსიით: „სინდოიანმა 2 მაისს ჩოგბურთის კორტებთან ლიკვიდირებულ ალექსანდრე ხუბულოვთან, ზურაბ ვაზაგაშვილთან და დაკავებულ ბუბა ფუთურიძესთან ერთად ყაჩაღური თავდასხმა დაგეგმა, რომელიც ვერ განახორციელა“.

მაშინ ყველასგან მოულოდნელად სინდოიანმა დანაშაული აღიარა, პროკურატურამ მასთან საპროცესო გარიგება გააფორმა და მინიმალური სასჯელი, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარეს. სასჯელის მოხდისთანავე სინდოიანმა საქართველო დატოვა და ამ დრომდე მისი სახელი არსად გაჟღერებულა.

რამდენიმე ხნის წინ, ის უკრაინის იზოლატორში კორტების საქმეზე დაკითხეს. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა სინდოიანის ჩვენების ერთი ნაწილი, სადაც ის ზეწოლის შესახებ საუბრობს და განმარტავს, რომ იმ დღეს, ვაზაგაშვილთან ერთად, არა საყაჩაღოდ, არამედ ნარკოტიკების შესაძენად მიდიოდა.

უკრაინაში დაკითხული სინდოიანი გამოძიებას ჩვენებას რუსულ ენაზე აძლევს. დაკითხვას აწარმოებს ქუთაისელი გამომძიებელი, ვინმე სვანიძე, რომელსაც ასევე ესწრებიან თარჯიმანი, საელჩოსა და უკრაინის პროკურატურის წარმომადგენლები.

„საყაჩაღოდ არ მივდიოდით. ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ვაზაგაშვილს, ხუბულოვსა და ფუთურიძეს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ველოდებოდი“, – ასეთ ვერსიას სთავაზობს გამოძიებას ედუარდ სინდოიანი.

ჩვენებაში ის დეტალურად აღწერს, საიდან იცნობდა აღნიშნულ სამ პიროვნებას და სად აპირებდნენ ნარკოტიკების შეძენას. ჩვენების ქართულ თარგმანში საუბარია სინდოიანის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე. მისი თქმით, გამომძიებლებმა ძალის გამოყენებით მათთვის სასურველი ჩვენება გამოსტყუეს.

სინდოიანის შესახებ კომენტარი ირაკლი ფირცხალავამ მის დაკავებამდე გააკეთა. მისი თქმით, ეს პიროვნება და მისი ჯგუფი განსაკუთრებით საშიში კრიმინალები იყვნენ.

„ედუარდ სინდოიანი არის რეციდივისტი მრავალჯერ ნასამართლევი, რომელიც უკრაინაში სასჯელს იხდის. მან ყაჩაღობის დროს ქალს თავი მოაჭრა. ასეთი ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფის წინააღმდეგ იყო სპეცოპერაცია, რომელსაც სამართალდამცავებმა თავი წარმატებით გაართვეს... ეს ღონისძიება მარტო 2 მაისის სპეცოპერაციით არ შემოფარგლულა. ამ კრიმინალურ ჯგუფზე მანამდეც არსებობდა ოპერატიული ინფორმაციები, ამ ადამიანებზე ხორციელდებოდა ოპერატიული თვალთვალი. საბოლოოდ, ამ კრიმინალური დაჯგუფების კვალი უნდა მისულიყო სინდოიანამდე, რომელიც არის 4-ჯერ თუ 5-ჯერ ნასამართლევი და ამჟამად, როგორც გითხარით, უკრაინაში იხდის სასჯელს, თუ არ ვცდები, სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ზურა ვაზაგაშვილი და მისი მეგობრები 2006 წლის 2 მაისს მიდიოდნენ სინდოიანთან შესახვედრად ვარკეთილში... წინა დღესაც იმყოფებოდნენ იქ, წინასწარ შეარჩიეს მსხვერპლის სახლი და მეორე დღეს უნდა განეხორციელებინათ ყაჩაღობა. სინდოიანმა მისცა ბიჭებს ეს საქმე. სინდოიანმა აღიარებით ჩვენებაში ყველაფერი „დაფქვა“, შემდეგ კი მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა“, – განაცხადა ირაკლი ფირცხლავამ.

მოკლედ, მოულოდნელი აღიარებითი ჩვენების სანაცვლოდ ყაჩაღური თავდასხმის დაგეგმვაში მხილებულ ედუარდ სინდოიანთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, თუმცა დღეს ის აცხადებს, რომ ჩვენება ზეწოლის შედეგად მიაცემინეს. ზეწოლაში კი ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომელს, გიორგი ცააძეს ადანაშაულებს. თავად ცააძე ზურაბ ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფება და თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს.

„ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე მიმდინარეობს აშკარა და ღია პოლიტიკური დევნა. ჩემი დაკავებიდან დღემდე ვარ იზოლირებული, არ მაძლევენ საინფორმაციო საშუალებების გაცნობის შესაძლებლობას. მე ვარ უკანონო პატიმარი და სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც მე და სხვა პოლიციელები დაგვაპატიმრეს, არის პოლიტიკური ნიშნით გამოძიებული. ჩვენ ვეწირებით ვიღაცის ვიწრო პარტიულ ინტერესს“, – აცხადებს სინდოიანის მიერ ზეწოლაში მხილებული კრიმპოლის ყოფილი თანამშრომელი.

გამოძიება გიორგი ცააძეს ზურაბ ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობას ედავება. გამოძიების ინფორმაციით, სწორედ ცააძემ განახორციელა ხუბულოვისა და ვაზაგაშვილის მიმართ საკონტროლო გასროლა.

რძე დ

თამარ ივანიაძე

საქართველოში, საერთაშორისო ნორმებისგან განსხვავებით, დღემდე დაშვებულია ისეთი პროდუქტების გაყიდვა, რომლებსაც რძესთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა ბაზარზე სწორედ რძისა და რძის პროდუქტების სახელით იყიდება და ამის გამო მომხმარებელი ხშირად მათ ერთმანეთისგან ვერ არჩევს. „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი ლია თოდუა ამბობს, რომ პროდუქტი რომლის შემადგენლობაში მცენარეული ცხიმია, არ შეიძლება იყოს რძის პროდუქტი. მისივე ინფორმაციით, ქართულ ბაზარზე რძის პროდუქტის სახელით წარმოდგენილი პროდუქციის 90 პროცენტი ნამდვილ რძის პროდუქტს არ წარმოადგენს. მის ნათქვამს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ წარმოებული კვლევები ამყარებს. მათი კვლევით, მაგალითად, „მილკოფუდის რძე 2,5%“-ს მითითებული აქვს, რომ შეიცავს მცენარეულ ცხიმს, ამდენად, ეს პროდუქტი არ წარმოადგენს ნამდვილ რძეს.

ასევე ნამდვილ რძეს არ წარმოადგენს „სანტეს“ რძის შემდეგი პროდუქტებიც: „რძე სანტე 1,5%“, „რძე სანტე 2,5%“ და „რძე სანტე 3,2%“ მცენარეულ ცხიმს შეიცავს და ამდენად, უკვე ნათელია, რომ ეს არ არის ნამდვილი რძე.

ნამდვილი არაჟანი არ არის „მილკოს“ პროდუქტი დასახელებით „მილკო არაჟანი 15%“. პროდუქტს ეტიკეტზევე აქვს მითითებული, რომ მასში მცენარეული ცხიმია გამოყენებული.

ლია თოდუა კიდევ ერთი კვლევის შედეგებზეც გვესაუბრა, რომლის ფარგლებშიც 15 რძის პროდუქტი შემოწმდა. კვლევის თანახმად გამოვლინდა, რომ რძის პროდუქტს არ წარმოადგენს „არაჟანი ექსტრა სანტე 15%“, „მაწონი ექსტრა სანტე 3,2%“, „ხაჭო სანტე 6%“, „სანტისიმო გარგრის ჯემით ხაჭოს დესერტი 3,5%“, „მაწონი მე მარგო 15%“. ლია თოდუა აცხადებს, რომ მათ ეტიკეტზევე აქვთ მცენარეული ცხიმის შემცველობის შესახებ მითითებული, თუმცა იქვე დასძენს, რომ შემოწმება ახალი ჩატარებული არ აქვთ და არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათ შემადგენლობაში ცვლილებები შესულიყო. ამიტომ „პრაიმტაიმმა“ აღნიშნული პროდუქტების გადამოწმება ეტიკეტების საშუალებით, თავად სცადა.

აღმოჩნდა, რომ კვლევის ჩატარების შემდეგ სურათი არ შეცვლილა, ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების ეტიკეტების თანახმად, მათ შემცველობაში მცენარეული ცხიმი კვლავ რჩება.

ევროპის ქვეყნებში ასეთ პროდუქტზე რძის ნაწარმის დასახელების გამოყენება იკრძალება. 1 აგვისტოდან ასეთი ქვეყნების სიას საქართველოც შეუერთდება. ამისთვის „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა“ აქტიურად იმუშავა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ პეტიცია შეიმუშავა და 2 500-ზე მეტი მოქალაქის მხარდაჭერით ხელისუფლებას წარუდგინა. პეტიციაში სტრატეგიული განვითარების ცენტრი მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას კანონი, რომლითაც საქართველოში რძის პროდუქტის დასახელებით ისეთი ნაწარმის გაყიდვა აიკრძალება, რომლის კომპონენტები არა ცხოველის რძისგან, არამედ სხვა ნედლეულისგან არის დამზადებული. დოკუმენტი მთავრობამ უკვე დაამტკიცა და ის ძალაში 1 აგვისტოდან შევა.

ლია თოდუა:

- პეტიცია საჭირო გახდა, იმიტომ რომ ბაზარზე პრობლემებია. ფაქტობრივად შეიძლება წყალს დაარქვა რძე და ამ დასახელებით გაყიდო. ამის არანაირი რეგულირება არ არსებობს ამ დროისთვის. თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში ასეთია, რომ მნიშვნელოვანი პროდუქტების დასახელებას, მაგალითად, როგორიც არის რძე და რძის ნაწარმი, არეგულირებს კანონი, იმისთვის, რომ მომხმარებელი შეცდომაში არ შევიდეს.

ჩვენთან, ამ ბოლო დროს, დაიწყეს ეტიკეტზე დაწერა, რომ ამა თუ იმ რძის ნაწარმს მცენარეული ცხიმი აქვს დამატებული, თუმცა ყველამ არ იცის, რომ ასეთი შემცველობის პროდუქტი რძის პროდუქტი არ არის, თანაც, როცა მაღაზიაში შედის მომხმარებელი და მაგალითად, მაწონს ყიდულობს, არ აკვირდება ეტიკეტს, რომელზეც წვრილად არის მიწერილი, რომ მცენარეული ცხიმია მასში დამატებული. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ მცენარეული პროდუქტით ნაწარმის დამზადება ბევრად იაფია, ამიტომ ბაზარზეც მას უფრო დაბალი ფასი აქვს, ვიდრე ნამდვილ რძის ნაწარმს, მომხმარებელი კი უმეტეს შემთხვევაში დაბალფასიანს ყიდულობს. ჰგონია, რომ რძის ნაწარმი იყიდა და არ იცის, რომ მოტყუებულია.

ბაზარზე 90 პროცენტი სწორედ ასეთი პროდუქცია იყიდება. როგორც ასეთი, სრულფასოვანი და ყოვლისმომცველი კვლევა ჩვენ არ გაგვიკეთებია, თუმცა სისტემატურად ვამოწმებთ იმ პროდუქტებს, რომელიც მომხმარებელს აინტერესებს. მოწმდება პროდუქტის ცხიმში რამდენია რძის ცხიმის შემცველობა და ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე, რომ რძის ცხიმი საერთოდ არ არის, ან იმდენად მცირე რაოდენობისაა, რომ ეს პროდუქტი არ უნდა განეკუთვნებოდეს რძის ნაწარმს. ჩვენ ვერ ვყიდულობთ სახლში დამზადებულ მაწონს, ან ყველს, რადგან ასეთ პროდუქტზე ჩეკს არ გვაძლევენ, ასე რომ, ამ მიმართულებით რა სურათია, ჩვენთვის უცნობია, ძირითადად რაც მაღაზიაში იყ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა რძის ნაწარმი



„ფაქტობრივად, შეიძლება წყალს დაარქვა რძე და ამ დასახელებით გაყიდო“

რას ყიდულობს ქართველი მომხმარებელი

„ახალი რეგლამენტი ამ პრობლემას არეგულირებს, თუმცა წინააღმდეგობები შეგვხვდა, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ეს მოდიოდა ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან“

იდება იმას ვამოწმებთ, მაგალითად, საპატრიარქოს კარაქი ვიყიდეთ, რომელიც შევამოწმეთ და რეალურად არ აღმოჩნდა კარაქი, - განაცხადა თოდუამ.

ახალი რეგლამენტი, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა, ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს არეგულირებს, თუმცა, როგორც თოდუა ჩვენთან საუბარში ყვება, მუშაობის პროცესში გარკვეული წინააღმდეგობები იყო, ამ კონტექსტში თოდუა ეკონომიკის სამინისტროსა და ბიზნესსექტორზე საუბრობს.

ლია თოდუა:

- მთავარი, რაც რძის ნაწარმის ტექნიკურ რეგლამენტშია ნათქვამი - რძის ნაწარმი, ჩამოთვლილია: მაწონი, კარაქი, ხაჭო, ყველი უნდა იყოს რძისგან დამზადებული. შესაძლებელია ასევე რძის ფხვნილისგან დამზადება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს უცხო მასალა ამისთვის გამოყენებული. რძის ფხვნილი უნდა იყოს სრულფასოვანი. უბრალოდ, ჩვენთან პრობლემა იმაშია, რომ როცა ფხვნილისგან აკეთებენ ნაწარმს, ეს არ არის შრატი ან რაღაც ფხვნილი, რომელშიც ცილაც ცოტაა და არც ცხიმი აქვს, ამას უმატებენ მცენარეულ ცხიმს და გამოდის უბრალოდ, თეთრი ფერის პროდუქტი, თუმცა არა რძის ნაწარმი. ახალი რეგლამენტით ესეც რეგულირდება, იქ არის განსხვავება რძის ფხვნილსა და შრატის ფხვნილს შორის, ნათქვამია, რომ რძის კომპონენტი იგივე ცილა ან ცხიმი არ უნდა იყოს ჩანაცვლებული უცხო კომპონენტით.

ჩვენ პეტიცია 2013 წელს მივაწოდეთ მთავრობას, მათ 2014 წლის მარტში გამოგვიგზავნეს პროექტის პირველადი ვერსია, ორი თვის განმავლობაში გვქონდა შეხვედრები მთავრობასთან, შენიშვნების გაზიარების საშუალება იყო და უნდა ითქვას, რომ საბოლოო ჯამში საკმაოდ ბევრი შენიშვნა გაითვალისწინეს. თუმცა არის ისეთი შენიშვნებიც რისი გათვალისწინებაც ვერ მოხდა, მაგალითად, ჩვენ ყველის წარმოებისას ჟელატინის და სახამებლის გამოყენების აკრძლვას ვითხოვდით, მიგვანჩდა, რომ ამის დაშვებით მნიშვნელოვნად ილახებოდა მომხმარებლის ინტერესი. რა თქმა უნდა, მავნე არ არის, უბრალოდ, მათი გამოყენებით დამზადების შემთხვევაში სხვანაირი ყველი გამოვა, მომხმარებელს ეგონება, რომ მასში მეტი ცხიმია და ცილა, თუმცა შესაძლოა, სინამდვილეში მასში სასარგებლო ნივთიერებებზე მეტი, ჟელატინი იყოს.

4 -5 თვის განმავლობაში მიდიოდა მეწარმეებთან მუშაობა, მაგალითად, ჩვენ გვქონდა მკაცრი მოთხოვნა რძის სისუფთავისადმი და მეწარმეები ამბობდნენ, რომ ამას ასე მალე ვერ მიაღწევდნენ და საჭიროა ამის თანდათან გამკაცრება.

ამ პროცესის გავლა მარტივი არ იყო, წინააღმდეგობები შეგვხვდა, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ეს მოდიოდა ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, ოფიციალურად, მათ არ გამოუხატავთ წინააღმდეგობა, რაიმე საწინააღმდეგო დასკვნა ოფიციალური მათი მხრიდან არ ყოფილა, თუმცა, როცა ვიკითხე, პროცესის შეყოვნების მიზეზი, არაოფიციალურად ეს დამისახელეს. მათ მიაჩნდათ, რომ ეს არ იყო საჭირო და ამ რეგლამენტის მიღებით ბიზნესს გაუჭირდებოდა.

კითხვაზე თუ რატომ არ ამოქმედდა რეგლამენტი გამოქვეყნებისთანავე, ლია თოდუას ზუსტი პასუხი

არ აქვს, თუმცა ვარაუდობს, რომ შესაძლოა მთავრობა დროს მეწარმეებს აძლევს.

„პრაიმტაიმი“ ასევე დაინტერესდა, როგორ აფასებენ აღნიშნულ რეგლამენტს თავად კომპანიები. „მილკოფუდში“ ახალი რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ რაიმე ცვლილებებს პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებით არ გეგმავენ.

თამაზ მახარაშვილი, „მილკოფუდის“ ხარისხის მართვის მენეჯერი:

- მივესალმებით ამ ცვილილებს, რატომაც არა? ჩვენი კომპანია რძის პროდუქტებსაც აწარმოებს, რომელშიც მცენარეული ცხიმი არაა. ხოლო რაც შეეხება მცენარეული ცხიმის შემცველ პროდუქტებს, არ ვფიქრობთ, რომ მასზე მოთხოვნა შემცირდება. მასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები, მაგალითად, მასში ქოლესტერინის შემცველობა ნაკლებია, რასაც ვერ ვიტყვით რძის პროდუქტზე. ახალი რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს არჩევანის გაკეთების საშუალება ექნება.

„პრაიმტაიმი“ „სანტეს“ და „სოფლის ნობათის“ მოსაზრებებითაც დაინტერესდა, თუმცა „სანტეში“ განგვიცხადეს, რომ „ადამიანი, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე კომენტარი უნდა გააკეთოს, საქართველოში არ იმყოფება“. „სოფლის ნობათში“ თავდაპირველად კითხვებზე პასუხის გაცემას დაგვპირდნენ, თუმცა შემდეგ განაცხადეს, რომ იურისტი, რომელმაც კითხვებზე პასუხი უნდა გაგვცეს, ძალიან დაკავებულია და უახლოესი დღეების მანძილზე ვერ მოიცლის.

ახალი რეგლამენტის ამოქმედებამდე კი „პრაიმტაიმის“ მკითხველი არჩევანს, სავარაუდოდ, ეტიკეტების შემოწმების შედეგად და ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით გააკეთებს. 1 აგვისტოდან კი რძის პროდუქტების მომხმარებელთა უფლებებს ახალი რეგლამენტი დაიცავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიძინა გიორგობიანის საკითხს ანტიკორუფციული სამსახური შეისწავლის

რის სანაცვლოდ გასცა ნებართვა ხეების მოჭრაზე გამწვანების სამსახურის უფროსმა

ხათუნა მგალობლიშვილი

ბიძინა გიორგობიანის საკითხს ანტიკორუფციული სამსახური შეისწავლის. საკრებულოს წევრები უწყებას საკუთარი ინიციატივით უახლოეს დღეებში მიმართავენ. ელისაშვილის ვარაუდით, მერიის გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი იპოდრომზე, წითელ წიგნში შეტანილი ხეების მოჭრის ნებართვის გაცემისას პირადი ინტერესებით მოქმედებდა.

ბიძინა გიორგობიანის საპასუხოდ მისივე ხელმოწერილი დოკუმენტი გასაჯაროვდა. მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი კატეგორიულად უარყოფს წითელ წიგნში შეტანილი ხეების მოჭრაზე ნებართვის გაცემას, თუმცა საწინააღმდეგო წერია განცხადებაში, რომელიც 23 აპრილით არის დათარიღებული. ბიძინა გიორგობიანი სამშენებლო კომპანიას ხეების მოჭრის მოთხოვნაზე პასუხობს: „თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მშენებლობის განხორციელების მიზნით 10 ძირი ელდარის ფიჭვის ძირის, 10 ძირი კედარის, 1 ძირი აკაციის, 1 ძირი ჭადრის, 3 ძირი კვიპაროსის, 1 ძირი კვიდოს, 4 ძირი ჭადრის მოჭრას – სამსახური თანახმაა, მოიჭრას ზემოაღნიშნული ხე-მცენარეები“...

აღნიშნული ნებართვის მიღების შემდეგ სამშენებლო კომპანიამ დაიწყო ხეების მოჭრა, თუმცა ადგილობრივი მაცხოვრებლების რეაქციის შედეგად ბიძინა გიორგობიანის სამსახურმა გამოსცა ალტერნატიული ბრძანება, რომლის თანახმადაც კომპანიას ხეების მოჭრაზე უკვე მიღებული ნებართვა გაუუქმდა.

„არქი ჯგუფის“ მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი:

– ჩვენ გადავიხადეთ 90 ათას 916 ლარი, თუმცა ეს არ არის ჯარიმა, ამას ეწოდება აღდგენითი ღირებულება. რადგან ჩვენს ტერიტორიაზე საჭირო გახდა 30 ძირი ხის მოჭრა, მშენებლობისთვის მათი სრული ღირებულება შეადგენს სწორედ 90 ათას 916 ლარს, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაწესდა. ჩვენს ტერიტორიაზე უკვე დაირგო 300 ძირი ხე. გარდა ამისა, ჩვენ თავად მივმართეთ მერიას, რომ გამოეყო ტერიტორია, სადაც დავრგავდით ათას ძირ ხეს და მის მოვლა-პატრონობას ჩვენ ვიკისრებდით.

– ანუ ხეები მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ მოჭერით...

– დიახ, ხეები მოიჭრა კანონთან შესაბამისობაში, რადგან გაცემული იყო ნებართვა და ნებართვის ფარგლებში ვიმოქმედეთ.

– თუმცა შემდეგ შეაჩერეთ...

– ალტერნატიული ნებართვის გამოცემის შემდეგ ხეების მოჭრა გაჩერდა.

ბიძინა გიორგობიანი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კვლავ უარყოფს ნებართვის გაცემას და აცხადებს, რომ სამშენებლო კომპანიამ უკანონოდ დაიწყო ხეების მოჭრა, მანამ სანამ ნებართვას მიიღებდა, რის გამოც ის დაისაჯა კიდეც. თუმცა თავად „არქი ჯგუფი“ ჯარიმის გადახდას არ ადასტურებს.

ბიძინა გიორგობიანს ახსნა-განმარტებების გაკეთება საკრებულოშიც მოუწია. გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი იქაც ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ნებართვა გაიცა არა ხეების მოჭრაზე, არამედ საკითხის საკრებულოში განხილვაზე.

ბიძინა გიორგობიანი, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი:

– აღნიშნულ ტერიტორიაზე მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც შემუშავდა და საკრებულოს გადაეცა განსახილველად. იმისთვის რომ საკრებულოში მოხვედრილიყო განაშენიანების რეგულირების გეგმა, ზონალურმა საბჭომ, რომელიც მერიაში ფუნქციონირებს, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობები მხოლოდ და მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის მისაღებად აუცილებელი იყო, რომ მათ მოეპოვებიანთ თანხმობა ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურიდან. ანუ ჩვენ თანახმა ვიყავით, რომ ამ ტერიტორიაზე განაშენიანების გეგმა შექმნილიყო. ამიტომ გავეცით თანხმობა, თუმცა დეველოპერმა იჩქარა და სანამ საკითხი განიხილებოდა, მანამ დაიწყო ხეების მოჭრა. როგორც კი გავიგეთ, რომ პროცესი უკანონოდ იყო დაწყებული, შევაჩერეთ.

– დოკუმენტში წერია, რომ სამსახური თანახმაა, მოიჭრას ხე-მცენარეები, ეს რას ნიშნავს აბა?

– თქვენ არასწორ რაღაცას ამბობთ...

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2894820
07/150861034-25
23.04.2015

ШПС „გრინ სითი“

სამსახური თანახმაა მოიჭრას ზემოაღნიშნული ხე-მცენარეები

თქვენი 23.04.2015 წლის (#07/150861034-25) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შპს „გრინ სითი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთში, მდებარე ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #13 (საკ/კოდ #01.10.16.004.154) მშენებლობის განხორციელების მიზნით 10 ძირი ელდარის ფიჭვის მოჭრას დიამეტრებით და ხნოვანებით: 22სმ-31წ.#20, 58სმ-74წ.#69, 46სმ-77წ-#72, 56სმ-78წ.#75, 66სმ-78წ-#76, 59სმ-79წ-#105, 62სმ-72წ-#32, 58სმ-71წ-#33, 35სმ-52წ-#38, 72სმ-78წ-#45, 10 ძირი კედარი დიამეტრებით: 78სმ-#1, 81სმ-#2, 60სმ-#21, 61სმ-#40, 57სმ-#43, 62სმ-#44, 50სმ-#70, 70სმ-#71, 70სმ-#74, 65სმ-#104, 3 ძირი კვიპაროსი დიამეტრებით: 28სმ-#29, 24სმ-#31, 5სმ-#112, 1 ძირი აკაცია დიამეტრით-36სმ-#6, 1 ძირი აკაკი დიამეტრით-32სმ-#7, 1 ძირი კვიდო დიამეტრით-40სმ-#19, 4 ძირი ჭადარი დიამეტრებით: 113სმ-#37, 98სმ-#39, 89სმ-#41, 91სმ-#42.

სამსახური თანახმაა მოიჭრას ზემოაღნიშნული ხე-მცენარეები, ხოლო 19 ხე გადაირგოს თქვენსავე ტერიტორიაზე სპეციალურად (რეკულტივაციორი), აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ისე, რომ არ დაზიანდეს მცენარეთა სასიცოცხლო ფუნქციები, შემდგომში ერთი წლიანი მოვლა-პატრონობით. კერძოდ: 17 ძირი კვიპაროსი დიამეტრებით: 6სმ-#8, 5სმ-#9, 4სმ-#10, 7სმ-#11, 6სმ-#12, 5სმ-#13, 5სმ-#14, 5სმ-#15, 6სმ-#16, 3სმ-#17, 5სმ-#18, 14სმ-#28, 7სმ-#107, 7სმ-#108, 7სმ-#109, 6სმ-#110, 7სმ-#111, 1 ძირი კაკალი დიამეტრით-15სმ-#24 და 1 ძირი ფოთლოვანი დიამეტრით-16სმ-#30.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ტელ: 5-95-30-40-34).

პატივისცემით,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი
ბიძინა გიორგობიანი

– მე თქვენ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიდან ამოვიკითხე, ზუსტად ასე წერია დოკუმენტში, რომელსაც თქვენ აწერთ ხელს...

– მე გარკვევით აგიხსენით, რომ თანხმობა გაიცა ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის მოსაპოვებლად და დასამტკიცებლად და არა ხეების მოსაჭრელად.

– მოჭრილი ხეების გამო დაჯარიმდა თუ არა ორგანიზაცია?

– სამშენებლო ორგანიზაციას, რომელმაც ხეები უკანონოდ მოჭრა, ხეების აღდგენითი ღირებულება უკვე გადახდილი აქვს და სანაცვლოდ დარგო ხეების გარკვეული რაოდენობა. ასევე, წერილობით აიღო ვალდებულება, რომ დარგავს ათას ძირ ხეს და მოუვლის ოცი წლის განმავლობაში.

საკრებულოს წევრები საკითხის გამოძიებას ითხოვენ და როგორც ცნობილი ხდება, ალეკო ელისაშვილის ინიციატივით, პოლიტიკოსები მალე ანტიკორუფციულ სამსახურს მიმართავენ. ეჭვი, რომ გიორგობიანი პირადი ინტერესებით მოქმედებდა ნებართვის გაცემის დროს, ელისაშვილის გარდა, სხვა წევრებსაც აქვთ.

ირაკლი აბესაძე, თბილისის საკრებულოს წევრი:

– ბრძანება ბიძინა გიორგობიანის მიერ ნამდვილად გაიცა სამომავლო მშენებლობის განხორციელების მიზნით. მაგრამ იმისთვის, რომ კერძო ტერიტორიაზე, სადაც ხეები და გამწვანებაა, განხორციელდეს მშენებლობა, საჭიროა ორი ეტაპის გავლა: მშენებლობის ნებართვის მიღება და ხეების მოჭრის ნებართვა. ორივე ნებართვის გაცემა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაბუთებული თანხმობა ან დასაბუთებული უარი, ორივე კანონის შესაბამისი პასუხია. შესაბამისად, გიორგობიანს შეეძლო ეთქვა დასაბუთებული უარი გამწვანებული ტერიტორიის გაჩეხვაზე, რაზეც მან თანხმობა გასცა.

– თუმცა ის უარყოფს ნებართვის გაცემას...

– საკრებულოშიც აცხადებდა, თითქოს არსებობდა ვალდებულება მშენებლობის ნებართვის გაცემის და, შესაბამისად, ის ვალდებული იყო, გაეცა ხეების მოჭრის ნებართვა. ეს არის ტყუილი. არ არსებობს მშენებლობის ნებართვის გაცემის ვალდებულება, ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქცია, რომელსაც შეეძლო, დასაბუთებულად ეთქვა, რომ ამ ტერიტორიაზე იყო ხის ისეთი სახეობები, რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი და ამის მოჭრაზე ნებართვას ვერ გაცემდა. ეს იქნებოდა დასაბუთებული პასუხი. რადგან მათ გასცეს ნებართვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიზანშეწონილად ჩათვალეს მათი მოჭრა. ფაქტია, რომ გიორგობიანმა ხეების მოჭრაზე გასცა ნებართვა და ამას ადასტურებს მისი ხელმოწერით დასაბუთებული დოკუმენტი. ამიტომ ახლა ამის უარყოფა ძალიან სასაცილოა.

– ფიქრობთ, რომ თავის გამართლებას ცდილობს, თუ შეიძლება კანონი არ იცოდეს?

– ძალიან კარგად იცის კანონიც და რეგულირებაც, უბრალოდ, ცდილობს, თავი გამოიძვრინოს. ასევე, არის ეჭვი, რომ გიორგობიანს პირადი დაინტერესება აქვს აღნიშნული მშენებლობის მიმართ და ხეების მოჭრის ნებართვაც სწორედ ამიტომ გასცა. ალეკო ელისაშვილი გეგმავს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სამსახურს მიმართოს. მიმაჩნია, რომ საქმე კარგად უნდა იყოს გამოძიებული.

– არის ეჭვი, რომ შესაძლოა, გიორგობიანმა კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე გასცა ნებართვა ხეების მოჭრის?

– თუნდაც. გამოძიება ნამდვილად საჭიროა.

ბიძინა გიორგობიანი: „გარკვევით აგიხსენით, რომ თანხმობა გაიცა ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის მოსაპოვებლად და დასამტკიცებლად და არა ხეების მოსაჭრელად“

ბიძინა გიორგობიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საფრთხ

განთავისუფლებული თანამშრომლები „საქართველოს ბანკთან“ საპროტესტო აქციებს იწყებენ?!

შემცირებული სამუშაო ადგილები საბანკო სექტორში

ხათუნა მგალობლიშვილი

„New York Times“ აქვეყნებს სტატიას, რომლის მიხედვითაც მიწისძვრის მომდევნო ძლიერი ტალღა თურქეთში, კერძოდ სტამბულში ან მის შემოგარენში მოხდება. საფრთხის ზონად დასახელდა, ასევე, ჰაიტი, ლიმა, ინდონეზია... საფრთხის ზონაში ხვდება საქართველოს ტერიტორიაც. მსოფლიო პრესა ყურადღებას შენობების გამძლეობაზე ამახვილებს, რადგან მიაჩნიათ, რომ მსხვერპლის სიმცირეს სწორედ მშენებლობის ნორმების დაცვა განსაზღვრავს. როგორც ირკვევა, საშიშ ზონებში მოსალოდნელი მსხვერპლის რაოდენობა ძალიან დიდია და მიზეზად სწორედ „არქიტექტურული შეცდომები“ და მშენებლობის სტანდარტების დაუცველობა სახელდება. გამონაკლისი თურქეთია, რადგან 1999 წლის მიწისძვრის შემდეგ სტამბული გახდა ადგილი, რომელიც საკმაოდ „აგრესიულად“ აძლიერებდა და იცავდა მშენებლობების სტანდარტებს.

თეა გოგოლაძე, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი:

– მიწისძვრის საფრთხე მუდმივად არსებობს. როდის მოხდება ის ან სად, ამას კონკრეტულად ვერავინ იტყვის. მსგავსი პროგნოზები გამორიცხულია. თუ სტატისტიკას გადახედავთ, საშუალოდ რამდენი მიწისძვრა ხდება ყოველდღიურად, დარწმუნდებით, რომ საოცრება არაფერი ხდება. მთავარია, რამდენად მზად ვართ ამ მიწისძვრებისთვის, თორემ საფრთხე დღესაც არის, ამ წუთასაც არის და ხვალაც იქნება, რომ მოხდეს მიწისძვრა.

– მზადყოფნაში შენობების გამძლეობას გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მშენებლობების გამძლეობას. პროგნოზს, თუ სად ან როდის მოხდება მიწისძვრა, მსოფლიო ვერ აკეთებს, ამიტომ უნდა ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. უნდა ვაშენოთ უფრო კარგად, ვიდრე აქამდე ვაშენებდით. ეს არის მთავარი.

რა ხდება, ამ მხრივ, საქართველოში? როგორც სპეციალისტები აცხადებენ, საფრთხე უფრო დიდია, ვიდრე ის რეალურად ფასდება.

2010 წლის პირველი იანვრიდან სეისმონორმები და მოთხოვნები შეიცვალა, რადგან მსოფლიო კვლევების შედეგად, დადგინდა, რომ მიწისძვრების საშიშროება კონკრეტულ რეგიონებში საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონები, სადაც მიწისძვრის მაქსიმუმი 7-8 ბალით იყო განსაზღვრული, 9 ბალით შეიცვალა. იგივე ცვლილება განხორციელდა საქართველოშიც. მანამდე თუ თბილისი 7-ბალიანი საფრთხის შემცველ ადგილად ითვლებოდა, 2010 წლის შემდეგ 8 ბალია მითითებული. საფრთხის გაზრდამ ავტომატურად გამოიწვია ცვლილებები საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობების ნორმებში. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში უკვე დღეს შენობებს 9-ბალიანი მიწისძვრის გამძლეობაზე აშენებენ. წესით, საქართველოშიც ასე უნდა იყოს, თუმცა ჩვენთან 8-ბალიანი გამძლეობაა სავალდებულო. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, აღნიშნული 8 ბალის დაკმაყოფილებაც არ ხდება და მეტიც, მშენებლობების დროს საერთოდ არ მონმდება ბალიანობა. შესაბამისად, არავინ იცის, რამდენბალიან მიწისძვრას გაუძლებს საცხოვრებელი შენობები...

ანზორ საკანდელიძე:

– მშენებლობები ისეა მიშვებული, რომ, ამ მხრივ, თბილისში კატასტროფული მდგომარეობაა. თბილისი, სადაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს სერიოზული საფრთხის ქვეშაა. სეისმოუსაფრთხოების გარანტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც წესი, მშენებლობის სამინისტროა, მაგრამ ჩვენთან უწყება თავად წინა ხელისუფლების სურვილით გაუქმდა. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი გენოციდის ტოლფასია საკუთარი მოსახლეობის წინაშე. საქართველოში არ არსებობს სტრუქტურა, სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც სეისმოუსაფრთხოების ღონისძიებებს გაატარებს და მასზე პასუხისმგებლობას აიღებს. მაგალითად, სომხეთში არა

მირიან ბოქოლიშვილი

შექმნილი სავალუტო კრიზისისა და რთული სოციალური ვითარების ფონზე, ქვეყანაში სამუშაო ადგილები მნიშვნელოვნად მცირდება. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს საბანკო სექტორი წარმოადგენს. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ „საქართველოს ბანკმა“ „პრივატ ბანკი“ მთლიანად შეიძინა, რითაც საბანკო სექტორში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა, თუმცა ამ პროცესით დაზარალდა „პრივატბანკის“ ასობით თანამშრომელი. მოლოდინის მიუხედავად, რომ ადამიანური რესურსი „საქართველოს ბანკის“ მიერ სრულად იქნებოდა ათვისებული, არ გამართლდა. ჩვენი ინფორმაციით, „პრივატბანკის“ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე გაათავისუფლეს, ნაწილს კი სამსახურიდან მაისის ბოლომდე გაუშვებენ. როგორც „პრაიმტაიმს“ „პრივატბანკის“ ჯერ კიდევ მოქმედი თანამშრომელი უყვება, „საქართველო ბანკში“ თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი გადაიყვანეს, უდიდეს ნაწილს კი, მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, სახლში უშვებენ.

„როგორც გვითხრეს, „პრივატბანკს“ საერთოდ ხურავენ და სამსახურიდან 1200-მდე ადამიანს უშვებენ. მხოლოდ თანამშრომელთა მცირე ნაწილი გადაჰყავთ „საქართველოს ბანკში“, ესეც ნაცნობობითა და ჩანყობით ხდება. მაგალითად, მე 5 წელია ვმუშაობ, კარგა ხანს სტაჟირებას გავდიოდი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ახლა მეუბნებიან, რომ უნდა წავიდე, მაშინ, როცა ერთი თვის მოსული, გამოცდილების არმქონე ბავშვი „საქართველოს ბანკში“ გადაიყვანეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ ვიღაცას დაურეკა. ყოველ წუთს ველოდებით, რომ გვეტყვიან, სახლში წადითო. ზოგი ამბობს, 10 მაისს იხურება ბანკიო, ზოგი – 31 მაისსო. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ და უამრავ ადამიანს ქუჩაში უშვებენ. იმედი გვქონდა, რომ ამ გაერთიანებით, პირიქით, ხელფასები მოგვემატებოდა და უკეთესი პირობები შეიქმნებოდა, მაგრამ ვცდებოდით. ყველა გაოცებული ვართ. წესით, ქვეყნის უმსხვილესი ორგანიზაცია სამუშაო ადგილების შექმნაზე უნდა ზრუნავდეს და არა მის დაკარგვაზე. რას ეუბნებიან ამ ხალხს?! ზეპირსიტყვიერად ჰპირდებიან, ორი თვის ხელფასს დაგირიცხავთო, მაგრამ ჩვენ არ ვართ მათხოვრები. ამასაც იმიტომ აკეთებენ, რომ როგორმე უკმაყოფილება ჩააცხრონ და სიტუაცია მიჩქმალონ, არ უნდათ გამწვავება. მინდა მათ იმედი გავუცრუო, რადგან უკვე არსებობს იდეა, შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი და გავმართავთ საპროტესტო აქციებს „საქართველოს ბანკთან“. არ შეიძლება, ასე მოექცე საკუთარ თანამშრომლებს. ეს იქნება მაგალითი სხვა ორგანიზაციებისთვისაც, ვინც ერთი ხელის მოსმით მოინდომებს ადამიანების ქუჩაში გაყრას“, – გვიყვება „პრივატბანკის“ ჯერ კიდევ მოქმედი თანამშრომელი, რომელმაც ამ ეტაპზე ვინაობის გასაჯაროებისგან თავის შეკავება გვთხოვა.

„პტრაიმტაიმმა“, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, „საქართველოს ბანკს შემდეგი კითხვებით მიმართა: უქმდება თუ არა „პრივატბანკი“? რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია, რომ „პრივატბანკის“ არაერთი თანამშრომელი სამსახურიდან განთავისუფლდა და, საერთო ჯამში, 1200-მდე თანამშრომლის გაშვება იგეგმება? დაცულია თუ არა დასაქმებულთა უფლებები და რა სახის კომპენსაციას მიიღებენ განთავისუფლებული თანამშრომლები? ამ კითხვებზე დეტალური პასუხის გაცემისგან „საქართველოს ბანკი“ თავი შეიკავეს და მხოლოდ ის განმარტეს, რომ „საქართველოს ბანკისა“ და „პრივატბანკ საქართველოს“ შერწყმის პროცესი არ დასრულებულა“.

„პრივატბანკის“ 1200-მდე თანამშრომელი უმუშევარი რჩება

პროფკავშირების ხელმძღვანელი ირკლი პეტრიაშვილი „ტაოპრივატბანკის“ განთავისუფლებულ თანამშრომლებს საპროტესტო აქციებისა და სასამართლოში სარჩელების შეტანისკენ მოუწოდებს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას, პეტრიაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს, თითოეულ მათგანს იურიდიული დახმარება გაუწიოს.

პროფკავშირების ხელმძღვანელი განთავისუფლებულ თანამშრომლებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს

ირაკლი პეტრიაშვილი

ირაკლი პეტრიაშვილი:

„რა თქმა უნდა, ამ ადამიანების უფლებები უხეშად ირღვევა, როდესაც ამდენი ხალხი უმუშევარი რჩება. თითოეულ მათგანს შეუძლია, მოგვმართოს და პროფკავშირები ყველანაირად ეცდება, მათ გვერდში დაუდგეს, როგორც იურიდიული დახმარების, ისე სხვა მიმართულებით. როგორ შეიძლება ორი ორგანიზაციის გაერთიანებით ამდენი ადამიანი სახლში გაუშვა?! ეს ყოვლად დაუშვებელია. ჩემი რჩევა იქნება, რომ მოგვმართონ, ჩვენი იურისტები მათ ყველა სამართლებრივ ნიუანსს გააცნობენ, ანუ რისი უფლება აქვთ, რა შეუძლიათ მოითხოვონ და ა.შ. გასარკვევია, როდის დაიწერა ბრძანება ამა თუ იმ პირის განთავისუფლებაზე, მოხდა თუ არა კანონით დადგენილი წესით მათი წინასწარი ინფორმირება, აქვთ თუ არა გამოუყენებელი შვებულება და სხვ. უამრავი ნიუანსია, რომელიც შესაძლოა, მათ არ იცოდნენ, მაგრამ კანონით ეს ყველაფერი გაწერილია. სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება ისაა, რომ, ზოგადად, ქვეყანაში არ ხდება იმ კანონის იმპლემენტაცია, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ეს საკითხი არის შრომითი ინსპექციის ქვემდებარე საკითხი, მაგრამ სახელმწიფოს არ აქვს ნება, ასეთი ინსპექცია არსებობდეს. ნაცვლად ამისა, დასდევენ პროფკავშირების წევრებს და ორგანიზაციის დატოვებას სთხოვენ ათასგვარი ზეწოლით. გასულ კვირას სწორედ ამ პრობლემებით აქციაზე უამრავი ადამიანი გამოვიდა. „პრივატბანკის“ განთავისუფლებულ თანამშრომლებს, ასევე, ვურჩევდი, რომ გამოვიდნენ ქუჩაში და გააპროტესტონ თავიანთი უფლებების შელახვა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ე დღესაც არის, ამ წუთასაც და ხვალაც“

ანზორ საკანდელიძე: „დღეს საქართველოში 8-ბალიანი მიწისძვრა რომ მოხდეს, რისი საფრთხეც რეალურად არსებობს, შენობების დაახლოებით 80% დაინგრევა და უდიდესი მსხვერპლი იქნება“

მარტო მშენებლობის სამინისტრო არსებობს, არამედ დამატებით სეისმური უსაფრთხოების სახელმწიფო სამმართველოც შეიქმნა. აღნიშნული სტრუქტურა დამატებით იკვლევს რისკებს, თანამშრომლობს უცხოელ სპეციალისტებთან და მკაცრად აკონტროლებს მშენებლობებს. შეიძლება ითქვას, რომ სომხეთმა, ამ მხრივ, სერიოზულად გადაგვისწრო.

– რამდენად გამძლეა არსებული შენობები და თქვენი ინფორმაციით, ხდება თუ არა კონტროლი მშენებლობების დროს?

– სამი ტიპის სამიში შენობები არსებობს თბილისში: წინა საუკუნიდან გადმოსული შენობები, რომელთა აშენების დროს ბალიანობა საერთოდ არ განისაზღვრებოდა. დღეს ყველა მათგანი ამორტიზებულია, ზოგს საძირკველიც კი არ აქვს. ამ ტიპის შენობები აბსოლუტურად განწირულია და, პირველ რიგში, სწორედ ეს შენობებია მისახედი. შენობების მეორე ნაწილი საბჭოთა პერიოდში აშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებია, მაშინ აშენებული შენობები ძირითადად 7 ბალზე იყო გათვლილი. მათი უმრავლესობა დღეს ნახევრად ავარიულია. ეს შენობები სეისმოგამძლეობაზე რომ შემოწმდეს, ყველა დარწმუნდება, რომ გამძლეობა 6 ბალზე ან უფრო ქვევით იქნება ჩამოსული. და მესამე, სერიოზული საფრთხის შემცველია ბოლო 20-25 წლის განმავლობაში აშენებული შენობები, რომლებიც, წესით, 8-ბალიან მიწისძვრის გამძლეობაზე უნდა იყოს გათვლილი, თუმცა რეალურად მათი შემოწმება არ ხდება. არავინ იცის, რამდენბალიან მიწისძვრას გაუძლებს ეს შენობები.

– მერიას არ აქვს ამის შემოწმების ვალდებულება?

– როდესაც მერია შენობას იბარებს, არ ამოწმებს მას სეისმოგამძლეობაზე და კაციშვილმა არ იცის, რა გამძლეობის სახლებში ცხოვრობენ დედაქალაქის მაცხოვრებლები. როდესაც არ ხდება მშენებლობების მკაცრი კონტროლი, როგორც წესი, ადგილი აქვს უხარისხო მშენებლობებს. ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ღმერთმა დაიფაროს და დღეს 8-ბალიანი მიწისძვრა რომ მოხდეს, რისი საფრთხეც რეალურად არსებობს, შენობა-ნაგებობების დაახლოებით 80% მაინც დაინგრევა და უდიდესი მსხვერპლი იქნება, რადგან არანაირი ნორმების დაცვა არ ხდება. 2010 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებულ ახალი სეისმონორმების მიხედვით, მკაცრად არის გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს დაპროექტება და მშენებლობა, რკინა-ბეტონის კარკასული შენობების სართულიანობის განსაზღვრა. მაგალითად, რკინა-ბეტონის კარკასის ტიპის შენობის აშენებისას ნებართვა, მაქსიმუმ, 12-სართულიან შენობებზე გაიცემა, ხოლო ურიგენოს ტიპის შენობები, როგორც წესი, 5-სართულიანი უნდა იყოს. მაგრამ ამ მოთხოვნებს არავინ აკმაყოფილებს. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ამ მხრივ ბათუმსა და თბილისში. 12-სართულიანი შენობების ნაცვლად 12-16 და 20-სართულიან შენობებს აშენებენ და ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ეს შეცდომა ძალიან მწარედ მოუბრუნდებათ უკან და ხალხი დაზარალდება. ყველა მსგავსი შენობა სასწრაფოდ უნდა მოექცეს კანონის ფარგლებში და მოიხსნას ზედმეტი სართულები. მაგალითად, როდესაც ლენინაკანში მოხდა მიწისძვრა, კარკასული ტიპის შენობების 98% დაინგრა. ჩვენთან ასეთი ტიპის შენობა ბევრია და მათი უმრავლესობა ნორმების დარღვევითაა აშენებული.

– ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი მერიაა?

– რა თქმა უნდა, მერიაა პასუხისმგებელი. დღეს არ ხდება მშენებლობის შემოწმება, არ არსებობს კადრები, რომლებიც შეისწავლიან და დასკვნას დადებენ, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული შენობა 8-ბალიანი მიწისძვრის გამძლეობას. მკაცრი კონტროლი თუ არ დაწესდება, დედაქალაქის მოსახლეობა დიდი უბედურებისთვის არის განწირული. ახალი აშენებული შენობების რეალური შემოწმება რომ მოხდეს, 95% დასანგრევი გახდება. ამიტომ ჯობია, შემოწმება მოხდეს მშენებლობის დაწყებისთანავე, ვიდრე აშენების შემდეგ დანგრევის ბრძანება გაიცეს.

– მშენებლობაზე ნებართვის მისაღებად სეისმოლოგიურ გამძლეობაზე ნებართვის მიღება სავალდებულო არ არის?

– მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება მხოლოდ არქიტექტურული ნახაზის საფუძველზე, არ ითხოვენ კონსტრუქციულ ნახაზს, რითიც უნდა გაირკვეს, რა ტიპის არის შენობა და რამდენსართულიანი შეიძლება იყოს, რაც თავისთავად განსაზღვრავს გამძლეობასაც.

მერიაში აცხადებენ, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემისთანავე ითხოვენ სეისმოლოგიური ინსტიტუტის დასკვნას იმის შესახებ, რამდენსართულიანი შენობის აშენება შეიძლება მითითებულ ტერიტორიაზე. ნორმის დარღვევის შემთხვევაში კი ზედამხედველობის სამსახური შენობის ექსპლოატაციაში მიღებაზე უარს აცხადებს. რაც შეეხება ბალიანობის გათვლას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას, ამაზე, როგორც ირკვევა, თავად მენაშენემ უნდა იზრუნოს. მაგრამ უწყება, რომელიც ამ მენაშენეს გააკონტროლებს, არ არსებობს.

ლევან ძაგნიძე, არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე:

– არქიტექტურულ პროექტსა და კონსტრუქციულ პროექტს შორის დიდი სხვაობაა. არქიტექტურული პროექტი მოიცავს ფასადებს, ჭრილებს და ასე შემდეგ. უკვე შემდეგ გეოლოგიის საფუძველზე კეთდება კონსტრუქციული პროექტი. ჩვენი შეთანხმების შემდეგ აკეთებს მენაშენე კონსტრუქციებს და პასუხისმგებელიც თვითონ არის. ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს ყველა საჭირო დოკუმენტის ქონას მშენებლობის პერიოდში. რაც შეეხება მიწისძვრაზე გათვლას, წინასწარ შემოწმება არ ხდება, უკვე შემდგომ ითვლიან კონსტრუქციებში და გამძლეობა მინიმუმ 8 ბალზე უნდა იყოს გათვლილი, თუმცა ამას არქიტექტურის სამსახური არ ამოწმებს, აქ მხოლოდ არქიტექტურული პროექტი თანხმდება.

– ხდება თუ არა გათვლა 8 ბალზე, ამას ვინ ამოწმებს და ვინ არის პასუხისმგებელი?

– ამაზე პასუხისმგებელი არის თვითონ მენაშენე და მშენებლობის დამკვეთი.

– და შეასრულებს თუ არა მენაშენე ამ მოთხოვნას, ვინ ამოწმებს?

– ამას მერია არ ამოწმებს.



ანზორ საკანდელიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიგი ვანდერი საავტორო ნაწარმოებების პირველი კონცერტით EXCLUSIVE

„ამ კონცერტით იმ განაცხადს ვაკეთებ, რომ ჩემი შემოქმედება ერთხაზოვანი არ არის“

„კონსერვატორიაში სწავლისას მინატრია, რა იქნება, ამ დარბაზში გამოვიდე, დავუკრა საკუთარი ნაწარმოები და დაკვრისას ბეთჰოვენმა და ბახმა არ მანერვიულოს-მეთქი“

„ინსპირაცია? ნებისმიერმა რამემ შეიძლება მოიტანოს. „წვიმა პარიზში“ რომ დავწერე, მისი ინსპირაცია, ალბათ, ნანახმა ფრანგულმა ფილმმა მოიტანა, ან რაიმე სურათმა, არ მახსოვს“

GIGI WONDER

my View
თამარ გონგაძე

მუსიკოსი გიგი ვანდერი საავტორო ნაწარმოებების საფორტეპიანო კონცერტს პირველად აწყობს. აქამდე ის ან კლასიკურ ნაწარმოებებს, ან ქავერს, ან ჯაზსტანდარტს ასრულებდა. გიგის სიმღერების შესრულებითაც ვიცნობთ. 31 მაისს კი მერიისა და საკრებულოს დაფინასებით გიგის კონცერტს საქველმოქმედო სახე ექნება. კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება „სოლიდარობის ფონდში“.

თანამედროვე კლასიკის კონცერტი კონსერვატორიის დარბაზში ტარდება. გიგი 15 კომპოზიციას შეასრულებს. კომპოზიციები ბოლო წელინად-ნახევარში დაწერა. ამბობს, რომ სიმღერას უფრო ადვილად წერს.

გიგი ვანდერი:

- არქივს გადავხედეთ და პიანისტი თავის ნაწარმოებებს კონსერვატორიის სცენაზე პირველად შეასრულებს. სოლო პიანო ჯერ არ გაკეთებულა. ჩემი მიმართულება კლასიკური მუსიკის ჟანრია. თანამედროვე კლასიკა შეგიძლია კინოშიც გამოიყენო და გააორკესტრო კიდეც.

პრეტენზია იმაზე რომ გაქვს, ნაწარმოები პიანისტის რეპერტუარში შევიდეს, კომპოზიციებს ათ დღეში ერთხელ ვერ დაწერ. ამ კონცერტით იმ განაცხადს ვაკეთებ, რომ ჩემი შემოქმედება ერთხაზოვანი არ არის. პიანისტობა ძალიან მიყვარს, თუმცა მაწუხებს სხვაც, საკუთარი მუსიკა - კინომუსიკა იქნება თუ თანამედროვე კლასიკური ჟანრი. სხვათა შორის, კონსერვატორიაში სწავლისას მინატრია, რა იქნება, ამ დარბაზში გამოვიდე, დავუკრა საკუთარი ნაწარმოები და დაკვრისას ბეთჰოვენმა და ბახმა არ მანერვიულოს-მეთქი. 2008-2009 წლიდან საკუთარი სიმღერების წერა დავიწყე. ბოლო ორი წელი აქტიური ვარ.

კონსერვატორიაში გიგის თენგიზ ამირეჯიბი ასწავლიდა. ერთი წელი ბოსტონში სწავლობდა, პიანისტ საშა კორსანტიას ლექციებს ესწრებოდა. მასტერკლასი პოპმუსიკაშიც გაიარა. სტივ ვანდერს ორჯერ შეხვდა, მასთან მიღებაზე ათწუთიანი საუბარი არ ავიწყდება.

- სტივმა იცის შენი სასცენო ფსევდონიმი ვანდერი რომ არის?

- დაცვის უფროსმა და ბექვოკალმა უთხრა. ფილადელფიაში სტივ ვანდერის გამოსახულებით ტატუ გავიკეთე მხარზე. მისმა ქალიშვილმა უთხრა, ისეთ პატივს გცემს, მხარზე შენი ტატუ ამოისვირინგა და თუ არ გჯერა, ხელი მოუსვი მხარზეო. ვიფიქრე, როგორ უნდა მიხვდეს და დარწმუნდეს ამაში-მეთქი. მეგონა, მაშაყირებდნენ. ხელი რომ დამადო იგრძნო და გაგიჟდა, მართლა გაიკეთეო?

„ფილადელფიაში სტივ ვანდერის გამოსახულებით ტატუ გავიკეთე მხარზე. მუსიკოსს ქალიშვილმა უთხრა, ისეთ პატივს გცემს, მხარზე შენი ტატუ ამოისვირინგა და თუ არ გჯერა, ხელი მოუსვი მხარზეო. ვიფიქრე, როგორ უნდა მიხვდეს და დარწმუნდეს ამაში-მეთქი. მეგონა, მაშაყირებდნენ. ხელი რომ დამადო იგრძნო და გაგიჟდა, მართლა გაიკეთეო?“

გიგის გვარი ჭიპაშვილია. აფიშაზე სახელის და გვარის დაწერაზე რომ მიდგა საქმე, მუსიკოსს უთქვამს, ჭიპაშვილი რომ დაწეროთ, ერთი კაციც არ მოვა კონცერტზეო.

„პედაგობებიც ვანდერად მიცნობენ. ჭიპაშვილი არავის ახსოვს. ვანდერს არ ვედრები. ამერიკელმა მეგობრებმა სპონტანურად დამარქვეს. ვანდერზე იმდენს ლაპარაკობ, შენს გვარს მაინც ვერ ვამბობთ და მოდი იყავი ვანდერიო. ჯერ „ფეისბუქი“ გამიკეთეს, მერე ინტერნეტპორტალი. მაგრამ თუ მსმენელს არ მოსწონხარ, არც სასცენო გვარი გიშველის და არც არაფერი“.

ბოლო კომპოზიცია ორი კვირის წინ დაწერა, რომელსაც „წვიმა პარიზში“ დაარქვა. ამ კომპოზიციით გახსნის კონცერტს. სადა კონცერტს თავად გაუძღვება, კომპოზიციებზე ისაუბრებს. „როგორც მუსიკით ვაპირებ ისტორიის მოყოლას, ასევე მოვყვები ამ კომპოზიციებზეც. ინსპირაცია? ნებისმიერმა რამემ შეიძლება მოიტანოს. „წვიმა პარიზში“ რომ დავწერე, მისი ინსპირაცია, ალბათ, ნანახმა ფრანგულმა ფილმმა მოიტანა, ან რაიმე სურათმა, არ მახსოვს. კომპოზიციაში აკორდი და ფრანგული მოტივებია“.

გიგის ორი ნაწარმოები რეჟისორმა ლიკა ციხისელმა გამოიყენა ფილმში „გზა“. ეს ის ფილმია, ჩვენი პირველი ლედი, მაკა ჩიჩუა რომ თამაშობს. „ძალიან მიყვარს კინომუსიკის ხაზი და მას სერიოზულად მინდა გავყვე. ყველაზე მაღალ მწვერვალზე, რა თქმა უნდა, კლასიკაა ჩემთვის. მაგრამ კინომუსიკა ძალიან მომწონს. ვფიქრობ, შტატებში რამდენიმეთვიანი ან ერთწლიანი კურსი გავიარო. გარემოს შეცვლა საჭიროა. მეშვიდე წელია არსად გავსუვარ. სხვა ეტაპის განვითარებაა საჭირო, გაზრდა. შესაძლოა, საფორტეპიანო კონცერტებით ევროპასა და აზიაშიც გავემგზავრო. არ გამოვრიცხავ. მინდა დავუკრა გარკვეული რეპერტუარი. კომპოზიციების მასალის დაგროვებაც იმიტომ მინდა, რომ უცხოეთში გავგზავნო მოსასმენად. გამოხმაურების მზადყოფნაშიც ვიქნები. ლონდონში მიღებულია თანამედროვე ჟღერადობის კლასიკური მუსიკის კონცერტები. კიტ ჯარედმა დაიწყო სოლო კონცერტი, ლა სკალაში პირველმა დაუკრა. მაილს დევისთან ერთად დაუკრავს. ამან მეც მიბიძგა. ეს მუსიკა იმ მსმენელზეც არის გათვლილი, ვინც მოცარტის და ბახის სირთულე არ იცის. ადვილად მისაღები მსუბუქი მუსიკაა.

გიგის საკონცერტო ვერსიის გადაღება უნდოდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ აუდიო სიდის ჩაწერას ახერხებს. სიდის ხმის ჩამწერი სტუდია „ბრავო“ გამოუშვებს.

მუსიკოსი დღეში რამდენიმე საათს ატარებს ფორტეპიანოსთან. საღამოობით ბარებში უკრავს. ვანდერის მუსიკის ტონალობა მინორული ელფერისაა. მრავალფეროვანი მუსიკოსის პირადში სიმშვიდეა.

„შტატებში რამდენიმე თვე ვიყავი ერთ გოგოსთან, მას შემდეგ არავინ მყოლია. მომთხოვნი ვარ და... მიზეზიც ეს იქნება. იქნება ყველაფერი. ჯერ ჩემში არ დამდგარა ის დრო. თუმცა არც პატარა ვარ, 28 წლის გახლავართ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალექსანდრე კორსანტია თბილისში საკუთარ იუბილეზე ჩამოვიდა

my View
თამარ გონგაძე

„თბილისში ჩემს დაბადების დღეს, 18 აპრილს ჩამოვედი, სიურპრიზად. 50 წლის გავხდი. არადა, დედას ვუთხარი, ვერ ჩამოვდივარ-მეთქი“

„ბოლომდე ვერ გადავხარშე ლაღიძის წყლები რომ დაიკეტა. ვიცი, საუბარია მის აღდგენაზე. თუ საჭირო გახდა, მეც ჩავებმები“

„ძველი დეზერტირების ბაზარი მენატრება ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის, მაინც იმ ტერიტორიაზე დავდივარ. ბავშვობასთან არის დაკავშირებული. ნოსტალგიურია“

EXCLUSIVE

პიანისტი ალექსანდრე კორსანტია ბოსტონიდან თბილისში წელიწადში ორ-სამჯერ ჩამოდის. აპრილში, თავის დაბადების დღეზე, მშობლებს სიურპიზი გაუკეთა და ორი თვით ესტუმრა სამშობლოს. 18 აპრილს 50 წლის გახდა. ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფესტივალია - „აღდგომიდან ამაღლებამდე“. ოქტომბრამდე „მხტუნავი ზაფხული“ მაქვსო, ამბობს. კონცერტები, მაკსტერკლასები აქვს.

ბოსტონის, ახალი ინგლისის კონსერვატორიის პროფესორი 12 წლის წინ გახდა. მანამდე ვანკუვერის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. წლების წინ ინდიანას უნივერსიტეტში ლექსო თორაძემ მიიწვია. მას შემდეგ ამერიკასა და საქართველოს შორის მუდმივად მოგზაურობს.

ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ათი წელი უსრულდება.

ფესტივალის ფარგლებში საშას პირველად მაყურებელი 4 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ნიჭიერთა ათწლედის საქველმოქმედო კონცერტზე იხილავს. სამი დღის შემდეგ პეტრე ჩაიკოვსკის 175 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტზე დაუკრავს.

ფესტივალის დახურვა, 21 მაისს, ბათუმში დიდ საკონცერტო დარბაზში იგეგმება.

ალექსანდრე კორსანტია:

- წელს ალექსანდრე სკრიაბინის საიუბილეო წელია. მისი დაბადებიდან 125 წელი გავიდა. გადავწყვიტე ფესტივალის მთავარი თემა მას მივუძღვნა. 16-18 მაისს ორი დიდი მარათონი-კონცერტი გვექნება. სკრიაბინის მუსიკა ძალიან ინტენსიურია, ამიტომ მე ვეცადე დამღლელი არ ყოფილიყო და მარათონში მისი მუსიკა არასონეტური ციკლებით იქნება. სამ როიალზე შესრულდება და გუნდის ნაცვლად აჟღერდება ორღანი.

ფესტივალზე 19 პიანისტია მოწვეული, რომლებიც სხვადასხვა კონტინენტებიდან ჩამოდიან. ჩემი სტუდენტებიც მონაწილეობენ. მარათონში სერგეი ბაბაიანის ორი სტუდენტიც დაუკრავს. თავად ბაბაიანი 19 მაისს დაუკრავს ბეთჰოვენის პირველ კონცერტს, მე კი მეოთხე კონცერტს შევასრულებ.

ველოდებით ებრაელ მუსიკოსს, დასარტყამ ინსტრუმენტალისტს ჰენ ციმბალისტას. უნიკალური პიროვნებაა, მისი ყოველი ჟესტი და საქციელი მომართულია ჰუმანურობისკენ. საოცრად კაცთმოყვარე ადამიანია. ყველაფერზე უკრავს, ტაშითაც. მხოლოდ ტაშზე აქვს რამდენიმე ნაწარმოები აწყობილი. მას 17 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაში ექნება კონცერტი, წინა დღეს მასტერკლასის სტილში მოკლე საინტერესო გამოსვლას მოაწყობს.

სახლში შესულმა მშობლების მოკითხვის შემდეგ პირველად რაც გააკეთა, როიალთან დაჯდომა და მეცადინეობა იყო.

„ჩემს დაბადების დღეს, 18 აპრილს ჩამოვედი სიურპრიზად. არადა, დედას ვუთხარი, 18-ში ვერ ჩამოვდივარ-მეთქი. ჩემი ორი ოჯახი, ბოსტონსა და თბილისში მაგრძნობინებს, რომ სახლში ვარ. მიყვარს მეგობრები, მიყვარს თბილისურ ბაზარში სიარული. ძველი დეზერტირების ბაზარი მენატრება ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის, მაინც იმ ტერიტორიაზე დავდივარ. ბავშვობასთან არის დაკავშირებული. ნოსტალგიურია. ყველის რიგი მიყვარს. ცხვრის გუდის ყველი ძალიან მიყვარს. ზოგადად საჭმლის მოყვარული ვარ, ყველის განსაკუთრებით. სულუგუნზე არ დამიჯერებთ და ერთხელ დომინიკის რესპუბლიკაში მაღაზიაში გადავაწყდი. ვხედავ სულუგუნი დევს, გამასინჯეს და ყველა დეტალით სულგუნი იყო, გემოთი, რძე გამოსდიოდა, ნაღდი მეგრული სულუგუნი იყო, მაგრამ ოდნავ მაგარი. ორ ნახევარი თავი ჰქონდათ და სულ ვიყიდე. ამერიკაში ჩავედი თუ არა, ქართველ მეგობრებთან მივედი და სიურპრიზად ეს ყველი მივიტანე. ჩვენთან ქართულ ხორცს, მწვანილს და პომიდორს სხვა გემო აქვს.

მიყვარს ბოტანიკური ბაღი, რუსთაველის გამზირი. ბოლომდე ვერ გადავხარშე ლაღიძის წყლები რომ დაიკეტა. ვიცი, საუბარია მის აღდგენაზე. თუ საჭირო გახდა, მეც ჩავებმები“.

ალექსანდრეს მეორე ნახევარი ნეია ტრეტიაკოვაა. თბილისის კონსერვატორიაში ერთად სწავლობდნენ. მერე იქორწინეს და ამერიკაში რომ ჩავიდნენ, ნიკუშა ხუთი წლის იყო. დღეს უკვე 27 წლის ნიკოლოზ კორსანტია ნეირობიოლოგია, მაგისტრის დიპლომის დაცვა აქვს დაგეგმილი.

- მუსიკა ღმერთმა რატომ შექმნა?

- მუსიკა ადამიანის შექმნილია.

- ღვთისგან ბოძებული ნიჭით.

- რა თქმა უნდა. ყველაფერი ღმერთის შექმნილია. მაგრამ ჩვენ ვართ ჩვენი ისტორიის, ბიოგრაფიის, მომავლის შემქმნელები. მუსიკა - ადამიანის სულის ყველაზე ღრმა გამოხატვაა. ამ ფენომენმა გაგვაგებინა, რომ ამ ენაზე ისეთი რამის გამოთქმაა შესაძლებელი, რაც სხვაგვარად შეუძლებელია. ეს უნიკალური თვისება არა მგონია ხელოვნების სხვა დარგებს ჰქონდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თავდაცვის უწყების ქალი მინისტრები ევროპაში

ევროპის ხუთ ქვეყანას თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის პოსტზე ქალი მინისტრი ჰყავს: კარინ მარტა ელიზაბეტ ენსტრემი – შვედეთი, ჟანინ ჰენის-პლასშერტი – ნიდერლანდები, ინე მარი ერიქსენ სორეიდე – ნორვეგია, ურსულა ფონ დერ ლიაიენი – გერმანია და მიმი კოდჰელი – ალბანეთი. თითოეული ქვეყნის ადგილობრივი მედიის ცნობით, ქალი მინისტრების მუშაობით კმაყოფილია როგორც მთავრობა, ასევე ქვეყანაც. აღნიშნავენ, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში უკეთესადაც კი ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, ვიდრე ზოგიერთი მამაკაცი მინისტრი.

გერმანია

გერმანიის თავდაცვის პოსტზე ურსულა ფონ დერ ლიაიენი 2013 წლის დეკემბერში დაინიშნა და გერმანიის ისტორიაში თავდაცვის უწყების პირველი ქალი ხელმძღვანელი გახდა. მისი პირველი გადაწყვეტილება ნატოს უკავშირდებოდა. პოსტზე დანიშვნისთანავე ახალმა მინისტრმა თანამშრომლებს მოუწოდა, შექმნილიყო ევროპის შეიარაღებული ძალების გაერთიანება, რომლის აქტიური მოქმედებებიც კიდევ უფრო გააძლიერებდა ევროპის როლს ნატოში. მინისტრმა პოსტზე დანიშვნიდან მალევე მოინახულა გერმანიის ბაზა ავღანეთში და განაცხადა, რომ „გერმანელები დარჩებიან ადგილზე და დაასრულებენ დაწყებულ საქმეს“. მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა სხვა მისიებში მონაწილეობაზეც, მათ შორის სირიაში, მალიში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. თავდაცვის მინისტრის თანამდებობამდე ურსულა ფონ დერ ლიაიენს შრომის მინისტრის პოსტი ეკავა.

ნიდერლანდები

ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრს, ჟანინ ჰენის-პლასშერტს თანამდებობა 2012 წლიდან უკავია. როგორც აღნიშნავენ, არც ის არის მშვიდობისმოყვარე – სულ ცოტა ხნის წინ გერმანიის კოლეგასთან ერთად ეწვია თურქეთ-სირიის საზღვარს, სადაც ანტისარაკეტო კომპლექს „Пэтриот“-ის განლაგება ხდება. ადგილზე ჩასული მინისტრი სიტყვითაც გამოვიდა და საზღვრიდან მიმართა სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებს: „ჩვენ ვცდილობთ, გაერთიანებული ძალებით დავიცვათ თურქეთის ტერიტორია და მოსახლეობა. არ ვიცით, აპირებს თუ არა სირია საზღვრისკენ წინ წაწევას, რომელსაც დღეს ნატოს ძალები იცავენ. ჩვენი ვიზიტით გვინდა, ხელი შევუწყოთ კონფლიქტის ესკალაციას. წესით, ეს ყველა მხარისთვის გასაგები უნდა იყოს“.

თუმცა სამშობლოში მას ჯარის შემცირების გამო აკრიტიკებენ. სულ რაღაც ერთი წლის წინათ 43 ათასი ჯარისკაციდან სამმა ათასმა ფიზიკური მომზადების ტესტის გავლა ვერ შეძლო, ხოლო 15 ათასმა ჯარისკაცმა საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა ტესტირებაში ჯანმრთელობის პრობლემების გამო. შეიარაღებული ძალების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. კრიტიკოსები აღშფოთებას გამოთქვამენ და მიაჩნიათ, რომ პრობლემა სათანადოდ არ არის შეფასებული. გარდა ამისა, ჰოლანდია აქტიურად ყიდის თავის ძველ ტექნიკას, მაგალითად, „ლეპარტ-2ა6“ ტიპის ტანკები ფინეთთან ერთად ლიტვამაც შეისყიდა. პოლიტიკოსების ნაწილი ამ საკითხსაც პრობლემად მიიჩნევენ და ირონიით აღნიშნავენ, რომ სამაგიეროდ თავდაცვის მინისტრმა მონაწილეობა მიიღო 2014 წელს ამსტერდამში გამართულ გეიპარადში.

ნორვეგია

ინა მარი ერიკსენ სორეიდემ თავდაცვის პოსტზე, ასევე, ქალი მინისტრი შეცვალა. მინისტრობის პოსტის დაკავებამდე ერიკსენ სორეიდე შიდა პოლიტიკასა და თავდაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ასე რომ, საომარი თემატიკა მისთვის უცხო ნამდვილად არ ყოფილა. ნორვეგია რუსეთთან საერთო საზღვრის გამო საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ნატოში. მინისტრს ადგილობრივი პოლიტიკოსები ყველაზე მეტად ბოლოს შესყიდული ორმოცდათორმეტი „F-35“ სტილის ამერიკული გამანადგურებლის შესყიდვის გამო აკრიტიკებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ტექნიკა გამოუსადეგარი იქნება ჩრდილოეთ რეგიონებისთვის, რადგან ვერ შეძლებენ დაბალ ტემპერატურაზე ფრენას. თუმცა სამინისტრო ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ სიტუაციას აკონტროლებს.

2013 წელს ნორვეგია ევროპაში პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ქვეყნად იქცა, სადაც ჯარში ქალების გაწვევაც ხდება. უშუალოდ მინისტრის გადაწყვეტილებით კი, ჯარში დაწესდა ვეგეტარიანელების დღე – ორშაბათობით ჯარისკაცებისთვის ხორცის მიღება აკრძალულია.

შვედეთი

შვედეთმა ქალი მინისტრი 2012 წელს აირჩია. თანამდებობა კარინ მარტა ელიზაბეტ ენსტრემმა დაიკავა. შვედეთი ნატოს წევრი არ არის, მიუხედავად ამისა, ქვეყანა ავღანეთის მისიაში მონაწილეობს. თუმცა მონაწილეთა რიცხვი გამუდმებით მცირდება. ამ ეტაპზეც 200 ათასი მშვიდობის დამცველია წარმოდგენილი. შვედეთის ჯარში ოფიციალური გაწვევის გარეშეც მოხალისე-ქალების რაოდენობა 20%-ს შეადგენს.

ალბანეთი

მიმი კოდჰელი მინისტრის თანამდებობაზე 2013 წლის 15 სექტემბერს დაინიშნა. მან არბენ იმამი შეცვალა.

კოდჰელი ალბანეთის დედაქალაქში, ტირანაში დაიბადა, დაოჯახებულია და ერთი შვილი ჰყავს. ეკონომიკის ფაკულტეტი იტალიაში, ვერონას უნივერსიტეტში დაამთავრა. მაგისტრის ხარისხი კი ლინკოლნის უნივერსიტეტში მიიღო საზოგადოებრივი ადმინისტრაციის განხრით.

მიმი კოდჰელი პოლიტიკაში აქტიურად 2002 წლიდან ჩაერთო, როდესაც ტირანას მერის მოადგილედ დაინიშნა. 2007 წლიდან მიმი კოდჰელი სოციალისტური პარტიის წევრია. 2009 წელს კოდჰელი პარლამენტის წევრი გახდა და ეკონომიკისა და ფინანსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი დაიკავა.

განაჩენ

მირიან ბოქოლიშვილი

ჩვენი რესპონდენტი ამ განაჩენს დაახლოებით 8 წლის განმავლობაში ელოდა. ამ ხნის განმავლობაში ის ბრალდებულის სტატუსს ატარებდა. საუბარია 2007 წელს, დიდი ოდენობით თანხების მითვისება-გაფლანგვისთვის დაკავებულ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, განტევების ვაცად იქცა.

ჯერ კიდევ 2005 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზოგადოებას ზარ-ზეიმით ამცნო, რომ „ვარდების რევოლუციის“ ორი წლის თავზე სენაკში სამხრეთ კავკასიაში ყველაზე თანამედროვე სამხედრო ბაზა გაიხსნება. ობიექტი თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით აშენდა და, საერთო ჯამში, 9 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა.

მშენებლობის დასრულებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ 340 ათასი ლარის მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით სამშენებლო კომპანია „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წარმომადგენლები და თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის თანამშრომელი, გურამ ბაიაძე დააკავეს. ამ საკითხით პროკურატურის დაინტერესება დროში ემთხვევა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ოპოზიციაში გადასვლას და მის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებს. ერთი საკითხია, როგორ იმარჯვებდა ოქრუაშვილის მეგობრის, ქიბარ ხალვაშის სამშენებლო კომპანია თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში? როგორ მიიღო მან ქვეყნის უმსხვილესი სამხედრო ბაზისა და, ასევე, გლდანის #8 საპყრობილის აშენების ექსკლუზიური ნებართვა? თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ამ საქმეებით პროკურატურის დაინტერესება დროში ემთხვევა ირაკლი ოქრუაშვილის ოპოზიციაში გადაბარგებას, აშკარად პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ოქრუაშვილიც, ხალვაშიც და თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის იმდროინდელი უფროსი იასონ ჩიხლაძეც უცხოეთში გაუშვეს. მათ იქ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს, საქართველოში კი სენაკის სამხედრო ბაზის საქმეზე 8 წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს დაბალი რანგის მოხელეს ასამართლებდნენ. თბილისის საქალაქო სასამართლომ გურამ ბაიაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ გასულ კვირას გამოაცხადა.

არჩილ ჩოფიკაშვილი

გურამ ბაიაძე, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი:

– მე დამაკავეს 2007 წლის შემოდგომაზე. მაშინ, სამხედრო ბაზაზე თითქოს აზომვები ჩაატარეს და დადეს სრულიად აბსურდული დასკვნა. ამ დასკვნის საფუძველზე წაგვიყენეს ბრალი. აზომვები ჩატარდა ჩემს გარეშე, მე ამ დასკვნას კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი. ორ თვე-ნახევარი ვიჯექი ციხეში და შემდეგ გირაოს სანაცვლოდ გამათავისუფლეს, თუმცა ამ დრომდე ბრალი მქონდა წარდგენილი.

– რას მოითხოვნენ თქვენგან?

– მოთხოვნა იყო, რომ ხელი დამედო იასონ ჩიხლაძისთვის, რომელიც გახლდათ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი. მე მასთან არანაირი შეხება არ მქონია. მე ვიყავი ლოჯისტიკის დეპარტამენტში.

– რაიმე ზეწოლა ხორციელდებოდა თქვენზე?

– ციხეში დამკვიდრებული ზეწოლის შესახებ საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვიარე. აღიარებითი ჩვენების სანაცვლოდ დამაბეს და ისე მცემეს. ბრალი რომ წარმიდგინეს, სახტად დავრჩი, კაი ხანს ვერ მოვედი აზრზე, რას მედავებოდნენ. ერთი იარაღი არ უსვრიათ ჩემთვის, თორემ დანარჩენი ყველაფერი დამმართეს. ჩემი დაკავება გამოწვეული იყო პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. მას შემდეგ, რაც სააკაშვილისა და ოქრუაშვილის გზები გაიყარა, ოქრუაშვილმა განაცხადა პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ, ამიტომ ცდილობდნენ მის შესახებ კომპრომატების შეგროვებას. ეს საქმეც იყო ერთ-ერთი იმ პოლიტიკური დაპირისპირებებიდან, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა. პრაქტიკულად ჩვენ, რიგითი მოხელეები შევეწირეთ კომპრომატების გზით პოლიტიკურ დაპირისპირებას.

არჩილ ჩოფიკაშვილი, გურამ ბაიაძის ადვოკატი:

„2007 წლის სექტემბერში დაიწყო გამოძიება სენაკის სამხედრო ბაზის მშენებლობისას მითვისებული თანხების შესახებ. ბრალდების მიხედვით შესრულებული სამუშაოები გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა. თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი, გურამ ბაიაძე იბარებდა სამუშაოებს და აფორმებდა შესაბამის დოკუმენტაციას. მას ედავებოდნენ, რომ რეალურად იყო ნაკლები შესრულება, ქაღალდებზე კი ფიქსირდებოდა გაცილებით მეტი და ხდებოდა ამ თანხების მითვისება. პატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული როგორც მას, ისე სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს. ამ ყველაფრის რეალური მიზანი კი იყო ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიბარ ხალვაშის დისკრედიტაცია. თითქოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ მშენებლობებზე ხდებოდა თანხების მითვისება. სამხედრო ბაზას აშენებდა შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, რომელშიც წილი ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარს, ქიბარ ხალვაშს. 340 ათასის მითვისებას ედავებოდნენ ამ ადამიანებს, მათ შორის ამ კომპანიის წარმომადგენლებს. შესყიდვების სამსახურს მაშინ იასონ ჩიხლაძე, მეტსახელად „ვოლკი“ ხელმძღვანელობდა... სწორედ მასზე იყო საუბარი, რომ გურამ ბაიაძეს ჩვენება მიეცა „ვოლკის“ წინააღმდეგ, თითქოსდა მითვისებულ თანხებს უნაწილებდა იასონ ჩიხლაძეს. შემდეგ ისე წარიმართა მოვლენები, რომ ამ სისხლის სამართლის საქმით დაინტერესებამ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადვოკატი: „გურამ ბაიაძეს ჩვენება უნდა მიეცა „ვოლკის“ წინააღმდეგ... მიზანი იყო ოქრუაშვილისა და ხალვაშის დისკრედიტაცია“

EXCLUSIVE

გურამ ბაიაძე: „რიგითი მოხელეები შევენირეთ კომპრომატების გზით პოლიტიკურ დაპირისპირებას... ალიარებითი ჩვენების სანაცვლოდ დამაბეს და ისე მცემეს“

იკლო, რადგან ოქრუაშვილმა ქვეყანა დატოვა. ამიტომ იყო შეთავაზება, ელიარებინათ დანაშაული და გაუფორმებდნენ საპროცესო შეთანხმებას. მართლაც ყველამ აღიარა დანაშაული, გარდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისა, თუმცა ბაიაძეს პატიმრობა გირაოთი შეეცვალა. საქმის არსებითი განხილვა კი ამ დრომდე ჭიანურდებოდა. დაახლოებით 8-წლიანი სასამართლო განხილვის შემდეგ დამტკიცდა ბაიაძის უდანაშაულობა. ჩვენ წარვადგინეთ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ დოკუმენტაციაში ნაჩვენები თანხები სრულად შეესაბამება შესრულებულ სამუშაოებს. ეს იყო ერთ-ერთი ხანგრძლივი სასამართლო პროცესი“.

იასონ ჩიხლაძეს, ისევე როგორც თავად ირაკლი ოქრუაშვილს სააკაშვილის ხელისუფლებამ მითვისება-გაფლანგვის სხვა საქმეზე ბრალი წარუდგინა, თუმცა მათ ქვეყნის დატოვება მოახერხეს. მაშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს საჯაროდაც კი უსაყვედურა იმის გამო, რომ სამართალდამცავებმა იასონ ჩიხლაძეს, საიდუმლო ინფორმაციით, რუსეთში გაქცევის საშუალება მისცეს. ვანო მერაბიშვილმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ ჩიხლაძე ცოტა ხნის წინ თურქეთიდან რუსეთში გაიქცა ყალბი პასპორტით.

„ის თურქეთში იმყოფებოდა ოქრუაშვილთან ერთად“, – განაცხადა მერაბიშვილმა. მათ ასევე ახლდათ ალექსანდრე სუხიტაშვილი (თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე).

„მინდა შინაგან საქმეთა მინისტრს ვკითხო, – როგორ გაგიძვრათ ხელიდან და როგორ აღმოჩნდა დღეს რუსეთის ფედერაციაში ეს ჩიხლაძე, ე.წ. „ვოლკი“? – განაცხადა სააკაშვილმა, – გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკია თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების უფროსზე. ადამიანი, რომელმაც საქართველოს თავდაცვის შესყიდვების შესახებ ყველა საიდუმლო ინფორმაცია იცის, პირდაპირ მოსკოვში აღმოჩნდა“.

ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ხელშეკრულებას, რომელიც 2006 წლის 27 ივნისს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა იასონ ჩიხლაძემ გააფორმა ვირჯინიის კუნძულებზე (ოფშორულ ზონაში) რეგისტრირებულ კომპანიასთან „AG Transport and Development“ 4 ათასი ტონა საავიაციო ნავთის თურქმენეთიდან მიწოდებაზე საერთო ღირებულებით 2 მლნ 903 ათასი ამერიკული დოლარი.

კონტრაქტში მოწოდებული 1 ტონა საწვავის ფასად 725,7 ამერიკული დოლარი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც იმ დროისთვის საწვავის ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე 671,2 აშშ დოლარს შეადგენდა.

გამოძიების ინფორმაციით, ამ ოფშორულ კომპანიასთან კავშირი ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობარს ქიბარ ხალვაშს, რომლის მიერ საგანგებოდ დაფუძნებული სამშენებლო კომპანია ყველა იმ ტენდერში იმარჯვებდა, რომელსაც ოქრუაშვილის უწყება აცხადებდა. საერთო ჯამში, ხალვაშის კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის 140 მილიონი ლარი მიიღო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინოვაცია სოფლ

გიორგი ურუშაძის
რეპორტაჟი

ბენეფიციარი:

„შეუძლებელია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ პროგრამით კმაყოფილი არ დარჩე“

ბენეფიციარი:

„ძალიან მომგებიანი პროგრამაა და ამაზე უარის თქმა, უბრალოდ, დანაშაული იქნებოდა“

„დანერგე
დამოუ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამა – „დანერგე მომავალი“, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, სოფლის მეურნეობის აყვავების საწყისად იქცა. პირველი მასშტაბური პროექტი, მართლაც რომ, ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ რეალობაში, რადგანაც დიდი პოტენციალის მიუხედავად, დღემდე აუთვისებელი იყო საქართველოს სამეურნეო მიწები.

სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომელიც ქართული ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მომავალზე აისახება. „დანერგე მომავალი“ ქართველი ფერმერის ქომაგად გვევლინება და მას უნიკალურ შანსს აძლევს.

მათ, ვისაც გაფორმებული აქვთ სამეურნეო მიწები და ყველა საჭირო დოკუმენტი წესრიგში მოყვანილი, სახელმწიფო აძლევთ შანსს, მიიღო 70%-იანი დაფინანსება ნერგების შესასყიდად, ხოლო 50%-იანი დაფინანსება – წვეთოვანი სარწყავი სისტემის გასამართად. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, დამატებით, საჩუქრად მიიღებენ შესაწამლ აპარატებს.

პროგრამა 2015 წლის 6 მარტიდან ამოქმედდა და 2016 წლის ივლისამდე გაგრძელდება.

„პრაიმტაიმს“ პროგრამის ხელმძღვანელი ლევან დოლიძე ესაუბრა. მისი თქმით, პროგრამა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი ბაღების გაშენებას და სანერგე მეურნეობების მოწყობას. ასევე, საშუალებას მისცემს ქართველ ფერმერს, პროდუქტით უზრუნველყოს ქართული ბაზარი და ჭარბი პროდუქცია ექსპორტზეც კი გაიტანოს.

„აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერაა ინიცირებული და მას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი ბაღების გაშენებას და სანერგე მეურნეობების მოწყობას. რაც, თავისთავად, ქვეყანაში შექმნის დამატებით დოვლათს და მომავალში ხელს შეუწყობს იმპორტისა და ექსპორტის დაბალანსებას. შესაბამისად, იმპორტის შემცირებას. აღნიშნული იდეა გაჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში დღეს არსებული ბაღების უმრავლესობა ან ძველი ჯიშებითაა გაშენებული, ან ძველი ტექნოლოგიებით და მისი წარმადობა ძალიან დაბალია. ჩვენი პროგრამის ფარგლებში, მრავალწლიანი კულტურების ბაღების კომპონენტში, დაფინანსდება როგორც თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის ღირებულება, ასევე ნერგების ღირებულება“.

ლევან დოლიძის თქმით, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს საკუთარი ბიზნესგეგმის წარმოდგენის შესაძლებლობაც ეძლევა, დამტკიცების შემთხვევაში კი საჩუქრად 50%-იან თანადაფინანსებას მიიღებს.

„პროგრამის ფარგლებში შემუშავდა მეორე კომპონენტი, ეს არის სანერგე მეურნეობების მოწყობის თანადაფინანსება, სადაც ბენეფიციარმა უშუალოდ უნდა წარმოადგინოს პროექტი, ბიზნესგეგმა და მისი დამტკიცების შემთხვევაში 50% დაუფინანსდება. „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ეს არის საჩუქარი“.

მისივე თქმით, განცხადებების მიღება დაწყებულია და რამდენიმე მათგანი დაფინანსდა კიდეც.

„ამ ეტაპისთვის საგაზაფხულო სამუშაოებზე შემოსულია 8 განაცხადი, ძირითადად შიდა ქართლის რეგიონიდან. ჯამურად, შემოსული განცხადებების მიხედვით, გაშენდება 62 ჰექტრამდე ახალი ბაღები, თანამედროვე ტიპის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფილი. ამ განაცხადების მიხედვით ძირითადი კულტურა არის ვაშლი, ატამი, ქლიავი. ჯამურად, რასაც ამ განაცხადების მიხედვით ეტაპობრივად გავცემთ, არის 450 000 ლარი, ხელშეკრულებებიც გაფორმებულია. პირველი ნაწილი, დაახლოებით 150 000 ლარი, ბენეფიციარებს უკვე მიღებული აქვთ. პროექტი გრძელდება 2016 წლის ივლისამდე, ანუ მოიცავს მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოებს, მომავალ საშემოდგომო სამუშაოებს და 2016-ის საგაზაფხულო სამუშაოებს. პროექტის ფარგლებში კი 15 მილიონი ლარი დაიხარჯება“.

ლევან დოლიძე პროგრამის მოლოდინებზეც გვესაუბრა და მის მასშტაბურ შედე-

ლევან დოლიძე:

„პროგრამის ფარგლებში 1000-1200 ჰექტარ თანამედროვე ტიპის კულტურების ბაღებსა და დაახლოებით 30-მდე ახალ სანერგე მეურნეობას მივიღებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის მეურნეობაში

„მომავალი“ და „ახალი ფერმერი“

გებსაც გაუსვა ხაზი.

„მთავარი მოლოდინი, რაც გვაქვს, ეს არის ის, რომ პროექტის ფარგლებში 1000-1200 ჰექტარ თანამედროვე ტიპის ახალ კულტურების ბაღებსა და დაახლოებით 30-მდე ახალ სანერგე მეურნეობას მივიღებთ. ეს პროგრამა საშუალებას მოგვცემს, პროდუქტი ექსპორტზე გავიტანოთ და იმპორტი შევამციროთ“.

ცნობილია, რომ პროგრამა ტრენინგებსაც ითვალისწინებს. დაფინანსებული ბენეფიციარები ტრენინგების ციკლს გაივლიან, რაც მოიცავს ახალი ტექნოლოგიების მიხედვით მოვლის, მორწყვის თანამედროვე საშუალებების უკეთ გაცნობასა და მათ გამოყენებას.

ბუნებრივია, პროექტის ეფექტურობასა და შედეგიანობაზე ყველაზე კარგად თავად ბენეფიციარი ისაუბრებს. სწორედ ამიტომ ჩვენ იმ ადამიანებს დავუკავშირდით, ვინც უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა პროგრამა „დანერგე მომავალი“.

გიორგი მამესწარაშვილი ქარელის მკვიდრია. პროექტი მისთვის ტრამპლინად იქცა. აქამდე მისთვის შანსი არავის მიუცია, თუმცა „დანერგე მომავალმა“ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება მისცა. ინფორმაცია მარტივად, ტელევიზიიდან მიიღო. თავიდან ინფორმაცია დაუჯერებლად მიაჩნდა. თუმცა ახლა უკვე პროექტის ერთ-ერთი პირველი მონაწილეა.

„აქამდე ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო და მიწა სულ ცარიელი გვქონდა, 15 ჰექტარზე შევიტანე განაცხადი, ჰექტარი 16 ათას ძირზეა გათვალისწინებული და, ჩვეულებრივად, თანადაფინანსება მივიღე. ჩამონათვალში მითითებული ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილე. მიწა მოხნული, გაფორმებული და რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო. მიწაზე ვაშლის ნერგებია დარგული. ნერგები 70%-ით დაფინანსდა, სარწყავი სისტემა – 50%-ით. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ პროგრამით, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის. შეუძლებელია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ პროგრამით კმაყოფილი არ დარჩე. სამომავლოდ პროდუქტის გატანა ევროპაში მინდა და თუ რუსეთის ბაზარი გაიხსნა, ალბათ, რუსეთშიც“.

გიორგი მაჭარაშვილი დამწყები ფერმერია გორის რაიონიდან. ინფორმაცია სატელევიზიო რეკლამიდან მოისმინა. პროექტში მონაწილეობაზე უარის თქმა „დანაშაულად“ მიაჩნია. სწორედ ამიტომ ის ერთ-ერთ პირველ ბენეფიციარად გვევლინება.

„დაახლოებით 6 ჰექტარი გვაქვს. ზოგადად, ვეცნობი ხოლმე სოფლის მეურნეობის საიტს. ისე, პირველად ამ პროგრამის შესახებ სატელევიზიო რეკლამიდან შევიტყვე და მაშინვე ინფორმაცია მოვიძიე ინტერნეტში. ძალიან მომგებიანი პროექტია და ამაზე უარის თქმა, უბრალოდ, დანაშაული იქნებოდა. წვეთოვან სისტემაზე მჭირდებოდა მორწყვა და მხოლოდ 2 ჰექტრის გასარწყავიანებას ვაპირებდი, დანარჩენი თვითდინებით უნდა მორწყულიყო. პროგრამის ფარგლებში კი შესაძლებლობა მომეცა, მთლიანად წვეთოვანი წყლის სისტემით შემევსო.

70%-მდე მოხდა ნერგების ღირებულების დაფინანსება, რაც ზუსტად 18 ათას 319 ლარს შეადგენს. წვეთოვან სისტემებთან დაკავშირებით კი დაფინანსება 14 822 ლარია“.

გიორგის ძირითადად ახალი ჯიშის ვაშლები მოჰყავს, რაც დაახლოებით 2 ჰექტარზე ოდნავ მეტს იკავებს. ასევე, ქლიავი და 400 ძირი ბალიც.

„როდესაც მსხმოიარობაში შევა, საკმაოდ დიდი პროდუქცია დაგროვდება. ეს საქართველოს ბაზრის დანაკლისს შეავსებს, შემდგომ უკვე, გაფართოების შემთხვევაში, საზღვრებს გარეთ გასვლაზეც ვიფიქრებთ. ჩამორჩენილი მიდგომაა კულტურების, ხილის მოყვანასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რაიონებში. სახელმწიფომ ამ კონკრეტული პროგრამით და კომპლექსური მიდგომით ინოვაცია შეიტანა ფერმერების საქმიანობაში. ადრე უფრო ძველებური მიდგომითა და სტილით ანაშენიანებდნენ მიწებს. სახელმწიფომ აჩვენა, როგორ შეიძლება მცირე დროში, მცირე დანახარჯებით, მეტი მოსავლისა და მეტი სარგებლის მიღება. ეს პროგრამა ქართველი ფერმერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სანთლის შუქზე ნახევრად მშიერი, გამწარებული ვსწავლობდი“

„თბილისიდან მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ კარგი, ევროპული დონის ექიმად მინდოდა თბილისში დავბრუნებულიყავი“

თამარ პაზიაშვილი: „ჩემი ლაბორატორია შეისწავლის ტვინსა და ტვინის პრობლემებს. ჩემი აზრით, რთულ, მაგრამ უზომოდ საინტერესო და საჭირო საქმეს ვაკეთებთ“

ხათუნა მგალობლიშვილი

თამარ პაზიაშვილს ამერიკაში თამარ პაზის სახელით იცნობენ. 34 წლის მეცნიერებათა დოქტორს სექტემბერში Michael Prize-ის ჯილდო გადაეცემა ეპილეფსიის კვლევის საკითხებში შეტანილი წვლილისთვის. Michael Prize ეპილეფსიის შესწავლის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც მეცნიერებს ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემათ. Michael Prize-ი ნობელის პრემიის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოდ ითვლება. მას მეცნიერებათა დოქტორი სტამბულში, ეპილეფსიის საერთაშორისო კონგრესზე მიიღებს. მანამდე კი თამარ პაზიაშვილი საქართველოში გეგმავს ჩამოსვლას და სურვილი აქვს, რომ ქართველ კოლეგებს, ახალგაზრდა მეცნიერებს შეხვდეს და მათ საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს.

თამარ პაზიაშვილი საქართველოდან 1994 წელს გაემგზავრა თავდაპირველად საფრანგეთში, მოგვიანებით კი უკვე ამერიკაში. დღეს ის გლადსტოუნის ინსტიტუტის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს, ლაბორატორია მისი სახელობისაა და ადამიანის ტვინისა და მისი პრობლემების შესწავლით არის დაკავებული.

თამარ პაზიაშვილი, გლადსტოუნის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი:

– როგორ მოვხვდი სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტში ან გლადსტონში? საიდან დავიწყო, არც ვიცი... 1994 წელს მერვე კლასი თბილისში დავამთავრე, ამის შემდეგ დედამ დიდი ხნით წამიყვანა საფრანგეთში. დედა ფიზიკოსია, როგორც ჩემი ოჯახის უმეტესი ნაწილი და იმუამად ცერნში (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მუშაობდა. მეც იქ, ვოლტერის სახელობის ლიცეუმში გავაგრძელე სწავლა, სადაც ჩემი მათემატიკის ცოდნის დონის შეფასების შემდეგ ორი კლასით წინ დამსვეს. იმ დროს ფრანგული საერთოდ არ ვიცოდი. შესაბამისად, ორი წლით ადრე და საკმაოდ წარმატებით დავამთავრე ლიცეუმი და ჩავირიცხე ლიონის სამედიცინო ინსტიტუტში. თბილისიდან მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ კარგი, ევროპული დონის ექიმად მინდოდა თბილისში დავბრუნებულიყავი. იმ პერიოდში, როდესაც მე საქართველოდან წამოვედი, თბილისში არც შუქი გვქონდა, არც გაზი, არც წყალი და პურსაც კი დიდი გაჭირვებით ვშოულობდით. ქუჩაში სულ სროლის ხმა იყო, მე და ჩემი ბიძაშვილი ამ შიშის გამო დიდი ხნის განმავლობაში მერეც ნებისმიერი გაუგებარი ხმაურის დროს მაინც ვიმალებოდით ხოლმე. სანთლის შუქზე ნახევრად მშიერი, გამწარებული ვსწავლობდი. შვეიცარია-საფრანგეთში ხალხი იმდენად უკეთესად ცხოვრობდა, რომ მათთან ურთიერთობა მიჭირდა, მეგონა, საქართველოს ვღალატობდი. 14 წლის ასაკში მაქსიმალისტია ადამიანი. ცოტა ხნის შემდეგ მე და დედა პარიზში გადავედით საცხოვრებლად და სწავლა მარი და პიერ კიურების სახელობის უნივერსიტეტში გავაგრძელე. მერე უკვე თითქოს დრო აჩქარდაო...

– თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

– მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე ასტრობიოლოგიურ კონფერენციაზე გავიცანი, იტალიელი ფიზიკოსია, ისიც ფიზიკოსების ოჯახიდან. მალევე დავქორწინდით, ამას ერთ წელიწადში დისერტაციის დაცვა მოჰყვა და ძალიან მალე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გავემგზავრეთ, სადაც მე – სტენფორდის უნივერსიტეტში, მეუღლემ კი ნასა-ში დაიწყო მუშაობა. ამერიკაში შეგვეძინა შვილი, სოფო, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო. ამასობაში დაუღალავად ვშრომობდი და, საბედნიეროდ, კარგი შედეგებიც მივიღე. შარშან სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტში მივიღე უკეთესი პოზიცია და გლადსტონის ინსტიტუტში ჩემი ლაბორატორიის გახსნის შემოთავაზება. ჩემი ლაბორატორია შეისწავლის ტვინსა და ტვინის პრობლემებს. ჩემი აზრით, რთულ, მაგრამ უზომოდ საინტერესო და საჭირო საქმეს ვაკეთებთ. კონკრეტულად ეპილეფსიის შესწავლაში გვაქვს დიდი წარმატებები და წელს ჯილდოც მივიღე, საერთაშორისო პრემია, ყველაზე მნიშვნელოვანი ეპილეფსიაში, რასაკვირველია, ნობელის პრემიის გარდა.

– ქართველ კოლეგებთან თუ თანამშრომლობთ, ან საქართველოსთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე გეგმები?

– ძალიან მინდა, ვითანამშრომლო ქართველ მეცნიერებთან და დავეხმარო ახალგაზრდა მეცნიერებს. შარშან თბილისში, პრეზიდენტ სააკაშვილის ბიბლიოთეკაში მქონდა პირველი შეხვედრა ქართველ საზოგადოებასთან. სამწუხაროდ, ივლისში ხდებოდა ეს და ხალხი ქალაქიდან გასული იყო. წელსაც მინდა ჩამოვიდე, ამჯერად შევეცდები, სექტემბერში ჩამოვიდე, რომ მეტი კონტაქტი დავამყარო.

კრიმინალური

მირიან ბოქოლიშვილი

გასული წლის ივნისში საზოგადოებას ზარ-ზეიმით ამცნეს, რომ საქართველოში ექსტრადირებულია 1990-იანი წლების განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, კახეთის „მხედრიონის“ უფროსი მადლენა ბერძენიშვილი. პრესაში მას ხან – „სისხლიან მადლენად“, ხანაც „კრიმინალური სამყაროს დივად“ მოიხსენიებენ, რადგან მის სახელს 90-იანი წლების არაერთი გახმაურებული კრიმინალი უკავშირდება, დაწყებული ადამიანების გატაცებითა და დამთავრებული სასტიკი მკვლელობებით. შესაბამისად, არავინ ელოდა, რომ წლების შემდეგ ქართველი სამართალდამცავების ხელში ჩავარდნილ „სისხლიან მადლენას“ პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებდნენ. როგორც „პრაიმტაიმს“ ბერძენიშვილის ადვოკატმა აცნობა, 2015 წლის 21 მარტს მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი მოსამართლემ წინასწარი პატიმრობიდან გაუშვა, ვინაიდან პროკურატურამ კანონით დადგენილ 9-თვიან ვადაში კრიმინალური სამყაროს დივას დანაშაული ვერ დაუმტკიცა.

კონკრეტულად რა გახდა მადლენა ბერძენიშვილის განთავისუფლების საფუძველი? სანამ ამას მის ადვოკატ ალექსი შოშიკაშვილთან გავარკვევთ, მკითხველს შევახსენებ ინფორმაციას საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მადლენას დაპატიმრებისა და საქართველოში ექსტრადირების შესახებ.

აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ კახეთის რეგიონის „მხედრიონის“ ყოფილი უფროსი, 66 წლის მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი 2014 წლის ივნისში დააკავა. ქართული მხარე მას ბანდიტიზმისა და 4 პირის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ორგანიზებისთვის ეძებდა. საქართველოში ექსტრადიციის შემდეგ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილს ბრალი წაუყენა.

გამოძიების ვერსიით, 1993 წელს, მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილმა თანამზრახველებთან ერთად, სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, გურჯაანის რაიონში ჩამოაყალიბა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა კახეთის ტერიტორიაზე. მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილმა ჯგუფის წევრებს შეუძინა ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი, ყალბი მართვის მოწმობები, საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროების, თავდაცვის სამინისტროებისა და მაშველთა კორპუსის მოწმობები, რომელთა საშუალებითაც ჯგუფის წევრები დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

„1993 წლის 8-9 აგვისტოს, მოსკოვში, გიორგი იმერლიშვილისა და მიხეილ ყანჩაშვილის მკვლელობის კვალის დაფარვისა და მათი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილის მითითებით, გურჯაანის საავტომობილო გზაზე, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, მისმა თანამზრახველებმა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს გიორგი იმერლიშვილის ძმა, შს სამინისტროს თანამშრომელი, ვიცე-პოლკოვნიკი ვასილ იმერლიშვილი, რის შემდეგაც ისინი დაეუფლნენ მოკლულის ავტომანქანა „ნივას“, რომელიც შემდგომში ყალბი საბუთების გამოყენებით გაასხვისეს. იმავე საღამოს, ბანდიტური ჯგუფის წევრები დაბრუნდნენ გიორგი და ვასილ იმერლიშვილების სახლში და დანაშაულის კვალის დაფარვისა და მათი ოჯახის ქონების დაუფლების მიზნით, ღამის საათებში, თოკით დაახრჩვეს ოჯახის უფროსი გივი იმერლიშვილი, დიასახლისი ლამარა ხუნდაძე და ანეტა იმერლიშვილი, რის შემდეგაც, გაიტაცეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, სანადირო თოფები და ცეცხლსასროლი იარაღი“, – აცხადებს მთავარი პროკურატურა და აღნიშნავს. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 25 ივნისს მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა, როგორც ადვოკატი ალექსი შოშიკაშვილი გვიყვება, პროკურატურამ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ვერ დაუმტკიცა და რამდენიმე დღის წინ მადლენა ბერძენიშვილი სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლდა.

ალექსი შოშიკაშვილი, ადვოკატი:

– მადლენა ბერძენიშვილი საქართველოში იმყოფებოდა, თუმცა მისი დაკავება არ მომხდარა. აზერბაიჯანში მიემგზავრებოდა პირად საქმეებზე და მხოლოდ ამის შემდეგ, საზღვარზე დააკავეს. გადმოსცეს საქართველოს და დაიწყო სამართალწარმოება, რაც გაგრძელდა 9 თვის განმავლობაში. პროკურატურას სასამართლოში დასაკითხ პირთა შორის 60 მოწმე ჰყავდა შეყვანილი, თუმცა აქედან მხოლოდ 12-ის დაკითხვა მოახერხა. მტკიცებულებებით ვერ ადასტურებენ მადლენა ბერძენიშვილის დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ 9-ტომიანი საქმე შემოიტანეს. 9-თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მადლენა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



თბილისის საქალაქო სასამართლო

ამონაწერი სასამართლო სხდომის ოქმიდან

21 მარტი, 2015 წელი — თბილისი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 162-ე, 453-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სისხლის სამართლის №1/6118-14 (გამოძიების №074081014802) საქმეზე - განსასჯელ მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილის მიმართ შფარფულული აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრობა გაუქმდეს და საქმის განხილვა გაგრძელდეს საერთო წესების დაცვით, ვინაიდან განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული პატიმრობის 9 თვიანი ვადა იწურება 2015 წლის 24 მარტს.
2. განსასჯელი მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომათა დარბაზიდან.
3. დაუდგენლობა საჩივრდება საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

მოსამართლე — დავით მაკლიაშვილი

სხდომის მდივანი — ლელა აბალიშვილი

„მადლენა ბერძენიშვილმა ორგანიზება გაუკეთა ვლადისლავ არძინბას და ჯაბა იოსელიანის შეხვედრას შვეიცარიის ერთ-ერთ სასტუმროში“...

EXCLUSIVE

პროკურატურამ „სისხლიან მადლენას“ დანაშაული ვერ დაუმტკიცა?!

სასამართლო, 2015 წლის 21 მარტი: „განსასჯელი მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს სასამართლო სხდომათა დარბაზიდან“

ბერძენიშვილი გაათავისუფლეს, მას აღმკვეთი ღონისძიების სახე გაუუქმეს და ამჟამად პატიმრობის გარეშე გრძელდება სასამართლო განხილვა.

– თქვენ თქვით, რომ ამ ხნის განმავლობაში დანაშაული ვერ დაუმტკიცეს... ანუ უდანაშაულოდ მიიჩნევთ მას?

– მე კარგად შევისწავლე მადლენა ბერძენიშვილის მიმართ არსებული სისხლის სამართლის მასალები, სრულყოფილად გავეცანი ყველა მტკიცებულებას, რაც კი 1993 წლიდან არსებობს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში. ამ მასალის შესწავლის შედეგად შემიძლია განვაცხადო, რომ მადლენა ბერძენიშვილის მიმართ მიზანმიმართულად აგორდა კამპანია ჯერ კიდევ 90-იან წლებში, რომ თითქოს ის იყო განსაკუთრებით საშიში დამნაშავე. ამ კამპანიის წარმოებაში აქტიურად ჩაერთო მოსყიდული რუსული მედია, სადაც ფაქტების გაყალბებით ეს ქალბატონი კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს კრიმინალური სამყაროს ლეგენდად.

– და როგორია სიმართლე მადლენა ბერძენიშვილის შესახებ?

– მოგეხსენებათ, 1992-93 წლებში საქართველოს მართავდა სამხედრო საბჭო, შემდეგ შეიცვალა სახელმწიფო საბჭოდ, რომელსაც წარმოადგენდნენ ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ სიგუა. იმ პერიოდში რუსეთში მცხოვრებ მადლენა ბერძენიშვილს სთხოვეს, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და დახმარებოდა საქართველოს ხელისუფლებას. რა შესაძლებლობები ჰქონდა მადლენა ბერძენიშვილს, ეს კარგად იცოდა იგივე ჯაბა იოსელიანმა. იმ პერიოდში მადლენას ჰქონდა ძალზე წარმატებული ბიზნესი, მისი შემოსავლები აღწევდა ისეთ ნიშნულს, რომ ეს ქალბატონი ითვლებოდა ერთ-ერთ შეძლებულ პიროვნებად. თხოვნის შემდეგ ის მართლაც ჩამოდის საქართველოში, მან გურჯაანში, „აგრობანკში“ ჩარიცხა ძალიან მოცულობითი თანხები, საუბარია წარმოუდგენლად დიდ თანხაზე. ამავე დროს მას თავისი კონტაქტებით შემოაქვს რამდენიმე ათასი ტონა ხორბალი, რაც იმ პერიოდის საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება იყო. რეალურად ეს ყველაფერი კონკრეტული კლანების ჯიბეში წავიდა. იმისთვის, რომ ამ თანხებზე არ განხორციელებულიყო კონტროლი, საუკეთესო გამოსავალი გახლდათ, მოეხდინათ მადლენა ბერძენიშვილის იზოლაცია და შეექმნათ ლეგენდა მის შესახებ. გარდა ამისა, მის მიმართ პირადი ინტერესი ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს.

– რას გულისხმობთ?

– მადლენა ბერძენიშვილი იყო საქართველოს მაშინდელი გენერალური პროკურორის, პავლე ბერძენიშვილის ქალიშვილი, რომელსაც ჰქონდა სერიოზული კომპრომატები შევარდნაძისა და მისი გარემოცვის შესახებ. ასევე, საინტერესოა ერთი ისტორია: როდესაც ჯაბამ გაიგო მადლენას შესაძლებლობების შესახებ, მას სთხოვა დახმარება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. მადლენა ბერძენიშვილმა ორგანიზება გაუკეთა არძინბას და იოსელიანის შეხვედრას შვეიცარიის ერთ-ერთ სასტუმროში. ფაქტობრივად, ამ შეთანხმების რეალიზებით, აფხაზეთის საკითხი სხვა ფორმატში იქნებოდა წარმოდგენილი, თუმცა ამ ყველაფრის წინააღმდეგ წავიდა ედუარდ შევარდნაძე, მან განაგრძო კონფლიქტი, რასაც მოჰყვა აფხაზეთის დაკარგვა. ეს დოკუმენტაცია და შეთანხმება ინახება მადლენა ბერძენიშვილთან. შევარდნაძეს ყოველთვის ჰქონდა შიში, რომ ეს დოკუმენტი იქნებოდა მისი მთავარი კომპრომატი. ამიტომ დაიწყო ბერძენიშვილის დევნა. შევარდნაძემ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს პირადად დაავალა მადლენას დისკრედიტაცია. ჯერ კიდევ 1993 წელს საქართველოს პროკურატურამ შეთითხნა სისხლის სამართლის საქმე, თითქოს გურჯაანში იმერლიშვილების ოჯახთან დაკავშირებულ კრიმინალურ ქმედებებთან რამე საერთო ჰქონდა მადლენა ბერძენიშვილს. ეს დევნა გაგრძელდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც სულ სხვა საქმეზე წაუყენეს ბრალი. 8 წლის განმავლობაში სასამართლოს გარეშე იმყოფებოდა ციხეში და მხოლოდ 2002 წელს გამოუტანეს განაჩენი. საერთო ჯამში, რუსეთის ციხეში გაატარა 9 წელიწადი, 2003 წელს მადლენა ბერძენიშვილი გამოდის ციხიდან, თუმცა საქართველოს პროკურატურამ განაახლა სისხლის სამართლის საქმე იმერლიშვილების ოჯახთან დაკავშირებით. უკვე 2004 წელს სააკაშვილის ხელისუფლების, კერძოდ კი, ოქრუაშვილის პირადი მოთხოვნით, კვლავ აკავებენ ბერძენიშვილს. რუსეთმა ის არ გადმოსცა საქართველოს, მაგრამ წაუყენა ახალი ბრალი, ამჯერად თაღლითობაში და მან კიდევ 5 წელი გაატარა რუსეთის ციხეში. განთავისუფლების შემდეგ ის განაგრძობს თავის ბიზნესსაქმიანობას, იმყოფებოდა ევროპის ქვეყნებშიც. სწორედ ამ პერიოდში მადლენა ჩამოდის საქართველოში და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე აკავებენ. სასამართლოში წარმოდგენილი 9-ტომიანი საქმის მიუხედავად, პროკურატურამ ვერ შეძლო კანონით დადგენილ ვადებში მადლენა ბერძენიშვილის დანაშაულის დამტკიცება და ამჟამად სასამართლო განხილვა წინასწარი პატიმრობის გარეშე გრძელდება.

P.S. მადლენა ბერძენიშვილი ინტერვიუებს ყოველთვის გაურბოდა, თუმცა რუსულ პრესასა შემორჩა მისი ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც **2005** წლის **13** აპრილს „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა. საგაზეთო ინტერვიუში მადლენა ბერძენიშვილი მხედრიონელობას უარყოფს, თუმცა ჯაბა იოსელიანთან ახლო კავშირებს ადასტურებს.

„მხედრიონელი არასოდეს ვყოფილვარ. მე ქალი ვარ, ეს კი კაცის საქმეა. თუმცა, როდესაც **1992-1993** წლებში მთავრობაში მხედრიონელები მოვიდნენ, ჯაბამ დიდი უფლებები მომცა. მე არასდროს ჩამიდენია დანაშაული, მთელმა ციხემ იცის – კანონი არასოდეს დამირღვევია. იმდენი ფული მქონდა, რად მინდოდა ბანდა. **50** მარტო ავტომანქანა მყავდა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

SPORT BAZ

სპორტული სიახლეები

რომან ფიფია „დინამოს“ გაყიდის

თბილისის „დინამოს“ მფლობელი და პრეზიდენტი, რომან ფიფია, გუნდის გაყიდვას აპირებს.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მფლობელი გუნდს 30 მილიონად აფასებს, მას კი, კულუარული ინფორმაციით, ბაქოს „ინტერის“ სპორტული დირექტორი, მერაბ ჟორდანია იყიდის, რომელიც წლების წინ „დინამოს“ მეპატრონე იყო.

ბუბა დაუშვილი ისევ გოგონას ელოდება

ეროვნული ნაკრებისა და უკრაინული „კარპატის“ ქართველი ფეხბურთელი, ბუბა დაუშვილი მეორე შვილს ელოდება.

მისი მეუღლე, ეკო ჭუმბურიძე ბავშვს აგვისტოში გააჩენს. წყვილმა უკვე მოიფიქრა გოგონას სახელი. მას მაშოს დაარქმევენ.

ოჯახში ეს მესამე ქალიშვილი იქნება, ბუბას და ეკოს პირველი ქალიშვილი ტასო 3 წლისაა, ფეხბურთელის მეუღლეს პირველი ქორწინებიდან 9 წლის თიკა ჰყავს, რომელსაც ბუბასთან იდეალური ურთიერთობა აქვს.

გია ცეცაძე „გურიას“ გაწვრთნის

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელი და ახლა ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, გია ცეცაძე, შესაძლოა ლანჩხუთის „გურიას“ მთავარი მწვრთნელი გახდეს.

ლანჩხუთელებმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან თემურ ლორია ცოტა ხნის წინ დაითხოვა. კლუბის ხელმძღვანელობა ცეცაძესთან დაკავშირებით ჯერ განცხადებას არ აკეთებს, მაგრამ თავად ახალგაზრდა სპეციალისტი, გურულთა ბოლო მატჩს დაესწრო და უახლოეს მომავალში, გუნდთან კონტრაქტსაც გააფორმებს.

ოთარ კაკაბაძე „დილაში“ მიდის

თბილისის „დინამოს“ 19 წლის მცველი, ოთარ კაკაბაძე კარიერას გორის „დილაში“ გააგრძელებს.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, კაკაბაძე „დილაში“ სეზონის დასრულების შემდეგ გადავა.

ცოტა ხნის წინ, კვიპროსული პრესა იუწყებოდა, რომ კაკაბაძე კარიერას „ანორთოსისში“ გააგრძელებდა, მაგრამ სანდო წყაროზე დაყრდნობით, კვიპროსის ნაცვლად, 19 წლის ფეხბურთელი, რომელმაც „დინამოს“ მაისურით წელს 19 თამაში ჩაატარა, უმაღლეს ლიგაში, გორში გადავა სათამაშოდ.

სიყვარულის ამბავი კლიპში დაკავებულ

my View
ნინო მჭედლიშვილი

ვანიკო: „ბავშვობაში ფორტეპიანოსთან მამღერებდნენ, ეს იყო ჩემი მუსიკალური წარსული“

„გამოუვალი მდგომარეობის“ დრამერის გული დაკავებულია, მაგრამ მთლად ჩარაზულიც არ აქვს კარი“

„ჩემი ცოლის დაქალებში“ გამოჩენისთანავე შეიყვარა მაყურებელმა ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“. სერიალისთვის სპონტანურად შექმნილ ბენდს მალე პროდიუსერიც გამოუჩნდა და ჯგუფის წევრებმაც საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. თუმცა, ჯგუფის ზოგიერთ წევრს სასიმღერო თუ მუსიკალურ კარიერაზე მანამდე არც კი უფიქრია. განსხვავებული, არამუსიკალური პროფესიების ადამიანებით დაკომპლექტებული ბენდი უკვე ახალ ალბომს ქმნის, ალბომი სახელწოდებით „გამოსავალი“ „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა და საპრეზენტაციო ჩვენებასაც ეს სტუდია გეგმავს.

„გამოუვალი მდგომარეობის“ წევრებს „ბრავო რეკორდსში“ შევხვდით და შევეცადეთ უფრო ახლოს გაგვეცნო ისინი თქვენთვის.

დღეს ჩემი რესპონდენტები არიან: ბენდის გიტარისტი, პროდიუსერი, ვოკალისტი, დავით გაბუნია; დრამერი, პაპუნა ჟამიერაშვილი (პეპე ჟამიერი) და სოლისტი, ვანიკო თარხნიშვილი.

- ბიჭებო, ახალ ალბომზე მუშაობა დაასრულეთ?

ვანიკო:

- ალბომის - „გამოსავალი“ - ჩაწერა დასრულებულია, ახლა მონტაჟი მიმდინარეობს, ბოლო შტრიხები დარჩა. ალბომის სპონსორი კომპანია „კოკა-კოლა“ გახლავთ. სწორედ ამ კომპანიის სლოგანი „აკოცე ბედნიერებას“ დაედო საფუძვლად ჩვენს ახალ სიმღერას „შენს ტუჩებზე“, რომელიც ახალ ალბომში შევა.

- როგორც ვიცი, ამ სიმღერაზე კლიპსაც იღებთ.

პაპუნა:

- კლიპზე მუშაობაც თითქმის დავამთავრეთ. სიყვარულის ამბავია კლიპში ნაჩვენები. მე და თინა დალაქიშვილი ვართ მთავარ როლებში. დანარჩენს არ მოვყვები, უნდა ნახოთ.

ვანიკო:

- რეჟისორი გიორგი ლიფონავა გახლავთ, პეპე ანუ პაპუნა დამწყები მსახიობია და კლიპშიც მოსინჯა ძალები ამ კუთხით. ჩვენი შეფასებით საკმაოდ ნიჭიერი მსახიობი გამოდგა.

- პაპუნას სერიალში თამაშმაც მოუწია, შეყვარებულს შეარიგეთ ბენდის ბიჭებმა... ეს მხოლოდ სცენარისტების დამსახურებაა თუ ბენდის პოპულარიზაციასაც ემსახურება?

ვანიკო:

- ორივე ერთად და ამას დამატებული პაპუნას სიმპათიურობა.

დათო:

- წარსულში მეც შემარიგეს შეყვარებულს... ახლა პაპუნას რიგი იყო(იცინიან).

- პაპუნა, სერიალისა და კლიპის სცენარი ცოტა ხანს გვერდზე გადავდოთ და რეალურ ცხოვრებაზე მიამბე, შეყვარებული ხარ?

- სტაბილური პირადი ცხოვრება მაქვს.

- სტაბილურად სავსე თუ სტაბილურად ცარიელი?

- სტაბილურად სავსე (იღიმება).

ვანიკო:

- ამ დარტყმას მე ავიღებ საკუთარ თავზე. „გამოუვალი მდგომარეობის“ დრამერის გული დაკავებულია, მაგრამ მთლად ჩარაზულიც არ აქვს კარი, ნუ ჩაიქნევენ ხელს მსმენელი გოგონები... ეჰ, ერთი მეგობარი დავკარგე უკვე (იცინიან).

პაპუნა:

- ძალიან „სტარი“ უნდა ვიყო, ასეთ კითხვებს რომ მისვამდნენ.

- დათო, არც შენ გიყვარს პირადზე საუბარი?

- მეტ-ნაკლებად. მყავს მეგობარი გოგო, რომელიც ამჟამად სწავლობს და ცხოვრობს ბერლინში. პერიოდულად ვნახულობთ ერთმანეთს, ხან ის ჩამოდის, ხან მე მივდივარ მასთან, ხან ერთად მივდივართ რომელიმე სხვა ქვეყანაში დასასვენებლად. სხვათა შორის გემოვნებიანი მსმენელია, კარგი შემფასებელი და მომთხოვნი იმ მუსიკალური მიმდინარეობის მიმართ, რომელსაც ვერ დავუთმე სათანადო დრო.

- რომელ მიმდინარეობას გულისხმობ?

- ელექტრო მუსიკას. ახლა აქტიურად ვმუშაობ და მე და პეპე (პაპუნა) მალე გამოვჩნდებით ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე „ფორ ჯიბი“, ასევე გამოვდივართ ფესტივალზე, „თბილისი ოუფენ იარი“.

- ვანიკო რატომ არ გამოგყავთ?

ვანიკო:

- ეს არ არის ჩემი სტილი. პრინციპში არც „გამოუვალი მდგომარეობა“ იყო ჩემი სტილი და ზოგადად, სიმღერას თუ დავიწყებდი სცენაზე, ვერც წარმოვიდგენდი. ასეთ ბენდზე ხომ ოცნებაც არ შემეძლო. ბევრი კარგი შემთხვევითობისა და დამთხვევის წყალობით გამოვიდა ყველაფერი. ბენდის თითქმის ყველა წევრს სხვადასხვა მუსიკალური წარსული ჰქონდა, მე ვარ მარტო დილეტანტი ამ სფეროში. ბავშვობაში ფორტეპიანოსთან მამღერებდნენ, ეს იყო ჩემი მუსიკალური წარსული (იცინის). მაგრამ, ფიქრის დროც არ იყო. „გამოუვალ მდგომარეობაში“ გავაკეთეთ მართლა ყველაფერი და დღემდე ასე ვაკეთებთ. ფრაზა „არ გამოვა“ ჩვენთვის არ არსებობს, უნდა გამოვიყვანოთ. კომპრომისებზე არასდროს მივდივართ, ყოველთვის მაქსიმალურს ვაკეთებთ.

- თქვენი რეპერტუარი ძირითადად ძველი სიმღერების ახლებური, თქვენეული ვერსიებია, თქვენ სიმღერებსაც ხომ არ შესთავაზებთ მსმენელს მომავალში?

- რა თქმა უნდა, უკვე დავიწყეთ ამაზე ფიქრი. ახალ ალბომშიც არის ერთი ჩვენი სიმღერა, რომელსაც ჰქვია, „ჩვენი ცოლის დაქალები“. ტექსტი მიშას ეკუთვნის, მუსიკა სერიალის ქუდიდან დათომ გააკეთა.

- მუშაობის პროცესში, ალბათ, კამათობთ კიდეც.

„მქონდა ოჯახი, მყავს 7 წლის გოგონა. ბავშვის გაჩენიდან მალევე დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ცივილური, მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნეთ. ჩემმა ყოფილმა მეუღლემ და მისმა მეგობარმა გააკეთეს ჩვენი ახალი ალბომის ქავერის დიზაინი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ავი „გამოუვალი მდგომარეობის“ ახალ ...ული და თავისუფალი ბიჭები ბენდში

„ქრთამებს არ ვაძლევდი ლექტორებს, ვსწავლობდი პატიოსნად. მხოლოდ ერთხელ გადავუხადე 30 ლარი სამხედროს ლექტორს, მაგასთან სწავლა არ ჭრიდა“

EXCLUSIVE

დათო:

- რა თქმა უნდა, კამათში იბადება ჭეშმარიტება და ის სიმღერები, რომლებიც ასე შეიყვარა მაყურებელმა, მსმენელმა.

- ვანიკო პროფესიით მსახიობია, თქვენ რა პროფესიის ხართ?

დათო:

- მე სამთო-გეოლოგ-ელექტრო მექანიკოსი ვარ. პოლიტექნიკური დავამთავრე, 65 საგანი ვისწავლე პირნათლად. ქრთამებს არ ვაძლევდი ლექტორებს, ვსწავლობდი პატიოსნად. მხოლოდ ერთხელ გადავუხადე 30 ლარი სამხედროს ლექტორს, მაგასთან სწავლა არ ჭრიდა. ასე რომ, დიპლომი მაქვს.

ვანიკო:

- მერე თავი მიარტყა რაღაცას და მუსიკამ გაიღვიძა მასში.

პაპუნა:

- მედიახელოვნების არტისტი ვარ, ფოტოგრაფიის განხრით. სამხატვრო აკადემია დავამთავრე.

- ვანიკომ, თეატრიდან გასტროლის წყალობით, საკუთარი შვილი პირველად რომ ნახა, ერთი თვის იყო უკვე, თქვენც თუ გაქვთ ხოლმე ასეთი დატვირთული დღეები?

დათო:

- სამწუხაროდ მეც ხშირად ვერ ვახერხებ შვილის ნახვას.

- შვილის?

- ჰო, მე მქონდა ოჯახი, მყავს 7 წლის გოგონა. ბავშვის გაჩენიდან მალევე დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ცივილური, მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნეთ. ჩემმა ყოფილმა მეუღლემ და მისმა მეგობარმა გააკეთეს ჩვენი ახალი ალბომის ქავერის დიზაინი... კიდევ, ჩვენს ბასისტს, გიორგი გობეჯიშვილსაც ჰყავს 20 წლის შვილი, ანატოლი, პეტერბურგში და თქვენი გაზეთის საშუალებით მოკითხვას უთვლის აქედან.

- განსაკუთრებით პოპულარულები ხართ თინეიჯერებში, როგორ გგონიათ, რა არის ამის მიზეზი?

ვანიკო:

- ძალიან ლამაზები ვართ (იცინიან)!

დათო:

- ვეთანხმები თავადიშვილის დასკვნას.

პაპუნა:

- მე რა უფლება მაქვს არ დავეთანხმო.

- სამომავლო გეგმებში რა აქვთ ამ ძალიან ლამაზ ბიჭებს?

ვანიკო:

- 16 მაისს ალბომის პრეზენტაცია გვაქვს, 23 მაისს ბათუმში ვატარებთ კონცერტს.

- ისღა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ.

- მადლობა.

საქართველოში Weekend Max Mara-ს ოფიციალური მაღაზია გაიხსნა

პრემიუმ კლასის იტალიური ბრენდის Max Mara-ს, პირველი ოფიციალური მაღაზია Weekend Max Mara თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #50-ში გაიხსნა. მაღაზიის გახსნას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთი ბოჭორიშვილი, იტალიის ელჩი, კერძო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებლები და ცნობილი ადამიანები დაესწრნენ.

Weekend Max Mara-ს ახალ მაღაზიაში მისულმა სტუმრებმა, 2015 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია დაათვალიერეს. პრემიუმ ბრენდის გაზაფხულის კოლექციისთვის დამახასიათებელია „Flower Art“ ტენდენცია, რომელიც შთაგონებულია ხელოვნებით. კოლექციაში დომინირებს გრაფიკული ელემენტები, ფუნჯით ნახატები, წყლისფერი ეფექტები და მრავალფეროვანი ყვავილების პრინტები პასტელის ფერებში. რაც შეეხება Weekend Max Mara-ს ზაფხულის კოლექციას, მისი ფერები ორიენტირებულია ლურჯი, შავი, ჟოლოსფერი და თეთრი ფერების გარშემო, დატვირთულია ნაქარგი დეტალებით, ინდური შტრიხებით და სხვა.

Weekend Max Mara (წარმოადგენს Max Mara Group-ის ხაზს - „ცხოვრების სტილი“), რომელიც 1984 წელს შეიქმნა და მომხმარებელს ყოველდღიურად მოსახმარ ტანისამოსს სთავაზობს, ასევე იდეალურ სამოსს weekend-სთვის. Max Mara-ს ეს ხაზი სწრაფად განვითარდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა მოდის სამყაროში.

Weekend Max Mara საკმაოდ მრავალფეროვანია ნებისმიერი გემოვნების ქალბატონის გარდერობის სრულყოფისთვის. ის მოიცავს ყველა კატეგორიის სამოსს (პიჯაკები, ნაქსოვი ნაწარმი, პერანგები, მაისურები, ჯინსის სამოსი და ბევრი სხვა). ასევე გვთავაზობს აქსესუარების სრულ ხაზს (ფეხსაცმელი, ჩანთები, შარფები, ქამრები, შალის მოსასხამები და სამკაული), Max Mara ქალბატონებისთვის ქმნის სპეციალურ დიზაინს მათი სურვილების და საჭიროებების მიხედვით.

სეზონიდან სეზონამდე, ბრენდის ფართო სპექტრი, მთელ მსოფლიოში იზრდება. Weekend Max Mara-ს აქვს 160-ზე მეტი მაღაზია იტალიის, ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის წამყვან სავაჭრო ცენტრებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში, იაპონიისა და ჩინეთის დიდ სავაჭრო ცენტრებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან მამალაძე მაისში სახელმწიფო გადატრიალებას პროგნოზირებს

EXCLUSIVE

„2002 წელს, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, საჯაროდ ვამხილე ბიუჯეტიდან თანხების მითვისებაში, კორუფციულ გარიგებებსა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებში“

„უწყებები განუდგებიან მთავრობას. ზოგი მინისტრი, დეპარტამენტების უფროსები, პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლები, რეგიონების წარმომადგენლები განაცხადებენ და შეუერთდებიან მასობრივ მიტინგს. აქციას მიუერთდებიან მიშასთან დაახლოებული პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობოები. არმია გამოაცხადებს, რომ ხალხთან არის“

მირიან ბოქოლიშვილი

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი საკუთარი საქმის გადახედვის მოთხოვნით პროკურატურას კიდევ ერთხელ მიმართავს. ლევან მამალაძე აცხადებს, რომ ეს იქნება ტესტი დღევანდელი პროკურატურისთვის იმის დასადგენად, რჩება თუ არა ეს უწყება სააკაშვილის გავლენის ქვეშ. რა მოლოდინი აქვს შევარდნაძის ხელისუფლების მექრთამეობის ბრალდებით ძებნილ მაღალჩინოსანს და რა ინფორმაციას ფლობს ის მიხეილ სააკაშვილის ამჟამინდელი საქმიანობისა და გეგმების შესახებ? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს მოსკოვში დაუკავშირდა. მასთან ინტერვიუს ოდნავ ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ლევან მამალაძე ქვემო ქართლის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე 1994 წელს ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით დაინიშნა. მთელი ამ წლების განმავლობაში მის მიმართ ყოველთვის კორუფციული ქარბუქი ტრიალებდა, თუმცა „ვარდების რევოლუციამდე“ მას საგამოძიებო ორგანოებთან პრობლემები არასდროს შეჰქმნია. მის მიმართ დადგენილი საბრალდებო დასკვნის დიდი ნაწილი იმ თანხების ჩამონათვალს ეთმობდა, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, მამალაძეს ქრთამის სახით ჰქონდა აღებული. ბრალდების დეტალებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მკითხველს მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავახსენებთ, რომელშიც ყოფილი გუბერნატორი ამხილეს.

მამალაძის გუბერნატორობის ცალკეულ პერიოდში საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ინგლისის მოქალაქე ჯაინარიან დუნპანდატი, რომელიც უცხოურ კომპანიებს წარმოადგენდა: „სარასენ ქეიმაკლს“, „ეფიშენტ რესურს“ და „ჯლმ ვორდ ტრეიდს“. უცხოელი მეწარმე რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან კაუსტიკური სოდის იმპორტს ახორციელებდა და შემდგომში სს „აზოტში“ ციანიდის მარილებად გადამუშავებით მის რეალიზაციას ახდენდა. პროკურატურის ცნობით, ჯერ კიდევ 1997 წლის ზაფხულში ლევან მამალაძე უცხოელ ბიზნესმენს დაუკავშირდა და „აზოტთან“ სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელებაში ხელის არშეშლის სანაცვლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამი მოსთხოვა. თანამდებობის გამოყენებით, ლევან მამალაძემ ბიზნესმენი აიძულა, მისთვის ეყიდა ახალთახალი, 35 ათას დოლარად ღირებული „შევროლე ბლეიზერი“, რომელიც მოგვიანებით მამალაძის ფინანსურ დეკლარაციაში აისახა, როგორც მისი მეუღლის, მარინა ქავთარაძის საკუთრება. აღსანიშნავია, რომ ლევან მამალაძისა და მისი ოჯახის წლიური შემოსავალი იმ დროისთვის მხოლოდ 2 500 ლარს შეადგენდა.

თბილისის იმდროინდელი პროკურორი, ვალერი გრიგალაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მამალაძის საქმე წინა ხელისუფლების დროს ერთ-ერთი საუკეთესოდ გამოძიებული საქმეა და მისი ბრალეულობის არაერთი მტკიცებულება დევს პროკურატურაში.

ვალერი გრიგალაშვილი, თბილისის ყოფილი პროკურორი:

– ლევან მამალაძის განცხადებები ნამდვილად არაადეკვატურია. სასამართლოს განაჩენით დადგენილია მისი ბრალეულობა. მან ქრთამის სახით აღებული 700 ათასი ლარი მთლიანად გახარჯა ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის დროს. რაც შეეხება პროკურორებსა და გამომძიებლებს, რომლებმაც ამ საქმის გამოძიებისას იშრომეს, მათ საზოგადოებისგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მან ბევრჯერ მიმართა შეწყალების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტსაც, მაგრამ უარი ეთქვა, ვინაიდან ძებნილის მიმართ შეწყალებას არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასევე, მიმართა პროკურატურას, ვითომდა ახალი გარემოებების გამო საქმის გადახედვას ითხოვდა, მაგრამ მაშინაც უარი ეთქვა. შეუძლია, დღეში 100-ჯერ მიმართოს პროკურატურას, მაგრამ რეალობა არის ერთი – ეს საქმე მაღალპროფესიონალურ დონეზეა გამოძიებული და სასამართლოს განაჩენი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

– საუბარი იმაზე, რომ თავის დროზე მოწმეებზე სერიოზული ზეწოლა მიმდინარეობდა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს?

– ეს საქმე არის ის იშვიათთაგანი, რომელსაც მოწმეც კი არ სჭირდებოდა, რადგანაც დოკუმენტებით იყო ყველაფერი გამყარებული. მაგალითად, არსებობს დოკუმენტები, როგორ ურიცხავდა საგადასახადო სამსახურის უფროსი ყოველთვიურად მის ახლობლებს გარკვეული რაოდენობის თანხებს საბანკო ანგარიშებზე. ამ თანხამ 700 ათას ლარს რომ მიაღწია, ლევან მამალაძემ მთლიანად მოხსნა და გახარჯა ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობისას. დოკუმენტები იმდენად ამხელს მას, რომ მოწმეების დაკითხვაც კი არ იყო საჭირო. ახლა მას თავის გამართლება უნდა და ათას სიბინძურეს ავრცელებს.

ახლა კი ვნახოთ, რას აცხადებს თავად ლევან მამალაძე, რომელიც ირწმუნება, რომ აქვს ინფორმაცია სააკაშვილის გეგმების შესახებ უკრაინასა და საქართველოში.

ლევან მამალაძე, ქვემო ქართლის ექსრწმუნებული:

– ჩემზე საქმე სააკაშვილის დავალებით შეკერა მაშინდელმა პროკურატურამ. მიშამ საკმაოდ დიდი თანხები დახარჯა და ათასი ჭორი გამივრცელა. ეს ჩემი ჩამოშორების მიზნით გააკეთა, რომ საზოგადოებაში უარყოფითი აზრი ჩამოეყალიბებინა, რადგანაც ჯერ კიდევ 2002 წელს, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, საჯაროდ ვამხილე ბიუჯეტიდან თანხების მითვისებაში, კორუფციულ გარიგებებსა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებში. გემახსოვრებათ, სააკაშვილმა ხელისუფლება ხელში რომ ჩაიგდო, ყველა ტრიბუნიდან მამალაძის დაჭერისკენ მოუწოდებდა. პროკურატურამ ყველაფერი გადაქექა და როცა ამ ჭორებიდან ვერაფერი იპოვა, ჩემი ქონებრივი და საფინანსო დეკლარაცია გამოაცხადა უკანონოდ. სააკაშვილის სისხლიან რეპრესიებს ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლე შეეწირა და 12 წელია, დევნილობაში ვარ. 2012 წლის დეკემბერში, კბილაშვილის პროკურატურამ ეს საქმე თაროზე შემოდო, რადგანაც მიშას ზონდერების ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ამიტომ ჩვენ თვითონ გამოვიძიეთ ყველაფერი, დადგენილი არიან პროკურატურის ის თანამშრომლები, რომლებმაც მოახდინეს საქმის ფალსიფიცირება, მოწმეებზე ზეწოლა, მუქარა, ცემა და ძალადობა. დადგენილია ის მოქმედი პირები, რომელთა ქმედებას ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა. ეს ყველაფერი ამჟამინდელ განახლებულ პროკურატურაში შევიდა. მათ მოუწევთ ყოფილი და დღეს მოქმედი თანამშრომლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრონ და სააკაშვილის დანაშაული დაადასტურონ. რამდენად განთავისუფლდა პროკურატურა სააკაშვილის ზონდერებისგან, ახლა გამოჩნდება.

– ხშირად საუბრობენ თქვენს ინტერესებზე სხვადასხვა ბიზნესში... ამბობდნენ იმასაც, რომ თავის დროზე ლევან მამალაძემ ქვეყნიდან დიდი ფული და ოქროს ზოდები გაიტანა... აღარაფერს ვამბობ ნიანგებზე ნადირობის ყბადაღებულ თემაზე... რეალურად, რა ფული იშოვა ლევან მამალაძემ გუბერნატორობის დროს?

– ეს იგივე ჭორებია, რასაც მიშას დაფინანსებული ჟურნალისტები ავრცელებდნენ. მსგავსი რამ რომ ყოფილიყო, მთელ ქვეყანას მოსდებდნენ, აი, მამალაძის ბიზნესი, ოქროებიო და საქმეს მაგაზე აღძრავდნენ. ხომ გითხარით, ყველაფერი გადაქექეს, ჩემი შორეული ნათესავებიც კი დაკითხეს. რაც გამაჩნდა, ყველაფერი ოფიციალურ დეკლარაციაში მიწერია, პროკურატურამ ვერაფერი რომ ვერ ნახა, ეს გამოაცხადა უკანონოდ. სააკაშვილი ამას იმიტომ მივრცელებდა, რომ ყველა დაეჯერებინა და ჩემს განადგურებაზე ხალხს ტაში დაეკრა. ხომ ხედავთ, რა პიარი იყო, 12 წელი გავიდა და იგივე კითხვა დაგებადათ.

– ამჟამად რას საქმიანობთ რუსეთში?.. გაქვთ თუ არა პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობა და, კერძოდ, ვისთან?

– უკვე 12 წელია, ვცხოვრობ უკრაინის აღმოსავლეთში, ჩემი ძირითადი საქმიანობა ანტიკრიზისულ მენეჯმენტს, სოციალურ ფსიქოლოგიას, კონფლიქტოლოგიასა და პოლიტტექნოლოგიას ეხება. ამ მიმართულებით საერთაშორისო უნივერსიტეტებისა და აკადემიების წევრი ვარ. ჩემი შრომები ხშირად მოწონებას იმსახურებს და ვიღებ შესაბამის პრემიებს. რუსეთში მუდმივად არასდროს მიცხოვრია. ახლა დონბასში კომუნიკაციების პრობლემაა და ინგა გრიგოლიას გადაცემაში იქიდან ვერთვები. მე უფრო უკრაინის პოლიტიკურ წრ-

ვალერი გრიგალაშვილი

ვალერი გრიგალაშვილი: „მამალაძემ ქრთამის სახით აღებული 700 ათასი ლარი მთლიანად გახარჯა ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის დროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეებს ვიცნობ კარგად.

– საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, აპირებთ თუ არა, პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელოთ?

– ჩემი საქმიანობა 1987 წლიდან პოლიტიკას ეხება. საქართველო სხვა სახელმწიფოთა ინტერესების უპირობო შემსრულებლად აქცია საკაშვილმა, ეს პოლიტიკა გრძელდება დღესაც. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს „კოლონიად“ ვიქცეთ. მთავარია, ჩვენი სახელმწიფო ინტერესები ვაქციოთ უმთავრესად და ისე ვითანამშრომლოთ ძლიერ ქვეყნებთან. თვითგადარჩენის ინსტინქტი გვკარნახობს, რომ საქართველომ მსოფლიოში არსებული გლობალური დაპირისპირების „ფრონტი“ სწრაფად უნდა დატოვოს. ჩვენი ეროვნული ინტერესები და სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები, ჩვენივე უნდა განვსაზღვროთ და განვახორციელოთ. ეს რეალური გზაა ქვეყნის გაძლიერებისა, კონფლიქტების მოგვარებისა და საქართველოს გაერთიანებისა. ამ თვალსაზრისით კონკრეტული სტრატეგიული გეგმები გვაქვს შემუშავებული.

– საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე რა აზრის ხართ? როგორ ფიქრობთ, შეინარჩუნებს თუ არა არსებული ხელისუფლება საზოგადოების ნდობას?

- ბიძინა ივანიშვილმა საქართველო სააკაშვილის რეჟიმის მარწუხებიდან გაათავისუფლა. შეპირება ბევრი იყო და „ოცნების“ გუნდს მეტი გარჯა მართებს. სააკაშვილის დანატოვარი სისტემური კრიზისი დღესაც გრძელდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა სამართლიანობის აღდგენის ნელი ტემპებით, ამას საფინანსო-ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში შექმნილი პრობლემებიც დაემატა. მარტო წინა ხელისუფლების კრიტიკით ნდობის შენარჩუნება არ გამოვა. კონკრეტული მოქმედებაა საჭირო.

– თქვენ ბრძანეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ... რა ინფორმაციას ეყრდნობით და როგორია გადატრიალების თქვენეული ვერსია?

– გადატრიალებას უპირველესად სააკაშვილი გეგმავს. ამან მის პარტიაში დაპირისპირებაც გამოიწვია. სააკაშვილს საქართველოში რევანშით უნდა სკამის დაბრუნება, მან ეს კიევში ღიად განაცხადა. 21 მარტს 50 ათასი კაცი რომ შეეკრიბათ, მაშინ დაინახავდით, რაც მოხდებოდა. სცენარი მიახლოებით ისეთივეა, როგორც 2003 წელს იყო. უწყებები განუდგებიან მთავრობას. ზოგი მინისტრი, დეპარტამენტების უფროსები, პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლები, რეგიონის წარმომადგენლები განაცხადებენ და შეუერთდებიან მასობრივ მიტინგს. აქციას მიუერთდებიან მიშასთან დაახლოებული პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობოები. არმია გამოაცხადებს, რომ ხალხთან არის. მიმდინარე პროცესი აქტიურად გაპირდება სააკაშვილის ტელევიზიებით, ისეთი ფორმით, რომ ყველაფერს ხალხის სახელი დაერქვას. ეს სახელმწიფო სისტემის კოლაფსს გამოიწვევს, „ხალხის რჩეული“ პრეზიდენტი კი ყოველივეს გააფორმებს. „სახალხო ამბოხს“ უკრაინაში მყოფი ქართული სამხედრო კონტინგენტი შეუერთდება და ასე ტრიუმფით აღადგენენ სააკაშვილის „დინასტიას“. მარტში 10 ათას კაცზე მეტი ვერ მოაგროვეს და შეთქმულების მონაწილენი დაფრთხნენ. ახალი მცდელობა მაისში იგეგმება. ახლა რომ დადიან რეგიონებში, აგერ კახეთში დაძაბეს ვითარება, მიშა ამას იმიტომ აკეთებს, რომ უკმაყოფილება გააღვივოს ყველგან და მასიური სახალხო პროტესტი თბილისში გადმოიტანოს. პოლიტიკური ანგარიშსწორება და სისხლიანი რეპრესიები – აი, ეს არის სააკაშვილის მობრუნების მთავარი მიზანი. დღესდღეობით მოაზროვნე საზოგადოებას სააკაშვილი არ უნდა, მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ მისგან სიმართლესაც არ მიიღებენ, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ზემოთქმულის გამორიცხვა არ შეიძლება.

როგორ ხვდება მაღაზიებში ვადაგასული და უვარგისი პროდუქტი

მომხმარებელი: „დელიკატესში“ ჭამისას აღმოვაჩინე მზესუმზირა. ეს ნამდვილად არ ყოფილა მზესუმზირიანი პური, ერთი მთლიანი მარცვალი იყო მოხვედრილი შიგნით“

მომხმარებელი: „ორჯერ ზედიზედ დაობებული პური მივიტანე სახლში“

ხათუნა მგალობლიშვილი

შავი ან რუხი პურის მომხმარებელს გარდა იმისა, რომ უწევს იმკითხაოს, რამდენად ჯანსაღ პროდუქტს მიირთმევს, იძულებულია, კვებისას სიფრთხილეც გამოიჩინოს, რომ პურთან ერთად მზესუმზირა ან ხის ნატეხი არ შეჰყვეს... მომხმარებლები, როგორც ირკვევა, მომხმარებელთა ფედერაციას ყველაზე ხშირად სწორედ რუხი პურის ხარისხის შემოწმებით მიმართავენ. მიზეზი ნამდვილად აქვთ. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთმა ადამიანმა აღმოაჩინა პურში უცნობი „ნივთები“.

მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელის, მადონა კოიძის განცხადებით, საქართველოში ყველაზე რთული და შეიძლება ითქვას, შეუძლებელი სწორედ რუხი პურის ხარისხის დადგენაა, რადგან არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც მის შემადგენლობას დაადგენს.

მადონა კოიძე, მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი:

– დღესდღეობით საქართველოში რუხი პურის შემოწმება შეუძლებელია, რადგან არ არსებობს შესაბამისი ლაბორატორია. რაც შეეხება მის შემადგენლობასა და ვადებს, კანონში პირდაპირ არის გაწერილი, როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ეტიკეტი და რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს მომხმარებელს. ყველა საკვები დანამატი, ყველა ინგრედიენტი უნდა იყოს განერილი ეტიკეტზე, ყველა პირობა, რომლის დაცვაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროდუქტმა ხარისხი შეინარჩუნოს. ასევე, სავალდებულოა ინფორმაცია იმის შესახებ, ვის მიერ, სად არის დამზადებული პროდუქტი და ვადებიც, როდის დამზადდა და როდემდე აქვს ვარგისიანობა, რომ მომხმარებელმა პრეტენზიის შემთხვევაში დაკავშირება შეძლოს.

მართალია, ამ შემთხვევაში ეტიკეტის დამზადება ყველა წესის დაცვით მოხდა და პურს არც ვარგისიანობის ვადა ჰქონდა გასული, თუმცა მომხმარებელმა „ნიკორას“ პურში მზესუმზირის აღმოჩენა მაინც მოახერხა. შემთხვევას „ნიკორას“ წარმომადგენელი გამოეხმაურა. საკითხის შესწავლის მიუხედავად, მომხმარებლის შეკითხვას, საიდან შეიძლება „დელიკატესში“ მზესუმზირა მოხვედრილიყო, მაინც ვერ უპასუხა.

მომხმარებელი: „ნიკორას“ პურში, „დელიკატესში“ ჭამისას აღმოვაჩინე მზესუმზირა. ეს ნამდვილად არ ყოფილა მზესუმზირიანი პური, ერთი მთლიანი მარცვალი იყო მოხვედრილი შიგნით. „ნიკორას“ წარმომადგენელი დამეკონტაქტა და შეეცადა, გაერკვია, როგორ მოხვდა პურში მზესუმზირა, თუმცა, როგორც მითხრეს, იმ ადგილას, სადაც პურის მომზადება და შეფუთვა ხდება, ჭამის უფლება არც ერთ თანამშრომელს არ აქვს და გამორიცხულია, მსგავსი რამ მომხდარიყოო. ფაქტია, რომ მოხდა და როგორ, ეს უკვე მე არ ვიცი“...

მომხმარებელთა ფედერაცია ვადაგასული პროდუქტების აღმოჩენის შემთხვევაში ცდილობს, იგივე მაღაზია გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ გადაამოწმოს. მათი წარმომადგენლის განცხადებით, ვადაგასული პროდუქტების აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამის კომპანიას მიეწოდება.

„პრაიმტაიმს“ დაუკავშირდა მომხმარებელი, რომლის ინფორმაციითაც, დიღმის მასივის მესამე კვარტალში ერთ-ერთ კონკრეტულ მაღაზიაში სისტემატურად იყიდება „ამარანტის“ ვადაგასული პური, რომელიც დიეტურია და ძვირი ღირს.

მომხმარებელი: „ორჯერ ზედიზედ დაობებული პური მივიტანე სახლში. ახლა უკვე ადგილზე ვხსნი და ვამოწმებ, რომ ისევ ძველი პური არ ვიყიდო. „ამარანტი“ დიეტურია და თან შედარებით ძვირიც ღირს. წესით, უნდა მოწმდებოდეს“.

„ამარანტის“ წარმომადგენლები გამორიცხავენ ვადაგასული და მით უფრო ობიანი პურის ქსელში მოხვედრას. წარმოების უფროსის, დავით ზენიაშვილის განცხადებით, ეს უფრო მაღაზიის შეცდომის შედეგია...

დავით ზენაიშვილი, წარმოების უფროსი:

– პურს შენახვის ვადა აქვს ორი დღე. როდესაც დისტრიბუტორი მაღაზიაში შედის, იბრუნებს იმ პურს, რომელსაც ერთი დღე აქვს დარჩენილი ვადის გასვლამდე. თუმცა უკან გარკვეულ რაოდენობას იბრუნებს, შეიძლება ამ შემთხვევაში ზედმეტი დარჩა მაღაზიაში და გამყიდველმა ისევ ქსელში გაუშვა, ბუნებრივია, ეს არასწორია. პურს ეტიკეტზე მითითებული აქვს შენახვის ვადა და თარიღი. უნდა გაირკვეს, მაღაზიის გამყიდველმა დისტრიბუტორს რატომ არ გაატანა ვადაგასული პური და რატომ დატოვა გაყიდვაში დაობებული პროდუქტი. მიმაჩნია, რომ ეს მაღაზიის პრობლემა უფროა.

– დისტრიბუტორი ყველა ვადაგასულ პურს უკან არ იბრუნებს?

– დისტრიბუტორი მაღაზიასთან მოლაპარაკებულია, რამდენი პურის დაბრუნება უნდა მოხდეს. შეიძლება იმ მომენტში, უბრალოდ, ვეღარ დაიბრუნა მეტი პური და მაღაზიამ დაიტოვა, შეიძლება ასეც მოხდა. ამ შემთხვევაშიც მაღაზიაა პასუხისმგებელი, რადგან გასაყიდად აღარ უნდა გამოეტანა ძველი პური. ცალკე საკითხია მაღაზიაში შენახვის როგორი პირობებია და რამდენად არის დაცული ნორმები. ყველა დეტალი გასათვალისწინებელია, პური ორი-სამი დღის განმავლობაში გამორიცხულია, დაობდეს, განსაკუთრებით გრილ პერიოდში. ზაფხული რომ იყოს, შეიძლება მეფიქრა, რომ მაღაზიაში ძალიან ცხელოდა, რაც პურის მალე გაფუჭებას გამოიწვევდა, მაგრამ ახლა, წესით, პრობლემა არ უნდა შექმნოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეს მაარ

დიეტა, რომელიც კიბოს ამარცხებს

კიბო – ეს არის დაავადება, რომელიც არავის ინდობს. დაავადებულ ადამიანთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, რაც, თავის მხრივ, სპეციალისტებს აიძულებს, მუდმივად ეძებონ კიბოს დამარცხების გზები. როდესაც ექიმ დავიდ სერვან-შრეიბერს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მან გადარჩენისთვის გზების ძიება დაიწყო. ექიმი მაშინვე დარწმუნდა, რომ მკურნალობის არსებული მეთოდები მის სიცოცხლეს მხოლოდ დროებით თუ გაახანგრძლივებდა, ამიტომ მან ბუნებრივი გზების ძიება დაიწყო. ძიების პროცესში მივიდა დასკვნამდე, რომ სწორ კვებაზე ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მოგვიანებით ექიმმა თავისი მოსაზრებაც გაუზიარა ჯანმრთელ და უკვე დაავადებულ ადამიანებს: კიბოთი რომ არ დაავადდეთ, ყურადღება მიაქციეთ კვებას და შეარჩიეთ სწორი პროდუქტები, უკვე დაავადებულმა ადამიანებმა კი საჭიროა, მენიუში სერიოზული ცვლილებები განახორციელონ.

ექიმი დავიდ სერვან-შრეიბერმა იმ პროდუქტების სიაც გამოაქვეყნა, რომლებიც დაავადებას ამარცხებს: 1. მწვანე ჩაი – რაც უფრო ბევრს სვამთ, მით უფრო კარგია; 2. ზეითუნის ზეთი. დღეში ერთი ჩაის კოვზი საკმარისია დაავადებასთან ბრძოლისთვის; 3. კურკუმა – მისი გამოყენება საჭიროა შავ წიწაკასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იხსნება; 4. ალუბალი, ჟოლო, მოცვი, მაყვალი, მოცხარი – ყველა მათგანი მოქმედებს როგორც გაყინული, ასევე ახალიც, რაოდენობა არ არის შეზღუდული; 5. ქლიავი, ატამი, გარგარი – კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ სამივე მათგანი ისევე დადებითად მოქმედებს, როგორც კენკრა; 6. ბროკოლი, ყვავილოვანი და სხვა სახის კომბოსტო – უკეთესია მათი ყველთან ერთად მიღება; 7. ნიორი და ხახვი – რეკომენდებულია დღეში ერთი თავი ნიორისა და ნახევარი ხახვის მიღება; 8. სოკო – განსაკუთრებით შამპინიონი, რადგან არსებობს მტკიცებულება, რომ ის სამკურნალო თვისებებს შეიცავს; 9. შავი შოკოლადი, რომელიც 70%-ზე მეტ კაკაოს შეიცავს და 10. პომიდორი – მისი მიღება საჭიროა ზეითუნის ზეთთან ერთად.

დაავადების თავიდან ასაცილებლად ექიმები ასევე გვირჩევენ რაციონიდან შემდეგი პროდუქტების ამოღებას: 1. შაქარი, ნებისმიერი ტკბილეული; 2. პური და ნებისმიერი ცომეული, მაღაზიებში ნაყიდი; 3. თეთრი ბრინჯი; 4. ზედმეტად მოხარშული მაკარონი; 5. კარტოფილი, განსაკუთრებით კი პიურე; 6. ბატიბუტი; 7. ჯემები, მურაბები, სიროპები; 8. გაზიანი სასმელები; 9. ალკოჰოლი, ნებადართულია მცირე რაოდენობით და ისიც წითელი ღვინო. 10. მარგარინი; 11. სწრაფი კვების მენიუ: კარტოფილი ფრი, „ჩიფსები“, პიცა, ჰოთ-დოგი. 12. წითელი ხორცი, ფრინველის კანი. 13. პლასტმასის ბოთლში ჩასხმული წყალი.

ექიმმა ჯოანა ბადვიგმა 95 წელი იცხოვრა. მთელი ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა, მიეგნო იდეალური დიეტისთვის, რომელიც დაავადებულებს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას მისცემდა. ჩაატარა უამრავი ცდა და მივიდა დასკვნამდე, რომ კიბოთი დაავადებული ადამიანები გამოჯანმრთელებას ვერ ახერხებდნენ, რადგან ორგანიზმში არ იყო საჭირო რაოდენობის ცხიმოვანი მჟავები. ჯოანა ბადვიგის მკურნალობის მეთოდი არაერთხელ იყო წარდგენილი ნობელის პრემიის კონკურსზე. ექიმმა შეძლო იდეალური დიეტის დადგენა: ორი სუფრის კოვზი სელის ზეთი და 100-150 გრამი ხაჭოს ნარევი – სამკურნალო საშუალება ყველასთვის, ვინც კიბოთია დაავადებული და, ასევე, სასარგებლო სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანებისთვის. შერევის შედეგად მიღებული მასა უნდა მივიღოთ დღეში ერთხელ. ნარევის სისტემატურად მიღების შემთხვევაში ფოსფოლიპიდებისა და ლიპოპროტეინების სიმძლავრე უბრუნდება ნორმალურ დონეს, ხოლო ჰემოგლობინის მაჩვენებელი ყველაზე მძიმე დაავადებულებსაც უმაღლდებათ.

სწორი კვება ჯანმრთელობის საფუძველია. უმჯობესია შიმშილი, ვიდრე ნებისმიერი პროდუქტის მიღება. ადამიანებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ პროდუქტი, რომელსაც მიირთმევენ, ახალი იყოს. როგორც ექიმები აღნიშნავენ, კიბოს გავრცელების ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი სწორედ კვების კულტურის არარსებობაა. ამიტომ ადამიანებმა საკვების მიღებამდე უნდა დასვან კითხვა – სასარგებლოა თუ არა ის ჯანმრთელობისთვის.

რა უფრო საზიფათოა ჯანმრთელობისთვის: შაქარი თუ თამბაქო?

მომხმარებლების უმრავლესობა უკვე მივიდა დასკვნამდე, რომ დღის განმავლობაში მიღებული შაქრის რაოდენობა უნდა გააკონტროლოს და შეზღუდოს. კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შაქრის რაოდენობა არათუ უნდა შეიზღუდოს, არამედ ზიანის თვალსაზრისით მისი მიღება თამბაქოსა და ალკოჰოლს უნდა გაუთანაბრდეს. როგორც ირკვევა, ბოლო 50 წლის განმავლობაში შაქრის მომხმარებელი გასამმაგდა. შაქრის რაოდენობის კონტროლისას გასათვალისწინებელია განსაკუთრებით ის პროდუქტები, რომლებიც ბუნებრივად შეიცავს შაქარს.

მეცნიერების განცხადებით, შაქარი ზუსტად ისეთივე სიძლიერით იწვევს შეჩვევას, როგორც თამბაქო. ჩატარებული კვლევების შედეგად კი დამტკიცდა, რომ შაქარი მხოლოდ ვნებს ორგანიზმს და იწვევს როგორც წონის მატებას, ასევე სხვა, სერიოზულ პრობლემებს. შაქრის ჭარბი რაოდენობით მიღება ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს, ასუსტებს იმუნურ სისტემას და ხელს უწყობს კანის ნაადრევად დაბერებას.

ყველა იმ უარყოფითი თვისების დადასტურების შემდეგ შაქარს „ტკბილი საწამლავი“ უწოდეს, რადგან შაქარი ორგანიზმზე ნელა, მაგრამ ძალიან უარყოფითად მოქმედებს.

7 ოქროს წესი, რომელიც უნდა დავიცვათ, თუ ბავშვს ტემპერატურა აუწევს

ბავშვებისთვის დამახასიათებელია ტემპერატურის უეცარი აწევა. ეს კი მშობლების უმრავლესობას აბნევს. სწორედ ამიტომ ექიმები ავრცელებენ შვიდ წესს, რომელიც მშობლებმა მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაიცვან:

1. ნუ იჩქარებ, ტემპერატურა ჩამოაგდო 38,5%-ზე ქვევით – მაღალი ტემპერატურა მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზმი ინფექციას ებრძვის. მაღალი ტემპერატურა კი საჭიროა თავდაცვის მექანიზმის უფრო ეფექტური მოქმედებისთვის;

2. არაფრით არ შეიძლება ბავშვის მკურნალობა ანალგინის ან ასპირინის გამოყენებით;

3. ოთახში ჰაერი რაც შეიძლება ხშირად უნდა განიავდეს, რადგან ბავშვის ორგანიზმის თერმორეგულირების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია;

4. არ დაამუშაოთ ბავშვის სხეული ძმრით ან სპირტით, რადგან ეს მისთვის საწამლავია;

5. უნდა გვახსოვდეს, რომ წამალი მოქმედებას მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ იწყებს;

6. მაღალი ტემპერატურის დროს არაფრით არ შეიძლება ბავშვისთვის ცივი საგნების დაფარება, რადგან ამან შესაძლოა, სპაზმი გამოიწვიოს;

7. თუ ბავშვს მაღალი ტემპერატურა აქვს, მკრთალი ფერი და ცივი თითები, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძახეთ სასწრაფო.

ეს არის რჩევები, რომელიც ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს. მათი გათვალისწინება კი სწორი დახმარების აღმოჩენის ტოლფასი იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მელომანებისთვის – რამდენ ხანს შეიძლება გვეკეთოს ყურსასმენები, რომ არ დავყრუვდეთ

ყურსასმენების პოპულარობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა. მისი გამოყენება ხდება ყველგან – სახლში, სამსახურში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ქუჩაში... ის თანამედროვე მოზარდის აუცილებელი ატრიბუტია. ახალგაზრდების ნაწილი უპირატესობას დიდი ზომის ყურსასმენებს ანიჭებს, ნაწილი კი პატარა ზომისას. შეიძლება ეს შეუმჩნეველი იყოს ამ ეტაპზე, თუმცა ფაქტია, რომ წლების შემდეგ ის შედეგს გამოიღებს. როგორც ამბობენ, ორივე, დიდი და პატარა ზომის ყურსასმენები საკმაოდ სერიოზულ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას. სწორედ ამიტომ საჭიროა, სმენას ახალგაზრდობიდან გავუფრთხილდეთ, რომ ხანდაზმულობისას ნაწილობრივ მაინც შევინარჩუნოთ.

სპეციალისტების რჩევით, ყურსასმენების გამოყენება დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი საათით არის რეკომენდებული. მნიშვნელოვანია, ასევე, ხმის სიმაღლე – ნებადართულია 60%-მდე ხმის აწევა. ბუნებრივია, მკვლევარებმა რეკომენდაციები სერიოზული კვლევის შედეგად შეადგინეს. „მოზარდების ჯანმრთელობის დაცვის ასოციაცია“ შეშფოთებას გამოხატავს არსებული სტატისტიკის გამო და აცხადებს, რომ 1994 წელს 12-დან 18 წლამდე მოზარდებში სმენის დაქვეითებას 3,5% უჩიოდა სწორედ ყურსასმენების დიდი დოზით გამოყენების გამო, ხოლო 12 წლის შემდეგ სმენის პრობლემის მქონე მოზარდთა რაოდენობა 5%-ით გაიზარდა.

რაც უფრო ხმამაღლა უსმენს მოზარდი მუსიკას, მით უფრო მეტად ზიანდება სმენის აპარატი. ამიტომ სპეციალისტები მოზარდებს ურჩევენ ყურსასმენების გარეშე ცხოვრებას და თუ ეს შეუძლებლად მიაჩნიათ, მაშინ ხარისხიანი „ნაუშნიკების“ შეძენას, რომელსაც ხმაურის ჩამხშობის ფუნქციაც ექნება. ასეთ შემთხვევაში მათ არ მოუნევთ მუსიკის მოსმენა ბოლო ხმაზე. ყველაზე საშიშ შემთხვევად ექიმები მუსიკის ხმის უეცარ ცვლას ასახელებენ. მუსიკის მინიმალური სიმძლავრიდან მაქსიმუმამდე აწევამ შესაძლოა, უეცარი სიყრუე გამოიწვიოს.

ადამიანს, რომელსაც გამუდმებით ჩაესმის ხმაური ყურებში ექიმები ურჩევენ, სპეციალისტს მიმართოს, რადგან, მათი განცხადებით, ეს სმენის პრობლემის ერთ-ერთი პირველი ნიშანია. ასე რომ, ყურსასმენები არც ისე უსაფრთხოა, როგორც ამას რეკლამებში ყვებიან – ნებისმიერი საგანი, რომელსაც ვიყენებთ, დიდი ყურადღებით უნდა შევარჩიოთ და ეს არ ეხება მხოლოდ ყურსასმენებს. მაგალითად, თვალის ლინზები, რომელსაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი იყენებს, ისინიც კი, რომლებსაც მხედველობის პრობლემა არ აქვთ.

კვებითი მენიუ პაციენტებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა საავადმყოფოებში

რით კვებავენ პაციენტებს საავადმყოფოებში: წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის თექვსმეტი მენიუ.

ბუნებრივია, საავადმყოფოში მოხვედრა არავის უყვარს, რადგან ეს უკანასკნელი ჯანმრთელობის პრობლემებთან ასოცირდება. როგორც წესი, იქ არსებული გარემო და ატმოსფერო ადამიანზე კიდევ უფრო დამთრგუნველად მოქმედებს, ხოლო საავადმყოფოს კვებითი მენიუ – ეს საერთოდ სერიოზული პრობლემაა. მოკლედ, პაციენტებს ბევრი მიზეზი აქვთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დაიძვრინონ თავი ექიმებისგან და უმოკლეს დროში გამოჯანმრთელდნენ. თუმცა ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. რაც შეეხება კვებით მენიუს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ის არცთუ ისე ცუდია მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

სხვადასხვა ქვეყნების საავადმყოფოების მენიუს შესწავლით ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – პაციენტების კვების მიმართ აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქრისტინე იმედაძე ბიზნესმენ ბუბა ქებურიას ვაჟს ხვდება

„დიდი ხანია თორნიკე არ მინახავს. სულ გადარბენებზეა. როცა ვნახავ ამ კითხვებს აუცილებლად დავუსვამ“

თორნიკე ქებურია და მაშო ხელაშვილი

რია ქებურია: „ბევრს უნდა ჩემი ძმის გვერდით იყოს და ასეთ რამეებს იგონებს“

my View
თამარ გონგაძე

თბილისში ქრისტინე იმედაძის ახალ რომანზე აჭორავდნენ. მის გვერდით ბევრი ცნობილი სახელი ფიგურირებდა. არც ამჯერად არის საუბარი უცნობ ოჯახისშვილზე. პირიქით, იმედაძის სახელს საკმაოდ გავლენიან ბიჭთან აკავშირებენ. როგორც ამბობენ, მომღერალი ახლა ბიზნესმენ ბუბა ქებურიას ვაჟს, თორნიკე ქებურიას ხვდება. საქართველოში ბუბას საკუთრებაშია სასტუმროების ქსელები - „ამბასადორი“. მოსკოვში კი ის დიდძალ ქონებას ფლობს, მათ შორის რამდენიმე რესტორანს, სასტუმროსა და ბიზნესცენტრს. საქართველოში საკუთარ ღვინის ქარხანაში ჩამოსხმული ღვინოებით ამარაგებს თურმე თავის რესტორნებს. პარიზში კი ბიზნესმენს ქართული რესტორანი „ქართული სახლი“ აქვს. რუსულ პრესაში მას ასე უწოდებენ - „ქართველი ნაღვლიანი თვალებითა და ოქროს საათით“. მის ვაჟზე თორნიკეზე კი, რომელსაც თოშას ეძახიან, საგენტო bpn-ზე ვკითხულობთ: მისი „ლამბორჯინი“ საზღვარგარეთ პარკირების წესებს ხშირად არღვევს. ჯერ იყო და, ამსტერდამის ერთ-ერთ ქუჩაზე ველოსიპედის სავალ ნაწილზე გაჩერებული ავტომობილის ფოტოები ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა. შემდეგ, პარიზში, ეიფელის კოშკის ფონზე გაჩერებული 460 000 ევროიანი „ლამბორჯინის“ ფოტოები გავრცელდა.

თორნიკე სამი წელია ხვდებოდა „მის საქართველო 2005“-ის, სალომე ხელაშვილის დას, მაშო ხელაშვილს. ამბობენ, რომ თოშა და მაშო ერთმანეთს სწორედ ქრისტინემ დააშორაო. შოუბიზნესურ კულუარებში ზოგი იმასაც ამბობს, მაშო და თორნიკე მანამდეც დაშორებულები იყვნენ, ქრისტინე აქ არაფერ შუაშიაო. „ვერავინ ვერავის ვერ დაგაშორებს, თუ არ გინდა. მაშოსთან სამი წელი იარა, დაასრულა ურთიერთობა და ახლა ქრისტინე მოსწონს“,- ამბობს „პრაიმტაიმის“ წყარო. „სამჯერ დაპატიჟა ყავაზე და ჭორებიც აგორდა. არ იცით თბილისის ამბავი?“, - ამატებს მეორე წყარო. გავრცელდა ასეთი ინფორმაციაც, რომ თითქოს ქებურიები შვილის არჩევანს ამჯერად იწონებენ - ქრისტინეს კარგი ტანი აქვს და მღერისო. ცოტა ხნის წინ ქრისტინეს და სტილისტ მიშა გასიტაშვილის მონაკოში გადაღებული ფოტოები გავრცელდა „ფეისბუქზე“. სააგენტოები აჭრელდა, რა ხდება მათ შორისო. სინამდვილეში კი თორნიკე ყოფილა კადრს მიღმა, მან დაპატიჟა ქრისტინე მიშასთან ერთად მონაკოშიო, ითქვა. მომღერალი ყოველგვარ ინტერვიუს გაურბის, კომენტარის გაკეთებაც არ სურს. თორნიკე ახლა საქართველოში არ არის, საფრანგეთშია. „პრაიმტაიმი“ თორნიკეს დას, დიზაინერ რია ქებურიას დაუკავშირდა და ამ ინფორმაციის გადამოწმება მასთან სცადა. სხვათა შორის, რიას რომანზე „პრაიმტაიმი“ ოთხი წლის წინ წერდა. ის მსახიობ ჯაბა კილაძეს ხვდებოდა. წყვილი ერთმანეთს რამდენიმე თვეში დაშორდა.

რია ქებურია

რია ქებურია:

- პირველად მესმის ეს ინფორმაცია, საიდან გაქვთ?

- თბილისში ლაპარაკობენ, თორნიკე მაშოს დაშორდა და ახლა ქრისტინეს ხვდებაო.

- მე პირველად მესმის ასეთი სისულელე, ჩემი ძმა პარიზში იმყოფება და მუშაობს.

- სისულელე რატომ არის?

- ბევრს უნდა ჩემი ძმის გვერდით იყოს და ასეთ რამეებს იგონებს.

- ანუ ქრისტინე იგონებს ამ ამბავს?

- მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჭორია და ძალიან სასაცილო.

- ქრისტინე და მიშა მონაკოში რომ ჰყავდა წაყვანილი, ესეც ტყუილია?

- ოი, ნამდვილად ვერ გეტყვით. ჩემი ძმა მამის ბიზნესშია ჩართული, ხშირად დადის აქეთიქით, ამიტომაც შეიძლება ჭორის საფუძველიც ეს იყო. მიშა გასიტაშვილი, მით მეტეს, ხშირად არის საფრანგეთში.

- მაშოსთან დაშორებაც ჭორია? მას იცნობ?

- ვიცნობ, რა თქმა უნდა. ბევრ სისულელს ამბობენ. ნამდვილად არ მაქვს არანაირი ინფორმაცია. ჩემი ძმა პარიზში „აწვება“ თავის საქმეს. ცალკე ცხოვრობს და მე მის პირადში არ ვერევი.

- და შენც ხომ პარიზში ცხოვრობ?

- დიახ. მე თქვენგან გავიგე ეს ყველაფერი და გაოცებული ვარ.

- ძმის ცხოვრებაში რა ხდება როგორ არ იცი?

- დიდი ხანია თორნიკე არ მინახავს. სულ გადარბენებზეა. როცა ვნახავ ამ კითხვებს აუცილებლად დავუსვამ. ინტერვიუს არ ვიძლევი, არ მაინტერესებს, ვინ ვის იცნობს და არ იცნობს. მე ჩემი საქმე მაქვს.

„ჩემი ძმა პარიზში „აწვება“ თავის საქმეს. ცალკე ცხოვრობს და მე მის პირადში არ ვერევი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფიდეს ძღვენი

ჭადრაკის ფედერაციის გარშემო სკანდალი მწიფდება

„ის ინფორმაციას, რომელსაც ავრცელებენ, არ არის მთლად სწორი. პირობები, რომელიც ფიდეში წარვადგინეთ, შეთანხმებული იყო მთავრობასთან“

მაგდა კლდიაშვილი

ჭადრაკის ფედერაციამ, წლის დასაწყიში, სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელის უშუალო ლობირებით, სახელმწიფოსგან 38 მილიონ ლარზე მეტი მიიღო. ეს თანხა 2018 წლის მსოფლიო ოლიმპიადისთვის უნდა დაიხარჯოს, რომელიც ბათუმში ჩატარდება. სპორტის კომიტეტის მიერ გავრცელებული განცხადების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ამ თანხის ნახევარზე მეტი, 2018 წელს, 180 ქვეყნის 2 000-მდე წარმომადგენლის ბილეთებში, სასტუმროებსა და ჭამა-სმაში დაიხარჯება. სპორტის კომიტეტის წევრები სპორტის ყოფილ მინისტრს, ლევან ყიფიანს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ქვეყანას ერთგვარი ხარკი დაეკისრა, ქვეყანაში კი ჭადრაკის განვითარებაზე ეს არ აისახება.

„ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა ღიად მოგახსენოთ ჩვენი მტკიცე პოზიცია - ეს არის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების შეცდომაში შეყვანის გზით, ადამიანთა მცირე ჯგუფის პირადი ინტერესების სასარგებლოდ, არამიზნობრივად და დაუსაბუთებლად დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრების ხარჯვის დაკანონება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სამწუხარო გაუგებრობა, რომელიც სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელთა აქტიურობამ და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა საქმეში ჩაუხედაობამ განაპირობა. ჩვენ აქ შეგნებულად არ გამოვყოფთ ჭადრაკის ფედერაციას, რომელიც, რასაკვირველია, ყოველთვის ეცდება ჭადრაკისთვის რაც შეიძლება მეტი დაფინანსების მოპოვებას და ეს არის მისი ლეგიტიმური მიზანი. ჭადრაკის ფედერაციას და აწ უკვე გადამდგარ მინისტრის პირველ მოადგილეს, თავადაც მოჭადრაკეს (რომელმაც ასე „მარჯვედ“ გამოიყენა თავისი თანამდებობა, მინისტრის ლოიალობა და ზემოხსენებული სამთავრობო დადგენილების მიღების შემდეგ მალევე დატოვა პოსტი) დღეს ხელთა აქვთ მთავრობის მიერ დამტკიცებული ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 4 წელიწადში 40 მილიონამდე ლარის დახარჯვას ითვალისწინებს. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 30 მილიონი ლარი ერთი შეჯიბრების - საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობას და მის თანმხლებ გაურკვეველ ხარჯებს უნდა მოხმარდეს და არა ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს.

ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადახდილი ათეულობით მილიონი ლარი რატომ უნდა დაიხარჯოს იმ საქმეში, რასაც ჩვენზე გაცილებით დიდი და უზომოდ მდიდარი ქვეყნები არ ხარჯავენ საჭადრაკო ოლიმპიადების სამასპინძლოდ და ეს ყველაფერი, რეალურად, არავითარ უკუგებას არ იძლევა. ეს არ გაუკეთებიათ გერმანელებს, ესპანელებს, იტალიელებს, არც ნორვეგიელებს, რომლებმაც შარშან უმასპინძლეს ანალოგიურ საჭადრაკო ოლიმპიადას და ეს შეძლეს გაცილებით ნაკლები დანახარჯებით. გაუგებარია, რატომ უნდა გადაუხადოს ჩვენმა ბიუჯეტმა ცალკე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას (ფიდე) 1 150 000 ევრო, საიდანაც ნახევარი მილიონი ევრო უნდა მოხმარდეს სხვადასხვა კონტინენტზე ჭადრაკის განვითარების სპეციალურ პროგრამების დაფინანსებას (?!), 250 000 ევრო - „დამატებით ხარჯებს“ (?!), 50 000 ევრო - ფიდეს ოფიციალური პირების სტიპენდიებს(?!). საქართველოს მხარემ რატომ აიღო პასუხისმგებლობა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წინაშე, რომ ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციებს საკუთარი სახსრებით აცხოვრებდა ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროებში და უფრო მეტიც - მათი თვითმფრინავის ბილეთების ღირებულებასაც (?!) ჩვენი ბიუჯეტიდან გადაიხდიდა“, - ნათქვამია საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

სპორტის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ლუკა კურტანიძე აცხადებს, რომ საქართველოს, უამრავი სოციალური პრობლემის ფონზე, არ აქვს იმის ფუფუნება, რომ 30 მილიონი ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნის დელეგაციებს დაახარჯოს, რადგან აფრიკის რომელიმე ქვეყნის დელეგაციაზე დახარჯული ნახევარი მილიონი, საქართველოში ჭადრაკს ვერ განავითარებს, ეს ფული კი წყალში გადაიყრება. უფრო მეტიც, კურტანიძე ყურადღებას ამახვილებს ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეზე, სადაც ინვენტარი ძალიან მოძველებულია და მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე უნდა დაიხარჯოს ეს თანხები.

ლუკა კურტანიძე:

- ეს არ არის ჭადრაკის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები. ეს არის დანარჩენი მსოფლიოს დახმარება, რომ ჭადრაკი განვითარდეს. დღეს, მილიონობით ლარის გამოყოფა იმისთვის, რომ სხვადასხვა კონტინენტზე ჭადრაკი განვითარდეს, ახლოს არ არის რეალობასთან, როდესაც ქვეყანას უამრავი სოციალური გამოწვევა აქვს. ჭადრაკის სასახლე, რომელიც ვერის ბაღშია, სადაც ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და ის პლიადა გაიზარდა, რომლითაც ათწლეულებია ვამაყობთ, უნდა ნახოთ, რა მდგომარეობაშია. ინვენტარი მოძველებულია, ამისთვის კი არაფერი იხარჯება. სადაც კი ჩავდივართ ჩვენ, ყველგან ჩვენი დელეგაცია იხდის თანხას. ჭადრაკის ფედერაცია მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციას გაურიგდა, რომ 2018 წლის მსოფლიო ოლიმპიადისთვის 2 000 სტუმარს ჩამოიყვანს და ყველას გადაუხდის მგზავრობის, სასტუმროსა და კვების თანხას. მხოლოდ 30 მილიონი ჯდება ამ შეჯიბრის ჩატარება. ქართველ მოჭადრაკეებზე კი არ იხარჯება რაიმე, ან საჭადრაკო სამყაროსთვის კი არ შენდება, ფიდეს ძღვენი მივუძღვენით.

„მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა ფედერაცია ამ პროექტზე და მთავრობის გადაწყვეტილებით მოხდა ამ წინადადების წარდგენა, მთავრობამ დაამტკიცა“

ლუკა კურტანიძე აცხადებს, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა ექსმინისტრ ყიფიანს მითითება მისცა, რომ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოეწერა, ყიფიანმა კი დელეგირება ყოფილ მოადგილეს, ამჟამად კი ევროპის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, ზურაბ აზმაიფარაშვილს გადასცა, რომელმაც, ლევან ყიფიანის ნაცვლად, თავად მოაწერა ფიდეს პრეზიდენტთან ერთად ამ ხელშეკრულებას ხელი.

„ვერ დავეთანხმები ვერავის, ვინც ასე გადაწყვიტა, სპორტის ყოფილმა მინისტრმა დელეგირება აზმაიფარაშვილს გადასცა, რომელიც ევროპის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად გადავიდა. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამის გამო ხარკი უნდა ვუხადოთ. 14 მილიონი მარტო იმაში უნდა გადავიხადოთ, რომ 180 ქვეყნის დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდეს. ეს საქართველოს არაფერს აძლევს. თბილისის გრან-პრი რომ ჩავატარეთ, ევროპის ჩემპიონატი, ამან ქვეყანას 3 მილიონი მოუტანა, ფედერაციას ერთი მილიონი, იყო დანახარჯებიც, მაგრამ მოგება დარჩა, ჩვენ კიდევ, ვილებთ ვალდებულებას, რომ 2 ათასი სტუმარი ჩამოვიყვანოთ, ორი მილიონი ევრო პრემიებში უნდა გავცეთ, მათი ცხოვრება, ჩამოსვლა უზრუნველვყოთ. აბსურდთან გვაქვს საქმე. საქართველომ ხარკი გადაუხადა დანარჩენ მსოფლიოს.

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, გია გიორგაძე სპორტის კომიტეტს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ პროგრამაზე შეთანხმება მთავრობასთან მოხდა და სპორტის კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია „მთლად“ სწორი არ არის.

გია გიორგაძე, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:

- ამ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი საქართველოში არ არის. ერთ კვირაში იქნება და სჯობს, ამ საკითხზე მან გააკეთოს კომენტარი. ის ინფორმაცია, რომელსაც ავრცელებენ, არ არის მთლად სწორი. პირობები, რომელიც ფიდეში წარვადგინეთ, შეთანხმებული იყო მთავრობასთან. ეს სიახლე არ არის, ახლა არ მომხდარა, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა ფედერაცია ამ პროექტზე და მთავრობის გადაწყვეტილებით მოხდა ამ წინადადების წარდგენა, მთავრობამ დაამტკიცა. ხარკად არაფერი არ გვადევს. ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება. 180 ქვეყანა ჩამოდის.

- სწორად მიგაჩნიათ, რომ საქართველომ უნდა გადაიხადოს ამ 180 ქვეყნის დელეგაციის მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ხარჯები?

- არასწორი ინფორმაცია გაავრცელა სპორტის კომიტეტმა. არ არის ზუსტად ნათქვამი ის, რაც ჩვენ წინადადებაში გვაქვს ჩაწერილი.

exclusive

გია გიორგაძე

ლუკა კურტანიძე

„ჭადრაკის ფედერაცია მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციას გაურიგდა, რომ 2018 წლის მსოფლიო ოლიმპიადისთვის 2 000 სტუმარს ჩამოიყვანს და ყველას გადაუხდის მგზავრობის, სასტუმროსა და კვების თანხას. მხოლოდ 30 მილიონი ჯდება ამ შეჯიბრის ჩატარება. ქართველ მოჭადრაკეებზე კი არ იხარჯება რაიმე, ან საჭადრაკო სამყაროსთვის კი არ შენდება, ფიდეს ძღვენი მივუძღვენით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„X ფაქტორში“ დიმა კობეშავიძემ ალ

my View
თამარ გონგაძე

„მე არავინ გამიშვია პროექტიდან, გიორგი გაბუნიამ გაუშვა და მე ალეკო ბერძენიშვილის სკამზე დამსვა. მისი გავარდნა ყველასთვის შოკი იყო. ცხრავე კონკურსანტი ვამბოხდით, ოთხის ნაცვლად სამი სკამი გვაქვს, ერთზე ალეკო ზისო“

22 წლის დიმა მომღერალ ზურა კობეშავიძის უმცროსი ვაჟია. სწორედ ამიტომაც მისთვის ბავშვობა მუსიკასთან და სიმღერასთან ასოცირდება. მამასთან ერთად საქართველოში მოგზაურობა, უშუქო პერიოდში გენერატორის იმედად ჩატარებული კონცერტები ახსენდება, ასევე გაშლილი სუფრები, მომღერალთა გარემოცვა და ამ გარემოს აუდიტორიაში ყოფნა. დიმას დედა, რუსუდან ლალიაშვილი ვოკალის პედაგოგი და პიანისტია. ცელქი დიმა დედას არ უჩერდებოდა როიალთან. სანამ მას არ მოუნდა, მანამდე ვერავინ აიძულა, რომ ემღერა.

დიმა კობეშავიძე:

- მამისგან გამომდინარე მეც მინდოდა სცენაზე დგომა და მინდოდა სცოდნოდათ - ვინ ვარ. რომ არა მამა, სიმღერაზე შეიძლება არც მეფიქრა. ჩემი უფროსი ძმები არ მღერიან.

- იცი მშობლების სიყვარულის ისტორია?

- დიახ, მათ „პროფილური“ ისტორია აქვთ. დედა პატარა იყო მამა რომ გაიცნო. ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ იჩხუბეს, დაშორდნენ და ორივემ ოჯახი შექმნა. თუმცა პირველ ქორწინებაში არც ერთს არ გაუმართლა და ისევ ერთმანეთზე დაქორწინება გადაწყვიტეს. განგებას ასე უნდოდა, მე უნდა დავბადებულიყავი.

რუსუდან ლალიაშვილი (დედა):

- 15 წლის ვიყავი ზურა რომ გავიცანი. კარგი შესახედაობის ვიყავი, ზურა იმ დროს უკვე პოპულარული იყო, 22 წლის. „ოროველაში“ მღეროდა. თან ცეკვავდა. გოგონებში ძალიან პოპულარული, აქტიური ბიჭი იყო.

„ზურა დარბაზში ცეკვავდა. ზურას ცეკვის გარეშე არ შეუძლია. ამ ასაკშიც ასეა. არ დაიჯერებთ, მაგრამ 67 წლისაა“

„მამისგან გამომდინარე მეც მინდოდა სცენაზე დგომა და მინდოდა სცოდნოდათ - ვინ ვარ. რომ არა მამა, სიმღერაზე შეიძლება არც მეფიქრა“

რძალი დამენიძლავა, მოდი, აბა, ზურას ყურადღებას თუ მიიქცევ. მოკლედ, დავურეკე და ზურაც მაშინვე შემხვდა. ჩემი ბიძაშვილი მასთან ერთად სუხიშვილებში ცეკვავდა. მერე ვერ გავუგეთ ერთმანეთს და დავშორდით. მეორედ 1 მაისს აღლუმზე შევხვდით. მას შემდეგ ერთად ვართ. შვილებს სულ ვურჩევ, გულს მიენდონ.

დიმა:

- დედა ჩემი ფსიქოლოგია. იცის რა უნდა გირჩიოს.

რუსუდანი:

- მშობლებს თავიანთი ახალგარზდობა ავიწყდებათ. მე არ მავიწყდება, რჩევის მიცემისას იმ პოზიციიდან ვუდგები და ეს ამართლებს. არაფერს მიმალავენ.

პუტკუნა დიმას უფროსი ძმა ჩქმეტდა და აწვალებდა. გაწამებული დიმაც დაპირდა, შენ შვილებს მე გავანამებო.

„ორი შვილი ჰყავს და ორივეს საკმაოდ კარგად ვაწამებ. ავუსრულე დანაპირები“.

რუსუდანი:

- შარიანი იყო, ხიდან ვარდებოდა, ძაღლი კბენდა. იყო დამჯერი. მამას ჰგავს, ერთნაირი სასიმღერო ყელი აქვთ.

მეოთხე კლასიდან სკოლა მოსკოვში დაამთავრა. თუმცა მოსკოვი არ უყვარს. მღერის 15 წლიდან. ამ შვიდი წლის განმავლობაში სხვადასხვა პროექტებიდან გულიც გატეხია. თუმცა როგორც ამბობს, ამას მისთვის ფარხმალის დაყრის საშუალება არ მიუცია.

„პროექტიდან უარს რომ იღებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავის არ აინტერესებ. ბევრი უარი მივიღე, მაგრამ მცირეხნიანი მოწყენის შემდეგ მოვიქოქებოდი და ასე, წლიდან წლამდე დავიხვეწე. არასდროს გავჩერებულვარ“.

„საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგიდან გამოვარდა. მერე იყო „ახალი ხმის“ პერიოდი, სადაც, როგორც ამბობს, დიდი გამოცდილება მიიღო.

„იმ გამოცდილებით კი უფრო დიდი გამოცდილების მისაღებად მოვედი. „ახალ ხმაში“ რა დონემდეც მივედი, ვთვლი, რომ ჩემთვის საკმარისი არ ყოფილა. მინდა, რომ ჩემს თავს დავუმტკიცო, მეტი შემიძლია და ამის მიღწევა მინდა.

- წარუმატებლობა სიმღერაზე უარს არ გათქმევინებს, არა?

- ვერ მათქმევინებს, მომღერლობას ვერასდროს შეველევი. სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, მეექვსე კურსის სტუდენტი ვარ. ექიმი უნდა გამოვიდე, მაგრამ სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილი იქნება. სადაც არ უნდა ვიყო, საოპერაციოში თუ პაციენტთან, ყოველთვის ვიმღერებ. მთავარია ადამიანმა ფარხმალი არ დაყარო და განვითარდე. წინ უნდა იარო და ყველაფერი კარგად იქნება.

- ქირურგობას აპირებ?

- არა, ქირურგობა არ მინდა. ექვსივე წელი ყოველ წელს სხვადასხვა გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკო ბერძენიშვილის სკამი დაიკავა

„პირველ ქორწინებაში არც ერთს არ გაუმართლა და ისევ ერთმანეთზე დაქორწინება გადაწყვიტეს. განგებას ასე უნდოდა, მე უნდა დავბადებულიყავი“

„ბევრი უარი მივიღე, მაგრამ მცირეხნიანი მოწყენის შემდეგ მოვიქოქებოდი და ასე, წლიდან წლამდე დავიხვეწე. არასდროს გავჩერებულვარ“

„ნერწყვი გადამცდა - აი, სად დაგვერხა-მეთქი. თუმცა აღმოჩნდა, რომ გიორგი მეგობრულია, მამასავით გვივლის ყველას. დიდ პატივს ვცემ, კარგი ადამიანია. არ მეგონა ასეთი თუ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, არც ერთ რეპეტიციას არ აცდენს“

EXCLUSIVE

ნხრით მსურდა წასვლა. ჯერჯერობით ანესთეზიოლოგობა მინდა. ქირურგობა საპასუხიმგებლოა. არ მინდა, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

მომღერალი მამა ვაჟს კრიტიკულად აფასებს. ძირითადად არ მოსწონს შვილის შესრულებული.

„ასე რომ არ მაფასებდეს, მე წინ ვერ წავიდოდი და ვერ გავძლიერდებოდი, როგორც მომღერალი. მისწორებს შესრულების ტექნიკას, ამოიღე, გაასწორეო, მეუბნება. ოთხი სკამის ჩემი სიმღერის ფინალი მამას კატეგორიულად არ მოსწონდა და სტივ ვანდერის სიმღერას თავისი დაბოლოება გაუკეთა. პროექტის მუსიკის პედაგოგებსაც ძალიან მოეწონათ - სოფო ტოროშელიძეს და მანანა მორჩილაძეს.

- როგორ ფიქრობ, ოთხ სკამზე გიორგიმ შენზე არჩევანი რატომ გააკეთა?

- ვფიქრობ, კარგად ვიმღერე. კმაყოფილი ვარ. თუმცა ჩანაწერს სანამ არ ვნახავ, არ მახსოვს, სცენაზე რა ჩავიდინე. მეათე გავედი, ოთხივე სკამი დაკავებული იყო და სიმღერის დასაწყისში თავიდან ვნერვიულობდი, შუა სიმღერაზე თავი მოვთოკე და კარგად დავასრულე. დარბაზი ფეხზე ადგა და რომ დავინახე ჟიურიც ფეხზე იდგა, ძალიან გამიხარდა.

- შენ ვინ გაუშვი სკამიდან? :)

- მე არავინ გამიშვია პროექტიდან, გიორგი გაბუნიამ გაუშვა და მე ალეკო ბერძენიშვილის სკამზე დამსვა. მისი გავარდნა ყველასთვის შოკი იყო, არავინ მოველოდით. გიორგის ცხრავე კონკურსანტი ვამბობდით, ოთხის ნაცვლად სამი სკამი გვაქვს, ერთზე ალეკო ზისო. სხვათა შორის, ოთხი სკამის ეპიზოდამდე გავცივდი. მაგრამ წამლებით რაღაცნაირად ვიმღერე. სამი დღე გაჩუმებულიც კი ვიყავი, სიმღერა აკრძალული მქონდა. მამამაც ისე ინერვიულა, არაფერი ახსოვს. მე რომ ვმღეროდი, ზურა დარბაზში ცეკვავდა. ზურას ცეკვის გარეშე არ შეუძლია. ამ ასაკშიც ასეა. არ დაიჯერებთ, მაგრამ 67 წლისაა, არანაირად არ ეტყობა. არ მახსოვს რომელიმე დილა გამოეტოვებინოს, ადრე არ ამდგარიყოს და ვაკის პარკში სავარჯიშოდ არ ჩაერბინა. ახალგაზრდობაში სუხიშვილებში ცეკვავდა. ბაბუა გრიგოლ კობეშავიძე ქორეოგრაფი იყო და ანსამბლი „მხედრული“ ჰყავდა. ანსამბლში ბიძაც იყო ჩართული. ბაბუა ბუნდოვნად მახსოვს.

- შენ მენტორზე გიორგიზე რას მეტყვი?

- ჯგუფი „სპარკლი“ ჩემი მეგობრები არიან. გოგონებს როგორც აფასებდა, მისი შეფასებიდან გამომდინარე არ შემექმნა მასზე კარგი წარმოდგენა. ბიჭები არ ველოდით, რომ ჩვენი მენტორი გიორგი იქნებოდა, რადგან ბიჭების კატეგორია მას უკვე ჰყავდა. თამთას ველოდებოდით და ბენდებს რეპლიკებს ვესროდით - გაბუნია შეგხვდათ და გეშინოდეთო. უცებ მათთან თამთა გადმოვიდა და მე ნერწყვი გადამცდა - აი, სად დაგვერხა-მეთქი. თუმცა აღმოჩნდა, რომ მეგობრულია, მამასავით გვივლის ყველას. დიდ პატივს ვცემ, კარგი ადამიანია. არ მეგონა ასეთი თუ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია არც ერთ რეპეტიციას არ აცდენს. ყველას ინდივიდუალურად გვიდგება. ისწავლე ღიმილი, სცენაზე ფლეგმა ხარო, მეუბნება. სცენაზე ნუ ჩამოგტირის სახე, სიმღერას ნუ გაიფუჭებ შენი ფლეგმატურობითო.

- რას ელოდები „იქსფაქტორისგან“?

- ველოდები ჩემს პირად განვითარებას. ამ პროექტში იმიტომ გამოვედი, რომ ვაჩვენო ის, რაც „ახალ ხმაში“ ვერ ვაჩვენე. არ ვფიქრობ გამარჯვებაზე. ყოველ გამოსვლაზე კონკრეტულად იმ სიმღერაზე ვფიქრობ. ვიცი, რომ კარგად უნდა ვიმღერო. თუ გადავლახე ის ეტაპი, შემდეგ ეტაპზე ფიქრს ვიწყებ. თუ ფინალში აღმოვჩნები, გამარჯვებაზე მერე ვიფიქრებ, ახლა ამაზე ფიქრი რთულია. ბევრი მაგარი მომღერალია პროექტში, კონკურენციაც სასტიკად დიდია. ბენდებმა და ბავშვების კატეგორიამ საერთოდ შოკში ჩაგვაგდო. ვერ ვხვდები ასეთი ძლიერი ბავშვები როგორ და საიდან წამოვიდნენ. მთელ პროექტში ყველა ჩვენს სტილში ვართ, ერთმანეთს არც ერთი არ ვგავართ. დაძაბულობა არ სუფევს, ჩანაწერს ყველა ერთად ვუყურებთ ორშაბათს. უმეტესობა ერთმანეთს ვიცნობდით, საქართველოა და ყველა სადღაც პროექტში ვმონაწილეობდით.

რუსუდანი:

- მესიჯებით გამარჯვება ჩემთვის მიუღებელია. დიმამ მესიჯებამდე მისვლამდე თავი კარგად წარმოაჩინა. მერე ვნახოთ. არ ნებდება. მე აქამდე ყურებს ჩამოვყრიდი. ეს თვისება მომწონს მასში.

- დიმა, მაინც შენი ჟანრი რომელია?

- ჩემი ჟანრი სოულია. რეპის გარდა ყველაფერი მიმღერია.

- რა გარემოში ჩაატარებდი კონცერტს?

- გადაჭედილ სტადიონზე. მიყვარს ხალხმრავლობა და იქიდან წამოსული მუხტი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის ჯიბეში წავიდა მათე ვაწაძეში გადახდილი ფული

„ვაწაძეში „ნიჟნიმ“ რა გადაიხადა, ბუბა ტყავაძეს ჰკითხეთ, ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს. თანხა გადახდილია, ისე ხომ ვერ წამოვიდოდა გუნდიდან, მას კონტრაქტი ჰქონდა, ფინანსურ საკითხებში არ ვერეოდი ნიჟნიში“

„ვაწაძეში იმდენი გადაიხადეს, რამდენიც საჭირო იყო, ნახავთ კლუბში და გეტყვიან პასუხს“

მათე ვაწაძე

exclusive

„როგორც ვიცი, ფეხბურთელის აგენტმა გადაიხადა თანხა და კლუბის ბიუჯეტში ჩარიცხა“

ლევან ზუხბაია

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და დანიური „ორჰუსის“ ქართველი თავდამსხმელი, მათე ვაწაძე 2011 წელს თბილისის „დინამოდან“ ნიჟნი-ნოვგოროდის „ვოლგაში“ გაიყიდა. თავის დროზე კლუბმა მისი ტრანსფერის ფასი გაასაიდუმლოა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ფეხბუთის ფედერაციაში, ვაწაძის სატრანსფერო დოკუმენტაციაში ფეხბურთელი რუსეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა, ნიჟნი-ნოვგოროდელებმა კი მასში თანხა გადაიხადეს. სად გაქრა ვაწაძის ტრანსფერში გადახდილი ფული და რა კავშირი აქვს ამ საქმესთან თბილისის „დინამოს“ ყოფილ გენერალურ დირექტორს, ბუბა ტყავაძეს.

როგორც ცნობილი გერმანული გამოცემა Transfermarktდან ირკვევა, „ვოლგამ“ მათე ვაწაძის ტრანსფერში 200 ათასი ევრო გადაიხადა, მაგრამ „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ ფეხბურთელი თბილისის „დინამოდან“ რუსეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა.

ამ ინფორმაციას ფეხბურთის ფედერაციაშიც ადასტურებენ და ამბობენ, რომ ვაწაძე მართლაც თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა ნიჟნი-ნოვგოროდში, თუმცა ცნობილია, რომ ვაწაძეს თბილისურ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებდა.

მამუკა ჯუღელი

ვაწაძეში რომ „ვოლგამ“ ტრანსფერის თანხა გადაიხადა, ამ ინფორმაციას „პრაიმტაიმს“ ნიჟნი-ნოვგოროდელების მაშინდელი სპორტული დირექტორი, მამუკა ჯუღელიც ადასტურებს. ჯუღელის თქმით, ვაწაძეში მისმა ყოფილმა კლუბმა თანხა გადაიხადა, რადგან „დინამოსთან“ მას მოქმედი კონტრაქტი ჰქონდა, თუ რა თანხა იყო ეს, ჯუღელი ამბობს, რომ ეს „დინამოს“ ყოფილ დირექტორ ბუბა ტყავაძესთან უნდა გაირკვეს.

მამუკა ჯუღელი:

„მე რეზო ვაწაძემ გამზარდა. მათე მისი შვილია, ჩათვალეთ, რომ ჩემი შვილია. ვაწაძეში „ნიჟნიმ“ რა გადაიხადა, ბუბა ტყავაძეს ჰკითხეთ, ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს. თანხა გადახდილია, ისე ხომ ვერ წამოვიდოდა გუნდიდან, მას კონტრაქტი ჰქონდა, ფინანსურ საკითხებში არ ვერეოდი ნიჟნიში“.

აშკარაა, რომ რუსულმა მხარემ თბილისელებს გარკვეული თანხა გადაუხადა, მაგრამ სად გაქრა ეს თანხა და რატომ არ არის დაფიქსირებული ტრანსფერად, უცნობია.

თბილისის „დინამოს“ სპორტული დირექტორი, ლევან ზუხბაია 2011 წელს კლუბში იურისტის პოსტს იკავებდა. როგორც ზუხბაიამ „პრაიმტაიმს“ განუცხადა, მათე ვაწაძესთან თბილისის „დინამომ“ კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა, მისი გამოსასყიდი თანხა კი ფეხბურთელის აგენტმა გადაიხადა.

საკვირველია, რომ ზუხბაიას „არ ახსოვს“ ვინ იყო მაშინ ვაწაძის აგენტი, რომელმაც თბილისის „დინამოს“ 200 ათასი ევრო გადაუხადა.

ლევან ზუხბაია, თბილისის „დინამოს“ სპორტული დირექტორი:

- რა თანხა გადაიხადა „ვოლგამ“ მათე ვაწაძეში?

- ზუსტად არ მახსოვს, არ მგონია გასახსენებელი იყოს.

- რა ფორმით მოხდა ფეხბურთელის გაშვება?

- ტრანსფერით არ წასულა. ურთიერთშეთანხმებით მოხდა კონტრაქტის გაწყვეტა.

- „ვოლგას“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ კლუბმა ფეხბურთელში ფული გადაიხადა...

- როგორც ვიცი, ფეხბურთელის აგენტმა გადაიხადა თანხა და კლუბის ბიუჯეტში ჩარიცხა.

- აგენტი ვინ იყო?

- არ მახსოვს.

საკვირველია, როგორ არ ახსოვს ზუხბაიას, თუ ვინ გადაიხადა მათე ვაწაძეში 200 ათასი ევრო, თუმცა არის ეჭვი, რომ თბილისის „დინამოს“ ბიუჯეტში, თავის დროზე, არა 200 ათასი, არამედ 120 ათასი ევრო ჩაირიცხა, დარჩენილი 80 ათასი კი გუნდის ხელმძღვანელთა ჯიბეებში წავიდა.

„პრაიმტაიმი“ ბუბა ტყავაძესაც დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ ვაწაძესთან დაკავშირებით ინფორმაცია კლუბში ინახება და იქ შეიძლება გარკვევა. რაც შეეხება კონკრეტულ თანხას, ტყავაძის პასუხი ამაზე შემდეგია - „თქვენ გახსოვთ, რა ჭამეთ 2011 წელს“?

ბუბა ტყავაძე, თბილისის „დინამოს“ ყოფილი დირექტორი:

- კლუბს მიმართეთ და გეტყვიან ყველაფერს, იურიდიული პირი არ შეცვლილა, იგივეა. თქვენ გახსოვთ, რა ჭამეთ 2011 წელს? ვაწაძეში იმდენი გადაიხადეს, რამდენიც საჭირო იყო, ნახავთ კლუბში და გეტყვიან პასუხს. თუ „დინამოს“ გადაუხადა“ კლუბმა თანხა, იმდენივე იქნება დაფიქსირებული, რამდენიც გადაიხადეს, თუ სხვამ აიღო ეს თანხა, ეს სხვა თემაა. თუკი თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა ვაწაძე, აგენტი ვერ გადაიხდიდა ფულს, გადაიხდიდა კომპენსაციას.

- ჩვენი ინფორმაციით, აგენტმა 200 ათასი ევრო გადაიხადა, კლუბში კი მხოლოდ 120 ათასი ევრო დაფიქსირდა...

- რას ნიშნავს გაფორმდა, ანუ სხვამ ჩაიდო ეს თანხა, ამას ამბობთ? ჩვენთან არაფერი არ ქრებოდა. დოკუმენტებში დაფიქსირებულია ყველაფერი.

ბუბა ტყავაძე

„რას ნიშნავს გაფორმდა, ანუ სხვამ ჩაიდო ეს თანხა, ამას ამბობთ? ჩვენთან არაფერი არ ქრებოდა. დოკუმენტებში დაფიქსირებულია ყველაფერი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მერსედეს-ბენცის მოდის კვირეული დათუნა სულიკაშვილმა გახსნა

„პარიზში მოდის კვირეულის დროს გახლდით. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. თავბრუ დამახვია ზედმეტად კონკრეტულმა დასამახსოვრებელმა სამოსმა. ამიტომ მომინდა უბრალო და თავდაჯერებული ქალის სამოსის შექმნა“

my View
თამარ გონგაძე

პირველიდან ექვსი მაისის ჩათვლით თბილისში მერსედეს-ბენცის მოდის კვირეული იმართება, რომელზეც მსოფლიოს 24 დიზაინერის ბრენდები იქნება წარმოდგენილი. ჩვენებას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან ასეულობით ცნობილი ადამიანი დაესწრება.

ივენთზე ჩამოდიან ისეთი გავლენიანი გამომცემლობის ჟურნალისტები, როგორიცაა New York Times-ი, Vanity Fair-ი, Elle Italy, Vogue Japan, Style.com, Nowfashion-ი, Fashion Monitor-ი, Forbes Ukraine, Forbes Kazakshtan, Paper Magazine, Business of Fashion-ი, The Huffington Post-ი, WUT Berlin -Tokyo და სხვა. კვირეულში მონაწილეობენ ავთანდილი, დათუნა სულიკაშვილი, თამუნა ინგოროყვა, ანუკა ქებურია, ატელიე კიკალა, ქეთი ჩხიკვაძე, აკა ნანიტაშვილი, გვანცა ჯანაშია, GOLA, ნინო სეფიაშვილი, თენგიზ სეფიაშვილი, თეო გარდაფხაძე, სიმონ მაჩაბელი, ნინო ბაბუხადია, LAKO BUKIA, BESSARION, Alexander Arutyunov, ტატა მეფარიძე.... უკრაინიდან ელოდებიან დიზაინერებს Poustovit, Litkovskaya, Lake Studio... რუსეთიდან თავის კოლექციას Walk of Shame წარმოადგენს.

„მუზა არ მყოლია. კონკრეტულ პიროვნებას რომ ირჩევ, ჩარჩოში ექცევი და გასაქანს არ გაძლევს“

მოდის კვირეულის ძირითადი ლოკაცია „ექსპო ჯორჯიაა“. როგორც პროექტის დამაარსებელმა სოფო ჭყონიამ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს უთხრა, პროექტი მსოფლიო მოდის პროფესიონალებისთვის ქართული კულტურის წარდგენის კარგი შანსია.

მერსედეს-ბენცის მოდის კვირეული საერთაშორისო პროექტია და საქართველოში წელს პირველად იმართება.

მერსედეს-ბენცის მოდის კვირეული 1 მაისს დათუნა სულიკაშვილმა თავისი ჩვენებით გახსნა. დიზაინერმა შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში 40 კოსტიუმი წარმოადგინა, რომელზეც ორი თვე იმუშავა. კოლექცია სპეციალურად ამ მოდის კვირეულისთვის შექმნა.

- შენ გჩვევია კოლექციაზე მუშაობის ბოლო მომენტში დასრულება.

- აღარ ვმუშაო მაგ სტილით, შევიცვალე.

თავისუფალი, ცოტა თამამი, თავდაჯერებული სტილის ქალბატონი დათუნას პროტესტის ნაყოფია. პროტესტი პარიზში ყოფნისას გაუჩნდა.

„მუზა არ მყოლია. კონკრეტულ პიროვნებას რომ ირჩევ, ჩარჩოში ექცევი და გასაქანს არ გაძლევს. პარიზში მოდის კვირეულის დროს გახლდით. იქ თვალში მხვდებოდა კონკრეტული სამოსები. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. თავბრუ დამახვია ზედმეტად კონკრეტულმა დასამახსოვრებელმა სამოსმა. ამიტომ მომინდა უბრალო და თავდაჯერებული ქალის სამოსის შექმნა“.

წითელი, შავი, ნაცრისფერი და ბეჟი. ეს ამ კოლექციაში გამოყენებული ფერებია. დომინანტ ფერად დიზაინერმა წითელი აარჩია. შარვალი, პიჯაკი, კაბა, ჟილეტი - სულ წითელ ფერში წარმოადგინა.

ქსოვილს პარიზში იძენს. ამჯერადაც მასალა მოდის დედაქალაქში იყიდა. გამოყენებული ჰქონდა აბრეშუმი, ქაშმირი, შალი, ხელით ნაქსოვი დეტალებით. რაც შეეხება ფეხსაცმელს სქელ ქუსლზე ტყავის და ბარხატის მასალა გამოიყენა.

მოდელი კრისტი ყიფშიძის გარეშე დათუნას ჩვენება უკვე წარმოუდგენელი გახდა. უკვე მესამედ მონაწილეობს მის ჩვენებაში მომღერალი ქრისტინე იმედაძეც.

„ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მოდელი არ იყო საქართველოში, ჩამოვიდა და მან ჩემი ჩვენება გახსნა, ის თამუნა ქორქიაა. ბოლოს კრისტი გამოვიყვანე, ტრადიციულად. ის, ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზად აჩვენებს სამოსს.

ჩვენებას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ბაერები. დიზაინერმა შეკვეთებიც მიიღო. კვირეულზე ჩამოსულები არიან მაღაზიების მფლობელები.

დიზაინერი პირველ ლედისთან თანამშრომლობას განაგრძნობს. „მაკამ ბოლოს საღამოს შავი კაბა შემიკვეთა“.

დათუნა ამერიკაში წელიწადში სამჯერ ჩადის. ის ერთ ფართე მოხმარების სამოსის მწარმოებელ კომპანიასთან თანამშრომლობს.

„დავიწყე თანამშრომლობა და ნელ-ნელა წინ მიდის. სამოსი, რომელსაც ამერიკაში ვქმნი, იაფფასიანია, ლუქსი არ არის. ჩემია დიზაინი, მერე კომერციული მხარე დეტალებს ამატებს, რომ კარგად გაიყიდოს“.

„ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მოდელი არ იყო საქართველოში, ჩამოვიდა და მან ჩემი ჩვენება გახსნა, ის თამუნა ქორქიაა. ბოლოს კრისტი გამოვიყვანე, ტრადიციულად. ის, ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზად აჩვენებს სამოსს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გუჯა ბურდულის ცხოვრებისეული გამოცდი

ნინო მჭედლიშვილი



„ოჯახს ვერ მივატოვებ, ამხელა ოჯახი მაქვს, ჩემს სინდისთან ხომ უნდა ვიყო მართალი“

თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“ არის ფილმი, რომლითაც გუჯა ბურდული, როგორც მსახიობი გაიცნო ფართო საზოგადოებამ. თუმცა მანამდე არაერთი რუსული ფილმია ბატონი გუჯას ბიოგრაფიაში. მსახიობობა თავად არ აურჩევია. პირველ ფილმში მოტყუებით გადაიღეს, მეორეში - ხათრით. მერე მოეწონა ეს პროფესია და თემურ ბაბლუანსაც დასთანხმდა ფილმში გადაღებაზე. ასე მოხვდა ფილმებში: „ბეღურების გადაფრენა“, „უძინართა მზე“...

ცოტამ თუ იცის, რომ ადრეულ ასაკში ბატონი გუჯა მაშველად მუშაობდა, იყო პერიოდი, როცა ოჯახის სარჩენად ბენზინგასამართ სადგურზეც მოუწია მუშაობა. მის ცხოვრებაში დიდი დოზით იყო სიმღერა, ცეკვა, სპორტი. ერთი სიტყვით, ჩვენს ინტერვიუში მსახიობის ბიოგრაფიის ბევრ უცნობ ამბავსა და ისტორიას ამოიკითხავთ...

ხუთი წლის წინ, გუჯა ბურდული და მისი მეუღლე ინეზა აბესაძე საუკეთესო წყვილად დაასახელეს. ბატონ გუჯას შინ ვესტუმრეთ და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ და როცა სასიყვარულო გამოცდილებაზე მიდგა ჯერი, ქალბატონი ინეზა საკუთარი ინიციატივით შემოგვიერთდა და მათი სიყვარულის ამბავი საკმაოდ საინტერესოდ გვიამბო.

- დედა გურული მყავდა, მამა მთიული. ვერ ვიგებდი მათ შერწყმას, მამას ვეუბნებოდი, ამ მთიულმა კაცმა ეს გურული ქალი სად იპოვე-მეთქი. დედა ცოტა „კვინწარი“ იყო, მამა დინჯი, წყნარი.

- თუმცა, სიფიცხე მთიულებსაც ახასიათებს, თქვენში რომლის ხასიათი ჭარბობს?

- ორივესი ერთად. ბედს არ ვემდური. ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, რომ ქართველი ვარ, საქართველოში დავიბადე. ასჯერ რომ დავიბადო, ასჯერვე ვთხოვდი უფალს ქართველად მომავლინოს, ამ მიწა-წყალზე გამაჩინოს კვლავ. უფლის მიწა გვერგო ჩვენ, როგორ შეიძლება ეს არ დაინახო, არ დააფასო.

- მშობლებს დავუბრუნდეთ. განსაკუთრებული დარიგება თუ გახსენდებათ მათი მხრიდან, რა აკრძალვები ჰქონდათ?

- ბავშვი იმისაა, სულ თამაში უნდა. სულ თამაშით ჩემი ცხოვრება არ აეწყობოდა. უნდა მესწავლა. სწავლას რომ მაძალებდნენ, პროტესტი მიჩნდებოდა. მწყინდა, რომ მეტი გართობის უფლებას არ მაძლევდნენ. ცუდადაც არ ვსწავლობდი. ოთხები და ხუთები მყავდა. ისტორია და ქართული მიყვარდა განსაკუთრებით. ეს მასწავლებლების დამსახურება იყო.



- ყველა მამაკაცის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ის ქუჩაში გადის თავის დასამკვიდრებლად. ე.წ. ქუჩის აკადემია თუ იყო თქვენს ცხოვრებაში და რა მოგცათ ქუჩამ გამოცდილების თვალსაზრისით?

- რა თქმა უნდა, იყო. მაშინ იყო თუ იყო, ქუჩა, ქურდული სამყარო... მიუხედავად იმისა, რომ „პიონერთა სასახლეში“ ხელოვნების თითქმის ყველა წრეზე დავდიოდი, ყველაზე მეტი მეგობარი ქუჩაში შევიძინე... ერთმანეთის გატანას და გვერდით დგომას ვსწავლობდით, ქალის, ოჯახის პატივისცემას...

- ბავშვობაში რა ინტერესები გქონდათ?

- ათას რამეს მივედ-მოვედე. ძალიან პატარა ვიყავი პირველი გასტროლი რომ მქონდა ბულგარეთში „არტეკში“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ პარტიული დელეგაციები არ იყო ჯერ გასული საზღვარგარეთ. პირველი ბავშვი ვიყავი, ვინც საქართველოს საზღვრებს გასცდა მაშინ. დედას ეამაყებოდა. კომკავშირის ცეკადან ჩემი პატრონი იქ ქალბატონი ნათელა ვასაძე იყო. სასწაული ადამიანი, მაგალითი ქართველი დედის, აღმზრდელის... ერთხელ, მოსკოვში ვართ შეკრებაზე. გაგვაფრთხილეს, რომ არ ვიცელქოთ, არ ვიჩხუბოთ. ერთი თათარი ბიჭი იყო, ცელქობდა ძალიან. შევწუხდი. მდოგვში ჩავაწე თითი და ცხვირში ამოვუსვი. მაგდებდნენ იქიდან. ქალბატონმა ნათელამ მიშველა, არ გამოაგდოთ, გასახელებთო, სთხოვა ორგანიზატორებს. ასეც მოვიქეცი, სპორტშიც, ცეკვაშიც, სიმღერაშიც, ყველაფერში დამაჯილდოვეს, უამრავი სიგელი ჩამოვიტანე... სპორტი მიყვარდა ძალიან. დავდიოდი ბოქსზე, კარატეზე, მე ვიყავი პირველი ჰოკეისტი. ერთ-ერთ ჩემპიონატზე მოსკოვთან 30:0 წავაგეთ, უკრაინასთან - 15:0 და სომხებს მოვუგეთ 11:1.

- როგორი იყო სოციალური ფონი, ფინანსური მდგობარეობა, ამ თვალსაზრისით ყველაზე რთულად რომელი პერიოდი გახსენდებათ?

- დედა დიასახლისი იყო, ხანდახან გაძვრებოდა ხოლმე მაღაზიის დირექტორად (იცინის), მამა ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა. ამდენად არასდროს მოგვშიებია...

- პროფესია როგორ აირჩიეთ?

- მე არ ამირჩევია, სულ სხვა ინტერესები მქონდა. სამი წელი სუხიშვილებშიც ვცეკვავდი. საზღვარგარეთ არ წამიყვანეს გასტროლზე, სულ სტაჟიანი მოცეკვავეები მიჰყავდათ. გავბრაზდი და წამოვედი.

- ეტყობა ძალიან არ გიყვარდათ ცეკვა, თორემ კიდევ მოიცდიდით...

- როგორ გითხრათ, სცენა არ მიყვარდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა, მსახიობი ვარ და თეატრი არ მიყვარს. საყურებლად კი, თავად რომ ვითამაშო, არ მინდა. არასდროს არც ერთ სპექტაკლში არ მითამაშია. ვერავის დააძალებ აკეთოს ის, რაც არ უნდა და მით უმეტეს მე... ფილმშიც მოტყუებით გადამიღეს. ძმაკაცი ჩამოვიდა საქართველოში, ფილმს იღებდა. მთხოვა, ითამაშე, კარგად მღერი და ძალიან მოუხდება შენი სიმღერა ჩემს ფილმსო. უარი ვუთხარი. კინაღამ ვიჩხუბეთ. მერე ხერხს მიმართა, დამირეკა, გადასაღებ მოედანზე ორი სახალხო არტისტი მყავს: ერთი, ბუხუტი ზაქარიაძე და მეორე რუსი მსახიობი, ქენი სიკეთე და მოგვიტანე სასმელ-საჭმელი გადასაღებ მოედანზე, ცოტა შევისვენებთ, გავერთობითო, მითხრა. მაგაზე უარს როგორ ვეტყოდი, ეგ ჩემი საქმე იყო. წავედი ბაზარში, ვიყიდე პროდუქტი, მოვამზადე ყველაფერი და ავუტანე. ამათ მოულაპარაკიათ, გვერდით დავისვამთ, იმღერებს, მაინც თვალდახუჭული მღერის, კამერას ვერც დაინახავსო. დამისვეს გვერდით, დავლიეთ, ვიმღერე და გადამიღეს. ასე მოვხვდი პირველ ფილმში, სიომა გასპაროვის „რეისი პირველი რეისი უკანასკნელი“. უკმაყოფილება კი მოხდა, მაგრამ ამ ამბავს ხომ არ გადავყვებოდი, შევრიგდით. მეორედაც მომატყუა, ოდესაში იღებდა ფილმს, დამირეკა, აქ ბევრი ხულიგნები არიან, ჩამოდი, გვერდით დამიდექი, მომეხმარეო. უარს როგორ ვეტყოდი, მაშინ ბენზინგასამართ სადგურზე ვმუშაობდი, გავეთავისუფლე სამსახურში და ჩავედი. იქ იმდენი მეჩიჩინა, დამითანხმა. მეზღვაური ვითამაშე ფილმში, „იდუ სვაიმ კურსამ“. მერე ბანდიტიც ვიყავი მის ერთ-ერთ ფილმში. ბანდიტის სახელი მქონდა მთელ ქალაქში.

- ბენზინგასამართ სადგურზე ვმუშაობდიო, მითხარით. გამოდის, მამის გზას გაყევით...

- გამაყოლეს. ორი შვილი მყავდა მაშინ, ხომ არ ვაშიმშილებდი, ძველბიჭობას ვარჩიე ოჯახისთვის მიმეხედა და მამის ადგილზე დავიწყე მუშაობა.

- არასდროს ყოფილა „ძველბიჭობა“ თქვენს ცხოვრებაში?

- როგორ არ ყოფილა, მაშინ სულ ძველი ბიჭები არ ვიყავით მთელი თბილისი?!

- გოგოს გამო გიჩხუბიათ?

- როგორ არ მიჩხუბია. ჩხუბში მოგება ჩვენი სავიზიტო ბარათი იყო. ხან მე გავლახავდი, ხან ისინი მჯაბნიდნენ. ჩხუბი სირცხვილი კი არ იყო. კაი მოჩხუბარის სახელი მქონდა მთელ თბილისში. დანას ვისროდი ისე, რომ ადამიანების დახატვა შემეძლო.

- როგორ?

- დადგებოდა ჩემი ძმაკაცი ფიცარნაგთან და ვესროდი, იმდენჯერ, სანამ მის სილუეტს არ დავხატავდი. არასდროს ამიცდენია. ერთხელ პატარა ბავშვები მოვიდნენ, ვერელები, გუჯას ჩვენი ვასკა ფიცხელაური შევაჯიბრეთო, მოიყვანეს. ათასი თამაში მოიგონეს, ყველაფერში მოვუგე. არ გვნებდებოდნენ. ბოლოს ჩემი ძმაკაცი გაბრაზდა, მესროლეთ და ვინც უფრო ახლოს დაარჭობს დანას ის იქნება მოგებულიო. დადგა. ვესროლე და გვერდში დავარჭე, მეტოქემ უფრო ახლოს მოინდომა და გვერდში დაარჭო სხეულზე. დანა ჯერ კიდევ მის სხეულზე ქანაობდა, სიცილით რომ უთხრა ჩემს მოწინააღმდეგეს, წააგე სიმონ, წადი სახლშიო. საბედნიეროდ კარგად დამთავრდა ყველაფერი.

- პროფესიაზე ვსაუბრობდით...

- „ბეღურების გადაფრენა“ იყო პირველი ქართული ფილმი, რომელშიც ვითამაშე. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ეს ფილმი ეკრანებზე გამოსულიყო. წავედით მოსკოვში და კინემატოგრაფიის მინისტრს, გერასიმოვს შევჩივლეთ ჩვენი ამბავი. დავსხედით მის ჯგუფთან ერთად და ვუყურეთ ფილმს. ისეთი ტაში იყო ფილმის ბოლოს... გამოვიყენე ჩემი გიტარა, ვესტიბ-

„ორი შვილი მყავდა მაშინ, ხომ არ ვაშიმშილებდი, ძველბიჭობას ვარჩიე ოჯახისთვის მიმეხედა და ბენზინგასამართ სადგურზე დავიწყე მუშაობა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დავნებდი, პატრიარქის წინ როგორ წავიდოდი“

EXCLUSIVE

„ასჯერ რომ დავიბადო, ასჯერვე ვთხოვდი უფალს, ქართველად მომავლინოს“

რატომ უთხრეს უარი მღვდლობაზე გუჯა ბურდულს

იულში ვმღერი, გარშემო სტუდენტები მყავს შემოხვეული. მაშინ დარეკა გერასიმოვმა საქართველოში და იკითხა, რატომ არ უშვებთ ამ ფილმს ეკრანზეო. ჟიული შარტავას ჩააბარა ჩვენი საქმე. მივედით მასთან და გვეკითხება. მაგნიტოფონის მოპარვა რაში დაგჭირდათო. ფილმში ჩანს, როგორ იპარავს ბავშვი მაგნიტოფონს. ეს ქურდობა არ ყოფილა, ჩემი შვილის მაგნიტოფონი იყო, ორი დღით ვეთხოვე. ეს ორი დღე ორი თვე გაიწელა, მობეზრდა ლადოს, მოვიდა გადასაღებ მოედანზე და აიღო და წაიღო-მეთქი. მოკვდა ჟიული სიცილით. მის მერე გაუშვეს ეკრანებზე ეს ფილმი. ძალიან დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

- მაგრამ ფართო აუდიტორიამ, როგორც მსახიობი „უძინართა მზიდან“ გაგიცნოთ.

- არავინ ელოდა ამ ფილმში მამას თუ ვითამაშებდი. ბანდიტები და ხულიგანი ხალხი კი იყო ჩემს ჯიგარში, მაგრამ ეს ძალიან რთული როლი იყო. ეს ფილმი არის კლასიკა. ფილმი თემურ ბაბლუანმა თავის მამას მიუძღვნა. წერია კიდეც ეს ფილმის ტიტრებში.

- პირველი სამსახური ბენზინგასამართი სადგური იყო, ზემოთ რომ მიყვებოდით?

- არა... სამშენებლოზე ვაბარებდი. პირველ წელს ვერ მოვხვდი. ჩემი მეზობელი თბილისის ზღვის დირექტორი იყო. მაშველად დამაწყებინა მუშაობა, მეორე წლისთვის მოემზადე და თან იმუშავე, სტაჟიც გექნებაო, მითხრა. თბილისის ზღვაზე პირველი „სანკა“ მე გავაკეთე. ფიცრები შევკარი, გრძელი თოკი მოვაბი, კატერს ჩავაბამდი ხოლმე და ჩავუქროლებდი სანაპიროს. ხალხი გიჟდებოდა, უცხო იყო ეს ტრანსპორტი მაშინ.

- გოგონები, ალბათ, განგებაც გეძახდნენ, თქვენი ნახვის სურვილით... სასიყვარულო გამოცდილებაზეც ვისაუბროთ...

- რთული იქნება... რუსთაველზე გავიარე, ფოტოგრაფს ჩემი სურათი გამოეფინა და უნდა გამელანძღა. მივედი სურათთან და ვხედავ ჩემი მეგობარი გოგო და ინეზა დგანან, ინეზა ეუბნება ჩემზე, აი ეს ბიჭი მომწონსო. მაშინ გამაცნო ჩემი მომავალი მეუღლე მეგობარმა.

ინეზა:

- თეატრალურში მესამე სართულზე დიდი სარკე იდგა. სარკეში ვიყურები და ვხედავ, რომ გუჯი ზის ფანჯარაზე. ჩემს ჯგუფელს, გოჩა აბაშიძეს ვეუბნები, აუ, რა კარგი ბიჭია-მეთქი. გაჩერდი, გადაბმული წარბები აქვს, ორივეს გაგვლახავსო. ჩამოხტა გუჯი ფანჯრიდან და წავიდა. მგონი მაშინ გადაიფიქრა თეატრალურში ჩაბარება. მერე იყო ის შემთხვევა

რუსთაველზე, გუჯიმ რომ გიამბოთ. იმ ფოტოგრაფს მგონი თავი გაუტეხა, მაინც ჩამოახსნევინა სურათი... ლექციები რომ მიმთავრდებოდა, ხშირად მხვდებოდა გუჯი. სანამ სახლამდე მიმაცილებდა, 10 ბიჭი მაინც შემოელახებოდა ხოლმე, რატომ გიყურებენო, ბრაზობდა.

- თვითონ არ უყურებდა სხვა გოგოებს?

- ურთიერთობის დასაწყისში არა და მერე იცოცხლე... ბიჭვინთაში ვისვენებდით ერთხელ, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ კინემატოგრაფისტები. ერთ-ერთი ლამაზი რუსი მსახიობი ქალი ისვენებდა ჩვენთან ერთად. ვებერთელა თეთრი შლაპა ეფარა, თეთრი შლეიფი ეკეთა. ადგა და პირდაპირ გუჯისკენ მიდის. გუჯი ზღვაში იყო. მე ქეთინო კიკნაძესთან და გურანდა გაბუნიასთან ერთად ვზივარ სანაპიროზე. გურანდა მეუბნება, ინეზა, წაიყვანა, წაიყვანაო. ხმას არ ვიღებ. ხუთ წუთში ამოვიდა გუჯი წყლიდან. ვკითხე, ასე უცებ რატომ ამოხვედი-მეთქი. არა, ახლა, თქვენ გაკაიფებდით ჩემზეო - ჩაიბურტყუნა. მოკლედ, არ იკლებდა არაფერს, მაგრამ არ ვიყავი ეჭვიანი და ამ ყველაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი. თავად კი ჰქონდა რიდი, მომდიოდა ხმები, რომ ნერვიულობდა, ინეზამ არ გაიგოსო... ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კაცი შემხვდა და ასეთი შვილები მყავს.

- სიყვარულში როგორ გამოგიტყდათ?

- არასდროს უთქვამს მიყვარხარო, დღემდე არ უთქვამს. ყველაფერი უთქმელადაც გასაგები იყო.

- ბატონო, გუჯა, შვილებს რა გამოცდილება გაუზიარეთ?

- არანაირი. არასდროს დამირიგებია შვილები, არასდროს დამიბრახუნებია მათთვის მუშტი მაგიდაზე. სრული თავისუფლება მივეცი და არც ვნანობ.

- რამეს თუ ნანობთ საერთოდ ცხოვრებაში?

- არაფერს. ისევ ისე გავივლიდი ამ გზას, ოღონდ კი უფალს ისევ ქართველად გავეჩინე.

- მღვდლობა გინდოდათ, მახსოვს...

- უარი მითხრეს. 27 წელია სტიქაროსანი ვარ. პატრიარქს უნდა ბერად მაკურთხოს და მერე სამღვდელოებაში შემიშვას. მე მერიდება ბერობის. თან ოჯახს ვერ მივატოვებ, ამხელა ოჯახი მაქვს, ჩემს სინდისთან ხომ უნდა ვიყო მართალი. ასე რომ, დავნებდი, პატრიარქის წინ როგორ წავიდოდი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი ცოლის დაქალები“ რომ გავიგე, აუ, არ მინდა-მეთქი, ეკას ვუთხარი. მივედი და იქაც წუწუნი დავიწყე, არ მინდა, ამ წვერს ვერ გავიპარსავ-მეთქი. სერიალ „ტიფლისში“ მიღებდნენ და წვერი მჭირდებოდა. მოკლედ, დაწყნარდი, უნდა იყოო, მითხრეს და დამტოვეს“

my View
თამარ გონგაძე

„ჩემი ცოლის დაქალების“ ყველა სეზონს თავისი ფავორიტი ჰყავს, ხან ვის ამოიჩემებს მაყურებელი, ხან - ვის. სცენარისტიც კალამს იმ ერთისკენ განსაკუთრებულად მომართავს ხოლმე. ერთ დროს დათო იყო ფავორიტი, მისაბაძი ქმარი და მამა, მერე მირიან ბარათეონი გახდა თემა და მისი ბიზნესმენებთან შედარება დაიწყეს, მერე ცოტნე ცოტაშვილზე ატყდა ამბავი, ახლა კი დუდუს ბუმია: სპაიდერმენს შეადარეს და დუდუმენი დაარქვეს, საძიებო **Google**-ს სახელი შეუცვალეს და - **DuuDIe** გახდა. თავად მსახიობმა მითხრა, ქალის მკერდზე ჩემი ორი თავი მიუხატიათ და დუდუები დაუწერიათო :) ასეთ აჟიოტაჟს არ მოელოდა. ყველაფერს დუდუს აბრალებს :) „უფრო სწორად ეს სცენარისტის ბრალია. მარტო დუდუა იმ სერიალში? იმდენი გმირია“! ალეკო ბეგალიშვილს შორიდან ვიცნობ, სპექტაკლებშიც მყავს ნანახი, მაგრამ დუდუს

„ვიკითხე, მითხარით, ვინ არის ეს კაცი ბოლოს და ბოლოს, ვიცოდე, საით წავიდე-მეთქი? მაშინ მითხრა ირაკლიმ - უშიშროების თანამშრომელი ხარო“

როლი მისი ტიპაჟისგან ძალიან ამოვარდნილია. მსახიობის გარდასახვა ნამდვილად იმსახურებს აპლოდისმენტებს. ეს წლებს მოაქვს. სხვანაირად არც შეიძლება, მსახიობის ოჯახშია გაზრდილი. ალეკო მსახიობ ბადრი ბეგალიშვილის შუათანა ვაჟია. ალეკოს მსახიობ ძმებსაც ზურა და ბადრი ბეგალიშვილებს - კარგად იცნობს საზოგადოება, ზურას კინოროლებიდან, ბადრის მუსკომედიის თეატრის სცენიდან, ისევე როგორც ალეკოს. მსახიობი ძმები ერთმანეთს პროფესიულ რჩევებს აძლევენ. დუდუს ბუმი კი ორივე ძმას „დაიგნორებული“ აქვს, უბრალოდ, სერიალს არ უყურებენ. თავად ჩემი რესპონდენტიც გამოტყდა, სიმართლე გითხრათ, „ჩემი ცოლის დაქალებს“ არ ვუყურებო.

- ამ სეზონის ფავორიტია დუდუ.

ალეკო:

- მივხვდი.

- არ მოგწონთ ასეთი ყურადღება?

- არ ვგიჟდები.

- თქვენ ხომ მსახიობი ხართ.

„სანამ აზრზე მოვედი ვინ იყო, პირველ სცენებში საკუთარი ხმაც მაღიზიანებდა. ბოლო სცენებში ჰა და ჰა, წავა“

- ეს ბუმი რომ 20 წლის წინ ყოფილიყო, გამიხარდებოდა. ახლა, ცოტა დაგვიანებული მგონია.

- თქვენს პერსონაჟზე დადებითი გამოხმაურებაა.

- ამას კი აქვს მნიშვნელობა.

როგორც ყველა მსახიობი ალეკოც ეკა მჟავანაძემ (ქასთინგის მენეჯერი) შესთავაზა ფორმულა „კრეატივს“.

ალეკო ბეგალიშვილი:

- კასტინგზე უნდა მოხვიდეო, ეკამ მითხრა, „ჩემი ცოლის დაქალები“ რომ გავიგე, აუ, არ მინდა-მეთქი, ეკას ვუთხარი. ჩემთან სახლში ყველა უყურებს. მერე რომ შევხედე, ცუდი არ ყოფილა.

- ქართველ მსახიობებს კასტინგზე სიარული არ გიყვართ.

- მით უმეტეს წლებში როდესაც ხარ. მერე მითხრა, კარგი, რა კასტინგი, ისე მოდიო. მივედი და იქაც წუწუნი დავიწყე, არ მინდა, ამ წვერს ვერ გავიპარსავ-მეთქი. სერიალ „ტიფლისში“ მიღებდნენ და წვერი მჭირდებოდა. მოკლედ, დაწყნარდი, უნდა იყოო, მითხრეს და დამტოვეს.

- რატომ დაინახეს დუდუს ტიპაჟი თქვენში, როგორ ფიქრობთ? მით უმეტეს ამბობთ, რომ ამ პერსონაჟთან არანაირი საერთო არ გაქვთ.

- არ ვიცი. ვერ გეტყვით. ალბათ, ვიზუალი. ეკა, როგორც მსახიობს, მიცნობს. სპექტაკლებზე ხშირად მოდის.

- დუდუს ტიპაჟთან მიახლოებული ტიპაჟი სპექტაკლში გითამაშიათ?

- ნათამაშები მაქვს ტირანი მეფე „მაკბეტში“, „ანტიგონეში“ კრეონიც ვითამაშე. ძალაუფლების მოყვარული გმირები შესრულებული მაქვს.

- და მაინც, რას იტყვით დუდუზე?

- პირველი სცენების გადაღებისას (ტელეფონზე საუბრისას) არც ვიცოდი დუდუს გარშემო რა ხდებოდა. კაფეში მაკას და დუდუს შეხვედრის კადრს ირაკლი საღინაძე იღებდა. ვიკითხე, მითხარით, ვინ არის ეს კაცი ბოლოს და ბოლოს, ვიცოდე, საით წავიდე-მეთქი? მაშინ მითხრა ირაკლიმ - უშიშროების თანამშრომელი ხარო. მოვტვინე, რა ტიპი უნდა ყოფილიყო. საშიში, იდუმალი ბიძიაა. კომუნიკაა, როგორც მსახიობს, მიცნობს. სპექტაკლებზე ხშირად მოდის.

სტების დროიდან დაწყებული 90-იან წლებამდე ამგვარ ტიპებს არ ვუყურებდი? ურთიერთობაც მქონია.

- რა შტრიხი წამოიღეთ?

- სიმშვიდის შენარჩუნება. რაც არ უნდა ნერვი აუტოკდეს, სიმშვიდეს თამაშობს. მაგათი კოზირი ეგაა. მაგით გთრგუნავენ, ბოლომდე სიცივით და სიმშვიდით.

- ოჯახში როგორ აფასებენ დუდუს?

- ქალიშვილი დამცინის, სპაიდერმენი ხარო. დუდუს აირონ მენის კოსტიუმი ჩააცვეს. შიშველ ქალს ჩემი ორი თავი ჰქონდა აქეთ-იქით და დუდუებიო, ეწერა. კაიფობენ ეგეთ რამეზე. მოკლედ, მოწყენილ ტიპს გასართობი პონტი რომ გაეჩითება, ერს დუდუს სახით ეგ გაეჩითა.

- არ ელოდით ასეთ რეზონანს?

- არანაირად. უკეთესადაც შეიძლებოდა.

- რას აკლებთ?

- სანამ აზრზე მოვედი ვინ იყო, პირველ სცენებში საკუთარი ხმაც მაღიზიანებდა. ბოლო სცენებში ჰა და ჰა, წავა.

- კრიტიკული ხართ?

- საკუთარი თავის მიმართ იმდენად კრიტიკული ვარ, რომ „იზმენა“ და შიში მაქვს ხოლმე. ცუდად ვაკეთებ მგონია.

- მსახიობობის ამდენწლიანი გამოცდილების შემდეგაც?

- დიახ. ეს გრძნობა ბოლომდე გამყვება. სცენაზეც ასე ვარ. ეკრანზე ჩემი ხმა მაღიზიანებს. სხვანაირი ხმა ისმის, თითქოს მოდუნებული მეტყველება მაქვს. სერიალს თუ ვუყურე და რაღაც გამაღიზიანებს, გადავრთავ. ჩაჯდომით არ მინახავს. „ტიფლისში“ მაგრად გამისწორდა ჩემი პერსონაჟის თამაში. მიშო ძია, ჩემს ტიპაჟთან ახლოსაა. შინაგანად უფრო ეგეთი ტიპი ვარ, ვიდრე დუდუ. ის მალე ავიტაცე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დუდუ ცუდია. ნელ-ნელა მუღამი დავიჭირე. თუმცა დუდუსნაირი ტიპები არ მიტაცებენ. ტიპები, რომლებიც ყველაფერს აგვარებენ, ასე მგონია, საშიში ტიპები არიან.

- დუდუსნაირად ვინმეს დახმარებიხართ?

- ჯიგრულ პონტში დავხმარებივარ, მაგრამ ჩემი გავლენით და მოგვარებით არა, ეგეთი ავტორიტეტი ტიპი არასდროს ვყოფილვარ. გავყოლილვარ, მაგრამ მე რომ მეყოჩა, მსგავსი არ ყოფილა. მე პაფიციფიზმისკენ მიდრეკილი ტიპი ვარ. ჰიპური მოძრაობები მევასება.

- ბოჰემა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნოზს დუდუ?

„ტიპები, რომლებიც ყველაფერს აგვარებენ, ასე მგონია, საშიში ტიპები არიან“

„მონწყენილ ტიპს გასართობი პონტი რომ გაეჩითება, დუდუს სახით ერს ეგ გაეჩითა“

„ეს ბუმი რომ 20 წლის წინ ყოფილიყო, გამიხარდებოდა. ახლა ცოტა დაგვიანებული მგონია“

„საშიში, იდუმალი ბიძიაა. კომუნისტების დროიდან დაწყებული 90-იან წლებამდე ამგვარ ტიპებს არ ვუყურებდი? ურთიერთობაც მქონია. რაც არ უნდა ნერვი აუტოკდეს, სიმშვიდეს თამაშობს. მაგათი კოზირი ეგაა“

ალეკო ჯეგალიმვილი: „მამისთვის მადლობა არ მითქვამს და ამას ვნანობ... მისი მადლიერი ვარ“

- ეგ თავისთავად. ამას ჩემი პროფესიაც შეიცავს და მე ეს გენშიც მაქვს.

- ხელს არ გიშლით?

- ბევრ რამეში მიშლის, საქმეში შეუშლია. საქმე გვერდზე გადამიდია და მეგობარს კარგ პონტში გავყოლივარ. მაგრამ არც მთლად ბოლომდე დამიკიდებია ყველაფერი.

- რეპეტიციაზე ამის გამო დაგიგვიანიათ?

- არ გამიცდენია, რო? ეს ადრე ყოფილა. ახლა იმდენად აღარ. ამას დოისთან ვერ გავაკეთებ. წლები რომ გემატება, რაღაცებს ხარშავ, მაგრამ თავს ბოლომდე მაინც ვერ ვანებებ. წუხელ ძმაკაცები შევიკრიბეთ, გიტარები შევაერთეთ და დავუკარით, დავლიეთ და დილის 4 საათზე დავიშალეთ.

- რას უკრავთ?

- ხან რას, ხან - რას, ვერთობით. ბლუზი გვიყვარს. ხან უცებ მოფიქრებულ თემაზე იმპროვიზაცია დაგვიკრავს.

- ბოჰემის გამო გინანიათ?

- არაფერი არ მინანია. რაც უნდა მოხდეს, მაინც ისე მოხდება. ამიტომ ტყუილად ნერვიულობა არ ღირს.

ნინო კასრაძეს 1988 წლიდან იცნობს. ჯარიდან ჩამოვიდა და თეატრალურში მის ჯგუფში აღმოჩნდა. მერე ნინოს შვილი დაჰყავდა მუსკომედიის სპექტაკლებზე. კულისებში შედიოდა და კოლეგებს ულოცავდა. ფილმ „კრედიტის ლიმიტში“ ეპიზოდში ითამაშეს. მერე მაკას და დუდუს როლიც მოვიდა.

მუსკომედიის რეპერტუარის სულ 4 სპექტაკლში არ თამაშობს მხოლოდ. დანარჩენში ალეკოს ნახავთ. თეატრზე გიჟდება. სახლში ვერ ჩერდება, თეატრის ლომკა მაქვსო.

„ვლაპარაკობთ, ვღლაბუცობთ. ჩვენი თეატრი დიდი ხანია კეთდება. უფრო სწორად სულ დაანგრიეს რაც იყო. სპექტაკლს ფოიეში ვთამაშობთ. ის ხომ არ არის ნამდვილი სცენა. დოის მოსვლამდე უარესობა იყო. მან ეს მაინც გაკეთა. ხან ვინ დააპირა გაკეთება, ხან ვინ. მერე რიყეზე უნდა გადავსულიყავით. ყველა თავისებურად აგვარებს ამ საკითხს და ვერ მოაგვარა.

ალეკოს მსახიობობა საერთოდ არ სურდა თურმე. როკმუსიკოსობა უნდოდა.

„გიტარით დავრბოდი და სწავლა ფეხებზე მეკიდა, სკოლას ვაცდენდი. ვიპარებოდი, ვუკრავდი. იმ წელიწადს საესტრადო განყოფილება გაიხსნა, შენი გიტარით მიდი და დიპლომი მაინც გექნებაო, მშობლებმა მითხრეს. მერე როლი მომცეს, კი ამოვყავი თავი და აქ ვარ ახლა. გენებმაც თავისი ქნა“.

- ამისთვის მადლობა გადაგიხდიათ მამისთვის?

- მამისთვის მადლობა არ მითქვამს და სხვათა შორის, ამას ვნანობ... მისი მადლიერი ვარ.

- რითი ჰგავხართ მსახიობ მამას?

- სამივე ძმას გვაქვს მამის რაღაც გამოყოლილი - მანერა, მიმიკა. გენიდან ისევ. ვიზუალურად ბადრი ჰგავს. ხმის ტემბრით მე და ზურაც ვგავართ. სიმღერის დროს ვიჭერ მის ხმას ჩემს ნამღერში.

- რა გენატრებათ, როგორ გარიგებდათ.

- დარიგება სულ გინებით იცოდა, მაგრამ ბოლოს კარგ რამეებს მოაყოლებდა. მსახიობების ბრიგადები სპექტაკლებს ატარებდნენ რაიონებში. დედა სამეგრელოდანაა, წალენჯიხიდან. სპექტაკლების მერე იქ შემოივლიდნენ ხოლმე. ერთხელ სანამ ბიძამ სუფრა გაშალა, დაისვენეთო სტუმრებს უთხრეს. ბადრი ზემოთ იწვა, ფოხანით, ისვენებდა. მე ბიძაჩემის სანადირო თოფი გადმოვიღე და თავზე დავადექი. გაგიჟდა კაცი, რას მიშვრები, შენიო...

- ძმები პროფესიულ რჩევებს აძლევთ ერთმანეთს?

- ზურა „ტონკად“ მეუბნება რჩევებს, მე ვითვალისწინებ. იმ დღეს „სამხეცის“ პრემიერაზე ბადრიც მოვიდა, რჩევა მომცა, ენერგია გაანაწილე, მალე იღლებიო. ტექნიკური ნიუანსებია.

ალეკოს პირადზე საუბარი არ უყვარს, ეს თამამად განაცხადა. მისი მეუღლე თამარ ყუფუნია მხატვარია. წყვილს 12 წლის მარიამი და 10 წლის დათო ჰყავს. „მარიამი თავგადახოტრილი დარბის, პანკობს. არ ვუშლი. თავის საქმის თვითონ იცის“.

- მის თაობაში დუდუ პოპულარულია?

- აუ, კი, ტვინი წამიღეს. მარიც მეკაიფება - დუდუ-დუდუო. რომ დაინახა გავუბრაზდი, უფრო მეძახის. ბიჭი უთქმელი კაცია, ჩემთან ბევრი ლაპარაკი არ უყვარს... ბევრს ვერაფერს დამაცდენინებთ პირადზე, თან არ მიყვარს, თან ვიბნევი კიდეც...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N17 (318) ორშაბათი, 4 მაისი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ქრისტინე იმედაძე ბიზნესმენ ბუბა ქებურიას ვაჟს ცვდება

რას ნანობს დუდუ?

ალეკო ბეგალიშვილი:
„მამისთვის მადლობა არ მითქვამს და ამას ვნანობ... მისი მადლიერი ვარ“

„ეს ბუმი რომ 20 წლის წინ ყოფილიყო, გამიხარდებოდა. ახლა ცოტა დაგვიანებული მგონია“

exclusive

exclusive

მერსედეს-ბენცის მოდის კვირეული დათუნა სულიკაშვილმა გახსნა

exclusive

გიგი ვანდერი საავტორო ნაწარმოებების პირველი კონცერტით

exclusive

„მე არავინ გამიშვია პროექტიდან, გიორგი გაბუნიამ გაუშვა და მე ალეკო ბერძენიშვილის სკამზე დამსვა. მისი გავარდნა ყველასთვის შოკი იყო. ცხრავე კონკურსანტი ვამბობდით, ოთხის ნაცვლად სამი სკამი გვაქვს, ერთზე ალეკო ზისო“

„X ფაქტორში“ დიმა კობულავიძემ ალეკო ბერძენიშვილის სკამი დაიკავა

exclusive

გუჯა ბურდულის ცხოვრებისეული გამოცდილება

როდის მუშაობდა მსახიობი მაშველად

exclusive

ალექსანდრე კორსანტია თბილისში საკუთარ იუბილეზე ჩამოვიდა

exclusive

ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება